

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

*

(სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საქართველოს ისტორია“)

ვახტანგ გურული

საქართველო და გარე სამყარო

(XIX-XXI საუკუნეები)

დამხმარე მასალა სემინარული მუშაობისათვის სასწავლო დისციპლინაში

„საქართველო და გარე სამყარო“

თბილისი

2012

სასწავლო დისციპლინის „საქართველო და გარე სამყარო“ ელექტრონული ვერსია პროფესორ ვახტანგ გურულის სალექციო კურსის მიხედვით მოამზადა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტმა **გვანცა ზურდულმა**.

რედაქტორი – ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი **ავთანდილ წოწკოლაური**.

რეცენზენტი – ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი **ემილ კოპალიანი**.

საქართველო და გარე სამყარო

(XIX-XXI საუკუნეები)

ოთხი საუკუნის განმავლობაში – 1514 წლიდან (ირან-ოსმალეთის ომების დაწყებიდან) 1914 წლამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე), სამწუხაროდ, საქართველოსათვის გარე სამყაროს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი წარმოადგენდა. ობიექტური მიზეზების გამო ევროპის სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საქმეში ვერ ერეოდნენ. საქართველოსა და ქართველობის ბედი ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა.

* * *

XVI საუკუნის დამდეგიდან (1514 წლიდან) დაიწყო ირან-ოსმალეთის ომები, რომელიც საუკუნეზე მეტი გაგრძელდა. ამ ომების ერთ-ერთ მიზანს სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) გაბატონება წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი იმპერია – ირანი და ოსმალეთი. ირან-ოსმალეთის ომების შემდეგ დგინდებოდა სახელმწიფოთა საზღვრები, რომელიც ძალაში იყო ახალ ომამდე. შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. სხვა ტერიტორიებთან ერთად ირანი და ოსმალეთი ინაწილებდნენ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასაც. საქართველოს ტერიტორიას შეეხო ირან-ოსმალეთის ომების შედეგად დადებულია შემდეგი ზავები:

1. ამასიის ზავი (1555 წლის 29 მაისი).
2. სტამბოლის ზავი (1590 წლის 21 მარტი).
3. სტამბოლის ზავი (1612 წლის 20 ნოემბერი)
4. სერაფის ზავი (1618 წელი).
5. სტამბოლის ზავი (1619 წელი).
6. ზოჰაბის ზავი (1639 წლის 17 მაისი).

* * *

XVII საუკუნის მიწურულიდან და XVIII საუკუნის დამდეგიდან სამხრეთ კავკასიაზე პრეტენზია გამოაცხადა მესამე დამპყრობელმა – რუსეთმა. ამიერიდან საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე გაბატონებისათვის ერთმანეთს უპირისპირდებოდა სამი იმპერია – ირანი, ოსმალეთი და რუსეთი. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას შეეხო რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის შემდეგი ზავები:

1. რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ზავი (1700 წლის 3 ივლისი).
2. რუსეთ-ირანის პეტერბურგის ზავი (1723 წლის 12 სექტემბერი).

3. რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ზავი (1724 წლის 12 ივნისი).
4. რუსეთ-ირანის რემტის ზავი (1729 წლის 13 თებერვალი).
5. ირან-ოსმალეთის ჰამადანის ზავი (1731 წელი).
6. რუსეთ-ირანის რემტის ზავი (1732 წლის 21 იანვარი).
7. რუსეთ-ირანის განჯის ზავი (1735 წლის 10 მარტი).
8. რუსეთ-ოსმალეთის ბელგრადის ზავი (1739 წლის 18 სექტემბერი).
9. რუსეთ-ოსმალეთის ქუჩუკ-კაინარჯის ზავი (1774 წლის 10 ივლისი).
10. რუსეთ-ოსმალეთის იასის ზავი (1791 წლის 29 დეკემბერი).

* * *

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს ისტორიული ტერიტორიისათვის ირან-ოსმალეთ-რუსეთის ბრძოლა რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. დასუსტებულმა ირანმა და ოსმალეთმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მათზე გაცილებით ძლიერ რუსეთს. სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებით რუსეთი ხელსაყრელ პლაცდარმს ჰქმნიდა მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის. ცხადია, ეს სულაც არ შედიოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გეგმებში. მიუხედავად ამისა ობიექტური მიზეზების გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები წინ ვერ აღუდგნენ რუსეთის შეჭრას სამხრეთ კავკასიაში. ირანის, ოსმალეთისა და დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ წარმოუდგენლად ძნელი აღმოჩნდა. ყოველივე ამით კარგად ისარგებლა რუსეთის იმპერიამ და ქართული სამეფო სამთავროები დაიპყრო. რუსეთის გამარჯვებას ვერ ეგუებოდნენ ირანი და ოსმალეთი. დაიწყო რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების სერია. ეს ომები რუსეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ვერც ამჯერად აღმოუჩინეს რეალური დახმარება ირანსა და ოსმალეთს. ირან-რუსეთის ომების ასპარეზი სამხრეთ კავკასია იყო. რაც შეეხება რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებას იგი გაცილებით ფართომასშტაბიანი იყო და მოიცავდა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულს. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში სამხრეთ კავკასია, და შესაბამისად საქართველოს ისტორიული ტერიტორია, ყოველთვის მეორე რიგის პრობლემად ითვლებოდა. რუსეთიცა და ოსმალეთიც პირველხარისხიდან ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და ბალკანეთში წარმატების მოპოვებას მიიჩნევდნენ.

XIX საუკუნეში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად დადებული ზავები საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასაც შეეხო. ეს ზავებია:

1. რუსეთ-ოსმალეთის ბუქარესტის ზავი (1812 წლის 16 მაისი).
2. რუსეთ-ირანის გულისთანის ზავი (1813 წლის 12 ოქტომბერი).
3. რუსეთ-ირანის თურქმანჩაის ზავი (1828 წლის 10 თებერვალი).
4. რუსეთ-ოსმალეთის ადრიანოპოლის ზავი (1829 წლის 2 სექტემბერი).

5. რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის პარიზის ზავი (1853 წლის 18 მარტი).
6. რუსეთ-ოსმალეთის სან-სტეფანოს ზავი (1878 წლის 19 თებერვალი).
7. რუსეთ-ოსმალეთის ლონდონის შეთანხმება (1878 წლის 18 მაისი).
8. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ოსმალეთის ხელშეკრულება – ბერლინის ტრაქტატი (1878 წლის 1 ივლისი).
9. რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ხელშეკრულება (1879 წლის 27 იანვარი).

* * *

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაინგრა. 1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დროიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები უფრო აქტიურად ერევიან სამხრეთ კავკასიის საქმეებში, თუმცა აქტიური პოლიტიკის წარმოებას ხელს უშლიდა მიმდინარე პირველი მსოფლიო ომი. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ (1918 წლის 11 ნოემბერი) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების (გამარჯვებული ანტანტის) პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში უფრო თანმიმდევრული ხდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის (1918-1921 წწ.) უპირველეს ამოცანად რჩებოდა ურთიერთობის მოგვარება უშუალო მეზობლებთან – საბჭოთა რუსეთთან და ოსმალეთთან. ამ პერიოდის საზავო ხელშეკრულებებიდან საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას შეეხო შემდეგი ზავები:

1. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთის ბრესტ-ლიტოვსკის ზავი (1918 წლის 3 მარტი).
2. საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ხელშეკრულება (1918 წლის 4 ივნისი).
3. საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი).

* * *

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა მიაღწია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ სამხრეთ კავკასიის თავისი გავლენის სფეროდ აღიარებას. აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპყრობის შემდეგ, 1921 წელს თებერვალ-მარტის ომის შედეგად საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მობრუნება აუცილებელს ხდიდა რუსეთისა და ოსმალეთის საზღვრების ხელახლა დადგენას. ცხადია, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დავის საგანი გახდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორია. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილების საკითხს შეეხო შემდეგი ხელშეკრულებები:

1. რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1921 წლის 16 მარტი).

2. რუსეთ-ოსმალეთ-საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის ხელშეკრულება ყარსის ხელშეკრულება (1921 წლის 13 ოქტომბერი).

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1990-1991 წ.წ.) შემდეგ რუსეთის ფედერაცია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა შეენარჩუნებინა ჰეგემონია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე, მათ შორის საქართველოზეც. რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ცდილობდა ყოველნაირად გადაედო გაურკვეველი ვადით საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობა, პრობლემები შეექმნა საქართველოს ეკონომიკისათვის, გაელვივებინა ეთნოკომპლიქტები საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობაში. რაც მთავარია რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა შეენარჩუნებინდა სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე. საბოლოოდ, რუსეთს მიანც მოუხდა სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა, მაგრამ პროცესი 1990-1991 წლებიდან საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში იყო ძალზე რთული. შექმნილი პრობლემების მოგვარებას დასჭირდა ბევრი მოლაპარაკება, შეთანხმება თუ ხელშეკრულება, კერძოდ:

1. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმები (1991 წლის 23 მარტი);
2. აფხაზეთის თაობაზე მოსკოვის შეთანხმება (1992 წლის 3 სექტემბერი);
3. აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ შეთანხმება (1993 წლის 28 ივლისი);
4. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ (1994 წლის 3 თებერვალი);
5. რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარებისა და სამხედრო ბაზების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ შეთანხმება (2006 წლის 31 მარტი).

* * *

ქვემოთ გთავაზობთ იმ ზავების, ხელშეკრულებებისა და შეთანხმების მოკლე მიმოხილვას, რომელიც საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილებას შეეხო 1700 წლიდან ვიდრე 2005 წლამდე.

1. რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ტრაქტატი)

XVII საუკუნის დამლევს რუსეთმა პირველი ნაბიჯები გადადგა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობის მიზნით. ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთი ოსმალეთს ეპყრა. ოსმალეთის გარნიზონები იდგა აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროზე: ბათუმში, ციხისძირში, შეკვეთილში, ფოთში, ანაკლიაში, სოხუმში, ანაკოფიაში და სხვ. ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და აზოვის პირეთში: ანაპაში, აზოვში, ტაგანროგში, ენიკალეში, ქერჩში, კაფაში, სუდაკში, ბალაკლავაში, იკერმანში, პერეკოპში, ოჩაკოვში, კინბურნში და სხვ. ყირიმის ხანი ოსმალეთის ვასალი იყო.

ჯერ კიდევ პეტრე I-ის (1689-1725) მცირეწლოვნების დროს, 1695 წელს, რუსეთის ერთი არმია კაზაკების ჯართან ერთად მდინარე დნეპრის შესართავისაკენ, ხოლო მეორე არმია მდინარე დონის შესართავისაკენ გაემართა. პირველმა არმიამ დნეპრის ქვემო წელზე ოსმალთა მიერ აგებული ორი ციხე-სიმაგრე აიღო და ორიც დაანგრია. მეორე არმიამ აზოვის ციხე-სიმაგრეს მიაღწია, მაგრამ ვერ აიღო. აზოვის აღებისათვის აუცილებელი იყო სამხედრო ფლოტი. 1696 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტმა ზღვიდან აზოვის ბლოკირება მოახდინა, ოსმალებმა ციხე-სიმაგრე ჩააბარეს. ამის შემდეგ ომი დროებით შეწყდა.

1699 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ესკადრა ფრეგატ „კრეპოსტის“ მეთაურობით ქერჩის სანაპიროსთან გამოჩნდა და მალე სტამბოლისაკენ გაცურა. სტამბოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო საზავო მოლაპარაკება. საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1700 წლის 3 ივლისს. სტამბოლის ზავით (ტრაქტატით) აზოვის ზღვის სანაპირო აზოვის ციხე-სიმაგრითურთ რუსეთს გადაეცა.

რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის სტამბოლის ზავი (ტრაქტატი) საქართველოს არ შეეხებია. სტამბოლის ზავი ჩვენთვის სხვა მხრივაც საყურადღებო. საზავო ხელშეკრულების პრეამბულაში პეტრე I-ის ტიტულატურის ჩამონათვალში იგი იხსენიება, როგორც „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფე“ („повелителем и государем Иверской земли, Карталинских и Грузинских царей“) (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. СПб., 1869. ციტირებულია მეორე გამოცემის მიხედვით: Москва, 2005, стр. 25). ცხადია, ამას ოსმალეთი იმიტომ დაეთან-

ხმა, რომ „ივერიაში“, „ქართლსა“ და „საქართველოში“ საზავო ხელშეკრულების დამდები მხარეები არ გულისხმობდნენ: იმერეთის სამეფოს, სამცხე-საათაბაგოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს, სადაც იმხანად ოსმალეთის გარნიზონები იდგა. „ივერიაში“, „ქართლსა“ და „საქართველოში“ ქართლისა და კახეთის სამეფოები იგულისხმებოდა, რომლებიც იმხანად ირანის გავლენის სფეროდ (ვასალად) ითვლებოდა

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1700 წლის 3 ივლისის სტამბოლის საზავო ხელშეკრულების პრემბულიდან

Во имя Господа Бога Всемогущего в Троице славилго!

Понеже меж пресветлейшим и державнейшим великим государем, Божьей милостью, царем и великим князем Петром Алексеевичем, всяя Великия и Малыя и Белая России самодержцем Московским, Киевским, Владимирским, Новгородским, царем Казанским, царем Астраханским, царем Сибирским, государем Псковским и великим князем Смоленским, Тверским, Югорским, Пермским, Вятским, Болгарским и иных, государем и великим князем Новгорода Низовской земли, Черниговским, Рязанским, Ростовским, Ярославским, Белоозерским, Удорским, Обдорским, Кондийским и всей северной страны повелителем и государем Иверской земли, Карталинских и Грузинских царей и Кабардинской земли, Черкасских и горских князей и иных многих государств и земель восточных и западных, и северных отчим и дедичем и наследником и государем и обладателем, Его Священным Царским Величеством, и меж Величеством принарядных салтанов превеликим и почтеннейшим королем лепотнейшим Мекским и Мединским и защитителем святого Иерусалима, королем и императором пространнейших провинций, поселенных в странах европейских и азийских и на Белом, и на Черном море (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 25).

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000;
2. გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011;
4. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011;

5. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008;
6. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007;
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007;
8. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998;
9. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

კითხვები:

1. როდის დაიწყო რუსეთმა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა?
2. კაზაკების ჯართან ერთად რუსეთის არმიამ როდის დაიწყო საომარი მოქმედებები ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში?
3. როდის დაიღო რუსეთ-ოსმალეთის ზავი (სტამბოლის ტრაქტატი)?
4. სტამბოლის ტრაქტატის პრემიულაში რა ტიტულატურითაა მოხსენებული რუსეთის მეფე პეტრე I?
5. რა გაგებით იხსენიება სტამბოლის ტრაქტატში „ივერიის ქვეყანა“?
6. რა გაგებით იხსენიებიან სტამბოლის ტრაქტატში „ქართლისა და საქართველოს მეფეები“?
7. რატომ არ შეეწინააღმდეგა ოსმალეთი სტამბოლის ტრაქტატში რუსეთის მეფის პეტრე I-ის „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მზრძანებლად და ხელმწიფედ“ მოხსენიებას?

2. რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის საზაო ხელშეკრულება (პეტერბურგის ტრაქტატი)

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის ბრძოლა დაიწყო. რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. რუსეთისა და ქართლის გაერთიანებულ სამხედრო ძალას ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში სიიდან ირანის განდევნა ნამდვილად შეეძლო, მაგრამ ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას არასგზით არ შეურიგდებოდა ოსმალეთი. ყოველივე ეს კარგად იცოდა პეტრე I-მა, ამიტომაც რუსეთის იმპერატორი ცდილობდა ალმოსავლეთ ამიერკავკასია (კასპისპირეთი) ისე დაეკავებინა, რომ ოსმალეთთან ომში არ ჩაბმულიყო.

1722 წლის აგვისტოში ასტრახანში განლაგებულმა რუსეთის არმიამ კასპისპირეთში ლაშქრობა დაიწყო. ვახტანგ VI ქართველთა და სომეხთა ლაშქრით (40 ათასი კაცი) განჯაში იდგა. ვახტანგ VI

კასპისპირეთში შეჭრილ რუსეთის არმიას **შემახასთან** უნდა შეერთებოდა, საიდანაც **ბაქოსაკენ** უნდა დამრულიყვნენ.

1723 წლის 23 აგვისტოს რუსებმა **დარუბანდს** მიაღწიეს. პეტრე I-მა დარუბანდი დაიკავა და იქ გარნიზონი ჩააყენა, მაგრამ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. რუსები ასტრახანში დაბრუნდნენ.

პეტრე I-ს ირანის წინააღმდეგობისა არ ეშინოდა (ამ პერიოდში ის დედაქალაქს ავღანელები უტევდნენ). რუსეთის იმპერატორს ოსმალეთის პოზიცია აფიქრებდა. რუსთა ლაშქრობის შეწყვეტამ ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. 1723 წლის მაისში კახეთის გამაჰმადიანებულმა მეფემ **კონსტანტინემ** ირანის თანადგომით თბილისი დაიკავა. ოსმალეთის სულთანმა ჩათვალა, რომ ირანი რუსეთს ვერ გაუმკლავდებოდა და სამხრეთ კავკასიაში საომარი მოქმედებები დაიწყო. 1723 წლის ივნისში ოსმალებმა **თბილისი** დაიკავეს, რითაც დაირღვა ირან-ოსმალეთის 1639 წლის 17 მაისის **ზოჰაბის** ზავი.

პეტრე I-მა კასპისპირეთში ლაშქრობა განაახლა. ჯერ კიდევ 1722 წლის ნოემბერში რუსები **ენ-ზელის ყურეს** მიაღწიეს და მალე რეშტიც დაიკავეს. 1723 წლის 28 ივლისს რუსებმა **ბაქო** აიღეს, ხოლო წლის ბოლოსათვის მდინარე **მტკვრის** შესართავთან მდებარე **სალიანი** დაიკავეს.

1723 წლის 12 სექტემბერს **პეტერბურგში** რუსეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). პეტერბურგის ტრაქტატის მეორე მუხლის ძალით რუსეთს გადაეცა: **დერბენტი** და **ბაქო** მიმდებარე ტერიტორიებით კასპის ზღვის სანაპიროზე, **გილიანის**, **მაზანდარანისა** და **ასტრახადის პროვინციებში** (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 192-193).

მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის ტრაქტატი ირანისათვის მეტად მძიმე მდგომარეობაში დაიღო, რუსეთის იმპერატორს, პეტრე I-ს თავი არ გამოუდგია მისგანვე მიტოვებული მოკავშირის, **ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის**, დასაცავად. ცხადია, პეტრე I-ს შეეძლო მიეღწია მის მიერ ქართლის მეფედ ვახტანგის აღიარებისათვის, მაგრამ რუსეთის იმპერატორს ოსმალეთის პოზიცია აფიქრებდა. პეტერბურგის ტრაქტატის დადების დროისათვის (1723 წლის სექტემბერი) თბილისსა და ქართლს ოსმალეთი ფლობდა. ასე რომ, ქართლის მეფედ ვახტანგ VI-ის აღიარება გაართულებდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას.

პეტერბურგის ტრაქტატით რუსეთმა არაპირდაპირ, მაგრამ **ფაქტობრივად**, აღიარა ოსმალეთის მიერ ქართლის დაპყრობა.

დანართი

რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის პეტერბურგის

საზავო ხელშეკრულების მეორე მუხლი

II. А насупротив того, Его Шахово Величество уступает Его Императорскому Величеству Всероссийскому в вечное владение города Дербент, Баку, со всеми к ним принадлежащими и по Каспийскому морю лежащими землями и местами, также и провинции Гилян, Мазондран и Астрабат; и имеют оные от сего времени вечно в стороне Его Императорского Величества Всероссийского остаться и в его подданстве быть, которые места и провинции Его Императорское Величество Всероссийское для того в награду себе желает, дабы оными содержать войско, которое Его Императорское Величество к Его Шахову Величеству против его бунтовщиков в помощь посылает, и для того также на содержание оногo войска, от Его Шахова Величества денежное вспоможение не требует (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 192-193).

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
5. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
6. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.
8. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998.
9. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.
8. В. Лысцов. Персидский поход Петра I. 1722-1723. Москва, 1951.

კითხვები:

1. როდის დაიწყო რუსეთის არმიამ კასპიისპირეთში ლაშქრობა?
2. რუსთა ლაშქრობის დაწყების შემდეგ ქართველთა და სომეხთა ლაშქრით სად დაბანაკდა ქართლის მეფე ვახტანგ VI?
3. სად უნდა შეერთებულიყო რუსთა და ქართველთა ლაშქარი?
4. რა მიმართულებით უნდა გაელაშქრა შეერთების შემდეგ რუსთა და ქართველთა ლაშქარს?
5. რომელი სიმაგრე დაიკავეს რუსებმა კასპიის ზღვის სანაპიროზე?
6. როდის დაიკავა თბილისი კახთა მეფე კონსტანტინემ?

7. როდის დაიკავეს ოსმალეთს თბილისი?
8. კასპიისპირეთში ლაშქორების განახლების შემდეგ რომელი სიმაგრე დაიკავეს რუსებმა?
9. როდის აიღეს რუსებმა ბაქო და სალიანი?
10. როდის დაიდო რუსეთ-ირანის ზავი (პეტერბურგის ტრაქტატი)?
11. რა ტერიტორიები მიიღო რუსეთმა პეტერბურგის ტრაქტატით?
12. რატომ არ დაიცვა პეტრე I-მა პეტერბურგის ტრაქტატის დადების დროს საქართველოდან დევნილი მეფის ვახტანგ VI-ის ინტერესები?

3. რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ტრაქტატი)

1722-1723 წლებში რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაკავებამ, განსაკუთრებით კი 1723 წლის 12 სექტემბრის რუსეთ-ირანის პეტერბურგის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) ოსმალეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ოსმალეთისათვის არაფერს არ ნიშნავდა ის, რომ ის შაჰმა არ ცნო მისი ელჩის მიერ პეტერბურგში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ფეხი მოიკიდა და, ცხადია, კიდევ მეტის მიღწევას შეეცდებოდა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საქმე ომამდე არ მისულა, კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოგვარდა. 1724 წლის 12 ივნისს **სტამბოლში** ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება (ტრაქტატი).

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის **სტამბოლის ხელშეკრულებით (ტრაქტატით)** ოსმალეთმა აღიარა კასპიისპირეთის რუსეთის ხელში გადასვლა. ამავე დროს ოსმალეთმა უარი თქვა მთელი ირანის დაპყრობაზე. სამაგიეროდ, რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა.

რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულებით უკვე მეორედ და, რაც მთავარია, აშკარად გაწირა თავისი მოკავშირე, ქართლის მეფე ვახტანგ VI. თუ რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის პეტერბურგის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) ვახტანგ VI-ის ინტერესები სავსებით უგულვებლყო, რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დაადასტურა ქართლის სამეფოს, ისევე როგორც კახეთის სამეფოს, ოსმალეთის ხელში გადასვლა.

ირანისა და ოსმალეთისაგან ერთდროულად დევნილი ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა.

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულების (ტრაქტატის) დადების შემდეგ მთელი საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის
12 ივნისის საზაო ხელშეკრულების პრეამბულა

Трактатъ, заключенный въ Константинополь между Российскимъ Резидентомъ Неплюевымъ и Великимъ Визиремъ Ибрагимомъ Пашею, о согласии Россойского двора съ Турецкимъ, по доводу явившагося въ Персии самозванца Махмуда, на присоединение Персидскихъ провинций къ России и Турции по ихъ прикосновенности къ границамъ того и другого Государства.

Понеже явился нъкий Мрвейзовъ сынъ, называемой Мари Махмудъ, которой нашедъ на Гуссейна Шаха Персидскаго и Испанагъ, столицу Персидскую взявъ, и его Шаха Гуссейна поймавъ съ дѣтьми его въ Испаганъ сущими, въ тюрьму посадилъ: того для во время того разорения Перии, съ стороны высокой Порты отправлены туда войска для отобрания всѣхъ потребныхъ высокой Порть порубежныхъ мѣсть, какъ и взята вся Георгия, провинция области Персидской. При семъ случай такожь и его Величество, державной и великопной Московский Царь въчнымъ миромъ обязанной приятель высокой Порты при конъюнктуръ Персидскаго смущения города Дербентъ и Баку, въ Ширванской провинции лежащие, и нъкоторыя еще по берегу Каспийскаго моря лежащая мѣста къ себѣ взялъ. Между тѣмъ явился въ странахъ Казбина и Тавриза нъкий Тахмасибъ, называемой, Шаха Гуссейна сынъ, съ которымъ Его Царское Величество въ учрежденныхъ артикулахъ и кондицияхъ, въ постановленномъ и договоренномъ трактатъ изображенныхъ трактовали и постановили, что помянутые города Дербентъ и Баку въ Ширванской провинции лежащие въ какомъ состоянии ни были, да будутъ подъ владѣниемъ Каспийскаго моря Персидскаго владѣния лежащая земли провинции Гиланъ, Мазандеранъ и Астрабатъ впредь да будутъ подъ владѣниемъ помянутаго Царя. Взаимно помянутой Цать общался и объявилъ вспоможение помянутому Тахмасибу чинить войсками, Государство Персидское отобравъ у узурпатора Мири Махмуда, Его на престоль возставить, въ семъ дѣль склонить онъ Высокую порту къ тому, чтобы она Тахмасибову сторону держала, съ предложениемъ, что будетъ добрую свою медиацию къ тому употребить, чтобы Тахмасибъ уступилъ Высокой Порть надлежащая провинции въ Персии, или чрезъ не диецию, или общими силами; и для такой неготиации полномочнымъ опредѣлили Резидента своего при высокой Порть обрътающагося почтеннаго въ Мессойскомъ народъ Ивана Неплюева; такожь съ общаго согласия обихъ сторонъ востребовать и медиаторомъ назначенъ почтенной медлу вельможами Мессийскаго народа Маркизь де Бонакъ, державнаго и великопнаго Короля Французскаго Посоль при Высокой Порть резидующий, чрезъ медиацию котораго многократныя конференци возымель съ полнопчными

определенными сь стороны Высокой Порты и вь сей негоцоаои Персидскаго дьла между Высокою Портою и помянутымь Царскимь Величествомь постановлено, яко вь сльдующихь пунктахь изображено: (Полное собрание законов Российской империи, с 1649 года. Том VII. 1723-1727. [СПб.]; 1830, стр. 303-304 (№ 4531).

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
5. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
6. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.
8. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998.
9. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

კითხვები:

1. რატომ იყო მიუღებელი ოსმალეთისათვის პეტერბურგის ტრაქტატი?
2. როდის დაიღო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ტრაქტატი)?
3. რა პრინციპები დაედო საფუძვლად სტამბოლის ტრაქტატს?
4. სტამბოლის ტრაქტატით რომელ სახელმწიფოს ერგო ქართლისა და კახეთის სამეფოები?
5. რა მოიმოქმედა ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ სტამბოლის ტრაქტატის დადების შემდეგ?

4. რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის საზავო ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი)

რუსეთი მტკიცედ იცავდა 1724 წლის 12 ივნისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში დადებულ ხელშეკრულებას და ქართლისა და კახეთის სამეფოების საქმეებში არ ერეოდა. პეტრე I-ის ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა მისი გარდაცვალების (1725 წ.) შემდეგაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვახტანგ VI ამაოდ ცდილობდა რუსეთის დახმარებით მიეღწია იმისათვის, რომ ოსმალეთს ხელი აეღო ქართლზე.

ირანში არეულობა გრძელდებოდა. ავღანელთაგან დამარცხებული ირანის შაჰი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოსმალეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და 1725 წელს მიიტაცა **ყაზვინი, არდებილი** და ირანის სხვა ქალაქები. რუსეთის იმპერატორმა **ეკატერინე I-მა (1725-1727)** გადაწყვიტა ავღანელებისაგან დამარცხებული შაჰ-თამაზისათვის **გილანში** რუსეთის ჯარის ჩასვლა შეეთავაზებინა. რუსეთის ჯარს გილანში **ვახტანგ VI-ც** უნდა გაჰყოლოდა. დევნილ მეფეს გარკვეული იმედი ჩაესახა. ვახტანგ VI კასპისპირეთში (რეშტში) 1726 წლის 10 სექტემბერს ჩავიდა. ამ დროისათვის ირანში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. ირანი ვეღარ უმკლავდებოდა ავღანელთა შემოტევას. 1725 წელს ავღანელებმა **მირ-მაჰმუდის** წინამძღოლობით ამოწყვიტეს სეფიანი შაჰების მთელი მამრობითი სქესის შთამომავლობა (შაჰ-თამაზი გადარჩა). იმავე 1725 წელს თავისი არაადამიანური სისასტიკით ცნობილი მირ-მაჰმუდი მისივე ახლობლებმა მოკლეს და ირანის შაჰად მოკლულის ბიძაშვილი **ემრეფი** გამოაცხადეს. 1726 წელს ემრეფმა ოსმალთა წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა ისინი. 1727 წლის სექტემბერში ირანის შაჰად გამოცხადებულ ემრეფსა და ოსმალეთის სულთანს შორის დაიდო ხელშეკრულება. ემრეფმა სულთანს დაუთმო ოსმალების მიერ უკვე დაკავებული ქალაქები და ციხეებში **აზერბაიჯანში, ქურთისტანსა და ხუზისტანში**. სამაგიეროდ, სულთანმა ემრეფი ცნო დანარჩენი ირანის შაჰად. ოსმალეთის სულთანთან დადებულმა ხელშეკრულებამ გარკვეულწილად განამტკიცა ემრეფის მდგომარეობა. ირანის ახალმა შაჰმა გადაწყვიტა რუსების განდევნა **გილანიდან** და **კასპისპირეთის სხვა პროვინციებიდან**. ემრეფის ჯარი რუსებთან ბრძოლაში რამდენჯერმე დამარცხდა. ირანის შაჰი იძულებული გახდა რუსეთთან საზავო ხელშეკრულება დაედო. რუსეთის საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს) ხელი მოეწერა ქალაქ **რეშტში** 1729 წლის 13 თებერვალს.

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) შესამე მუხლის ძალით რუსეთმა ირანს დაუბრუნა **მაზანდარანისა და ასტრბადის** პროვინციები. კასპისპირეთში რუსეთის მიერ დაპყრობილი ირანის დანარჩენი ტერიტორია კვლავ რუსეთს დარჩა **Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 196-197.**)

რუსეთის საიმპერატორო კარს არც რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) დადების დროს გაუთვალისწინებია ვახტანგ VI-ის ინტერესები. რუსეთი ირანს ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგ VI-ის კანონიერი უფლების აღდგენას ვერ სთხოვდა, რადგან ქართლი იმხანად კვლავ ოსმალებს ეკავათ, ხოლო ოსმალეთთან 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში დადებული ხელშეკრულება რუსეთს ქართლის (ისევე, როგორც კახეთის) საქმეებში ჩარევას უკრძალავდა.

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით) რუსეთმა უკვე მესამედ (პირველად – 1723 წელს, მეორედ – 1724 წელს) აღიარა ოსმალეთის უფლება ქართლისა და კახეთის სამეფოებზე.

დანართი

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლი

3. Обеих сторон между провинциями, землями, городами, со всеми к ним прежними принадлежностями разграничение имеет быть по сему, за Дербентом от моря внутрь земли, и оттуда до реки Куры, и до устья реки Аракса по учиненным там с Портой границам, а от реки Куры и до устья реки Аракса все прилученные к империи Российской поморские провинции без перерыву и покрывающие и сообщенные с прочими приморскими провинциями по горам, и Мусульманская, и Шафтейская, и Кутумская провинции, и весь Даримарс прежними своими провинциальными границами оных обеих сторон владений да разделяют и охраняют без всякого спора и прекословие не нарушимо, а от окончания помянутых провинций прошел Шафт от границ оных до большей дороги, лежащей из Гиляна к Казбину, между Кутума и Зейтунрутбара до урочища Нуглебар, где имеется Рагдархана, и она Рагдархана остаться имеет в стороне империи Российской, а от Нуглебара и от Рагдархана чрез реку Себдур по горам идучи прямо не вдаваясь ни в которую сторону в Далимайском махале при горе Маклаш на урочище Сардаб, а от Сардаба прямо же по горам не вдаваясь ни в которую сторону на горах, на урочище где Сомамского и Эшкуарского и Темижанского магалов границы сообщились. Оное урочище за граничный знак да будет, а от помянутого троеграничного урочища чрез Эшкуарский махал до Теникабунской границы прямо линия да будет, и будет новыми помянутыми границами идучи от Нуглебар и от раглархана до Сардаба, а от Сардаба до помянутого троеграничного урочища и до Теникабунской границы, где прилучится разрезанными быть каким махалом, или булукам, или деревням, или землям, или лесам, и сколько в которой стороне из оных останется, оные да будут вечно в тех сторонах, сколько в которую сторону остаться имеет, а от урочища, где от помянутого троеграничного места к Теникабунской границе прямая новая граница дойдет, а от онога места идучи Теникабунской провинции границей до самого моря обеих сторон имеет быть разделение, и помянутым из-за Дербени следуя до устья реки Аракса по учиненным тамо границам в своей силе да будет, а от устья реки Аракса до Кутумской провинции всех вышеупомянутых провинций и мест по прежним провинциальным границам, а в Кутумской

провинции на вышеупомянутой большой дороге из Гиляна в Казбин лежащей, меж Кутума и Зейтунрутбара до помянутого урочища Нуглебар и до Рагдархана, а от Нуглебара и от Рагдархана до урочища Сардаб, а от Сардаба до помянутого троеграничного места, а от троеграничного урочища до Теникабунской на горах границы, где новая граница придет, а от того места по Теникабунской границе до моря. Левая сторона к морю со всеми вышепомянутыми провинциями и к ним со всякими принадлежностями под высокой державой Его Императорского Величества Всероссийского, к империи Российской в вечном владении да будет, а правая сторона внутрь земли от заступленных мест многосчастливым в Персии Исфahanом и многими землями обладателем ко исфahanскому обладанию да останутся, и с стороны многосчастливого Исфahanом и многими землями обладателя люди до совершенной ратификации сего благословенного союзного мира, ни под каким образом вступать, и до помянутых мест никако, и ниже письмами касаться да не имеют (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 196-197).

4.

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
5. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
6. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.
8. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი. თბილისი, 1998.
9. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

კითხვები:

1. რატომ ვერ მიაღწია ქართლის მეფე ვახტანგ VI- მ რუსეთის დახმარებით ქართლიდან ოსმალეთის განდევნას?
2. რა შესთავაზა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე I-მა ავღანელებთან ბრძოლაში დამარცხებულ შაჰ-თამაზს?
3. როდის ჩავიდა ვახტანგ VI ქ. რეშტში?

4. როდის დაიდო ირან-რუსეთის რეშტის ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი)?
5. რეშტის ტრაქტატით რომელი პროვინციები დაუბრუნა რუსეთმა ირანს?
6. რატომ არ დააყენა რუსეთმა რეშტის ტრაქტატის დადების დროს ვახტანგ VI-ის ქართლში დაბრუნების საკითხი?

5. ირან-ოსმალეთის 1731 წლის ჰამადანის საზავო ხელშეკრულება (ჰამადანის ზავი)

ირანში ავღანელთა ბატონობა მყარი არ აღმოჩნდა. მაზანდარანში გაქცეული შაჰ-თამაზი ავღანელებთან საბრძოლველად ემზადებოდა. შაჰ-თამაზის გარემოცვაში გამოირჩეოდა თავისი სიმამაცით განთქმული **ნადირი**. 1729 წლის 13 ნოემბერს **შაჰ-თამაზმა** და **ნადირმა** ისპაანთან სასტიკად დაამარცხეს **ემრეფი**. 1730 წლისათვის ნადირმა ავღანელები ირანიდან განდევნა და ირანის ფაქტობრივი მმართველი გახდა. 1731 წელს, ნადირის ავღანეთში ყოფნის პერიოდში, ოსმალებმა შაჰ-თამაზის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. იმავე 1731 წელს **ჰამადანში** ხელმოწერილი იქნა ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება.

ირან-ოსმალეთის 1731 წლის საზავო ხელშეკრულების (ჰამადანის ზავის) მიხედვით საზღვარმა ირანსა და ოსმალეთს შორის მდინარე **არაქსზე** გადაინაცვლა. **ქართლისა და კახეთის სამეფოები დაწარმოებულნი საქართველოსთან ერთად ოსმალეთს ერგო.**

ამრიგად, 1731 წლის ჰამადანის ზავით ირანმა აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) გადასვლა ოსმალეთის ხელში.

ლიტერატურა:

1. **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი**. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. **გიორგი პაიჭაძე**. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. **ვახტანგ გურული**. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. **ვახტანგ გურული**. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
5. **ვახტანგ გურული**. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.

კითხვები:

1. როდის დაიღო ჰამადანის ზავი?
2. რა მოვლენები უძღვოდა წინ ჰამადანის საზაო ხელშეკრულებას?
3. ჰამადანის ზავის მიხედვით სად გადიოდა საზღვარი ირანსა და ოსმალეთს შორის?
4. როგორ გაინაწილეს საქართველოს ტერიტორია ჰამადანის ზავით ირანმა და ოსმალეთმა?

6. რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულება (რემტის ტრაქტატი)

შაჰ-თამაზი თავს ვერ ართმევდა ირანში შექმნილ მძიმე ვითარებას. 1732 წლის 21 იანვარს რემტში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ირანის ხელშეკრულება (რემტის ტრაქტატი).

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულების (ტრაქტატის) მეორე მუხლის ძალით ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთს უნდა დაეცალა და ირანისათვის გადაეცა გილანისა და ასტრახადის პროვინციები. იმავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი პირობას დებდა „მტკვრისპირა პროვინციებს“ („Курю-реку провинции“) არ შეიერთებდა და დაუბრუნებდა ირანს, როგორც კი შაჰი თავის ტერიტორიიდან განდევნიდა მტერს და ქვეყანაში მშვიდობა დამყარდებოდა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ბაქოსა და დარუბანდს (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 200-202.)

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულების (ტრაქტატის) მერვე მუხლი ეხება საქართველოს. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ს ჰპირდებოდა ქართლის სამეფო ტახტზე დაბრუნებას, როგორც კი ქართლზე ირანის პროტექტორატი აღდგებოდა (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 206.)

დანართი I

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულების მეორე მუხლი

2. Обещается силой сего договора, по указу Ее Императорского Величества Всероссийской, что Ее Императорское Величество, показуя к Его Шахову Величеству безприкладный знак своей высокой приязни, уступает прежние от антецессоров своих блаженной памяти всероссийских императоров, по трактатам и по праву оружия, за понесенные воинские многие оживения, имеющие претензии на провинции персидские с единого великодушия своего, невзирая на толь многие миллионы, на воинские иживения употребленных своих денег, и а урон войск своих, от начала вступления в Персию понесенный; и обещает очистить и отдать от Его Шахова Величества с полной мочью определенному помянутому почтеннейшему и высокостепенному господину послу, провинцию Лагеджанскую с принадлежностями и весь Ранапук, по ту сторону Сепидруд-реки, в месяц от заключения и разменения сего трактата считая, не ожидая ратификации. Гилянскую же и Астрабатскую и прочие от Астрабата даже по Куру-реку провинции, по заключении сего трактата, и по полученной Шахова Величества на одной ратификации, или подтверждения в 5 месяцев в таком, в каком оные провинции и места ныне в цветущем состоянии обретаются и подпротекцией войск Ее Императорского Величества приведены, а доходы провинций Кутума и Шефта в месяц; прочих же провинций, по Куру-реку, доходы по заключении сего трактата и полученной Шахова Величества ратификации в три месяца, от людей Императорского Величества собираемы и в казну Шахова Величества отдаваны быть имеют, кому оные принимать повелено будет по вышеписанный пятимесячный срок. О прочих же провинциях и местах персидских от реки Куры, которые во владении Ее Императорского Величества обретаются, объявляются именем и по указу Ее Императорского Величества, что Ее Величество и оных к своему государству присовокупить не соизволяет, но обещает их тако ж возвратить во владение Его Шахова Величества сколь скоро в том безопасность усмотрится, а именно: когда Шахово Величество неприятелей своих, которые ныне имеются, из своих наследных провинций выгонит, и в спокойное владение государство свое приведет; что ни с какого иного намерения со стороны Ее Императорского Величества чинится, кроме доброжелательства к стороне Шахова Величества пререгая, дабы по выступлении скором Ее Императорского Величества войск из оных провинций и мест тамо в близости пребывающие горские непостоянные народы, соединясь паки с противляющимися Его Шахова Величества подданными вновь возмущение не учинили, и те от них, уже прежде хищением своим истощенные места, которые ныне под протекцией Ее Императорского Величества войск отдохнули, и жителями поумножились, паки не вступили, и с прочими противниками Его Шахова Величества не соединились, и тем бы паки возмущение в Персии не возобновили; а сколь скоро Его Шахово Величество в спокойную власть своего государства себя приведет, то Ее Императорское Величество из прочих всех Персидского государства мест войска свои вывести, и оные определенными для принятия от Его Шахова Величества без всякого удержания вручить повелит; но притом Ее Императорское Величество, накрепко уговаривает, дабы те, от Ее императорского Величества российским оружием завоеванные, и Его Шахову Величеству возвращаемые провинции ни под каким образом в другие державы отдалы не были, которое великодушное Ее Императорское Величество объявление Его Шахово Величества видя, в том самом истинную к себе приязнь приемлет с благодарением и обещает взаимно всякими удобовозможными

показаниями приязни своей к стороне Ее Императорского Величества воздавать (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 200-202).

დანართი II

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების მერვე მუხლი

7. Понеже обще верный Ее императорского Величества и Шахова Величества, Его Высочество царь Вахтанг Грузинский лишен своего владения, которому обещает Шахово Величество, что когда Грузия будет по-прежнему при Персии в Протекции Шахова Величества: тогда высокопомянутому в характере царском, по-прежнему обыкновению, в Грузии владение и правление иметь да определится (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 206).

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
5. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.

კითხვები:

1. როდის დაიღო რუსეთ-ირანის რეშტის ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი)?

2. რეშტის ტრაქტატით რომელი ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთმა ირანს?
3. რა იყო ნათქვამი რეშტის ტრაქტატში „მტკვრისპირა პროვინციების“ თაობაზე?
4. რეშტის ტრაქტატის რომელი მუხლი ეხებოდა საქართველოს?
5. რეშტის ტრაქტატის მერვე მუხლის ძალით რას ჰპირდებოდა ირანის შაჰი ვახტანგ VI-ს?

7.რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის საზაო

ხელშეკრულება (განჯის ტრაქტატი)

1732 წლის აგვისტოში ნადირმა შაჰ-თამაზი ტახტიდან გადააყენა და ირანის შაჰად მისი რვა თვის ვაჟი **აბასი** გამოაცხადა. ნადირი მცირეწლოვანი შაჰის რეგენტი გახდა. 1732 წლის დამლევს ნადირი ოსმალთა წინააღმდეგ დაიძრა, აიღო **ჰამადანი** და **ქერმანშაჰთან** გაანადგურა ოსმალეთის არმია, გაჟლიტა 40 ათასი კაცი, ტყვედ წაიყვანა 20 ათასი. ირანის ჯარებმა ალყა შემოარტყეს **ბაღდადს**. 1733 წლის დეკემბერში **ნადირსა** და ოსმალთა ფაშას **აჰმედს** შორის დაიდო ზავი. ზავის პირობით ირანს უბრუნდებოდა ოსმალეთისაგან მიტაცებული ყველა ტერიტორია, მათ შორის **ქართლი** და **კახეთი**. ოსმალეთის სულთანმა ზავის პირობები არ ცნო და ომი განახლდა. მალე ომმა სამხრეთ კავკასიაშიც გადმოინაცვლა.

1734 წლის ზაფხულში ნადირმა **შემახა** აიღო და რუსეთის იმპერატორს **ანა ივანე ასულს** დაპირებისამებრ **დარუბანდისა** და **ბაქოს** დაბრუნება მოსთხოვა. ოსმალეთი **ქართლის, კახეთის, ასევე განჯისა** და **ერევნის** ციხე-სიმაგრეების შენარჩუნებას ცდილობდა.

რუსეთმა, რომელიც დაინტერესებული იყო ირანთან კავშირით, ნებაცოფლობით თქვა უარი მდინარე **მტკვრის სამხრეთით მდებარე ირანულ პროვინციებზე**. რუსეთსა და ირანს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა **განჯაში**. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1735 წლის 10 მარტს.

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების პირველი მუხლი ადასტურებდა რუსეთის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების პირობებს, რომლის ძალითაც რუსეთმა ირანს დაუბრუნა **გილანი, მაზანდარანი** და **ასტარბადი**. განჯის ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირველი მუხლებით კი რუსეთი ირანს **დარუბანდისა** და **ბაქოს** უბრუნებდა (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 208-209.)

რუსეთის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო, რომ განჯის ხელშეკრულება „ანახლებდა“ და „ადასტურებდა“ რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულების პირობებს („сим трактатом вечного союза, возобновить и подтвердить“) (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 210). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძალაში რჩებოდა რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულების მერვე მუხლი, რომლის ძალითაც ირანის შაჰი ვახტანგ VI-ს ქართლის ტახტზე დაბრუნებას აღუთქვამდა.

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირველი მუხლი ირანს ავალდებულებდა დერბენტში არსებული ქართული ეკლესიის დაცვას და იქ ღვთისმსახურების გაგრძელების უზრუნველყოფას (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 209.)

დანართი I

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის

საზაო ხელშეკრულების პირველი მუხლი

1. За такое многое одолжение и дружбу, что учинено от стороны Российской империи, Иранское государство обещается, вечно с Российской империей пребыть в союзной дружбе, и крепко содержать российских приятелей за приятелей, а неприятелей российских за неприятелей иметь, и кто против сих двух Высоких Дворов войну начнет: то оба Высоких Двора против того неприятеля войну начать, и во всех случаях друг другу помогать должны. Города Баку и Дербент, никаким образом и ни под каким видом, в руки других держав, а паче общих неприятелей, не отдавать но всячески иметь старание, дабы оные в державе Иранского государства содержать. А которые обыватели вышепомянутых городов, будучи в подданстве, какие службы Ее Императорскому Величеству Всероссийскому и Российской империи, по верности своей отправляли оным никакого за то истязания не показать, и то им в неверность Иранскому государству не причитать. Имеющийся в Дербенте грузинский монастырь христианского закона, оный да пребудет во всем нерушим, и в нем, по обычаю и вере христианской, отправление службы позволяется, никакого помешательства ни от кого не будет, ниже служителям в оном, которых, как духовного, так и светского чина, не более шести человек быть имеет, никто никакого озлобления учинить да не дерзает (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 208-209).

დანართი II

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის საზაო ხელშეკრულების მეოთხე მუხლი

IV. Напред сего в Ряще, между обоими дворами заключенный (21 января 1732 года) трактат, кроме тех артикулов, что уже пред сим в действо произведены, власно, акибы в сей артикул от слова до слова был внесен, сим трактатом вечного союза, возобновить и подтвердить, который нерушимо навеки храним и содержан быть имеет (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 210).

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
5. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.

კითხვები:

1. როდის დაიწყო საომარი მოქმედებები ნადირ-ხანმა ოსმალეთის წინააღმდეგ?
2. როდის დაიდო ზავი ნადირ-ხანსა და აჰმედ-ფაშას შორის?
3. ნადირ-ხანსა და აჰმედ-ფაშას შორის დადებული ზავის მიხედვით რა ბედი ეწია ქართლის და კახეთის სამეფოებს?
4. რატომ განახლდა ზავის დადების მიუხედავად ომი ირანსა და ოსმალეთს შორის?
5. როდის აიღო ნადირ-ხანმა შემახა?
6. შემახის აღების შემდეგ რა მოსთხოვა რუსეთის იმპერატორს ნადირ-ხანმა?
7. როდის დაიდო რუსეთ-ირანის განჯის ხელშეკრულება (განჯის ტრაქტატი)?
8. განჯის ტრაქტატით რომელი ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთმა ირანს?
9. შეეხო თუ არა განჯის ტრაქტატი ქართლის სამეფოს?

10. რა იყო ნათქვამი განჯის ტრაქტატის პირველივე მუხლში დერბენის (დარუბანდის) ქართული ეკლესიის თაობაზე?

8. რუსეთ-ოსმალეთის 1739 წლის 18 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება(ბელგრადის ტრაქტატი)

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) 1735 წლამდე არ დარღვეულა. 1735 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, რომელიც 1739 წლამდე გაგრძელდა. ომის ფორმალური მიზეზი გახდა ყირიმის ხანის თავდასხმები რუსეთის სამხრეთ პროვინციებზე. ომის ნამდვილი მიზეზი ჩრდილოთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირება იყო.

1736 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ყირიმის სახანოს დედაქალაქი **ბახჩისარაი** და **აზოვის** ციხე-სიმაგრე, 1737 წელს – მდინარე დნეპრის შესართავში მდებარე **ოჩაკოვის** ციხე-სიმაგრე. 1739 წელს რუსებმა **სტავუჩანთან** (მდ. დნესტრზე) ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. 1739 წლის 18 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის **ბელგრადში** ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო **აზოვი**, ოღონდ სამხედრო-საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის უფლების გარეშე.

ბელგრადის საზავო ხელშეკრულების ძალით, დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთმა შეინარჩუნა ყველა სიმაგრე ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 38-46).

ამრიგად, ოსმალეთს დარჩა მის მიერ ადრე დაკავებული სიმაგრეები **აფხაზეთში**, **სამეგრელოსა** და **გურიაში**.

ლიტერატურა:

1. **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი**. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000.
2. **გიორგი პაიჭაძე**. ვახტანგ VI. თბილისი, 1981;
3. **ვახტანგ გურული**. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
4. **ვახტანგ გურული**. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.

5. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.
6. Г. Пайчадзе. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в. Тбилиси, 1970.

კითხვები:

1. რამდენი წლის განმავლობაში არ დარღვეულა 1724 წლის 12 ივნისის რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება ((სტამბოლის ტრაქტატი)?
2. როდის დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი?
3. რა იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის მიზეზი?
4. როდის იქნა ხელმოწერილი რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი)?
5. რომელი ქართული ტერიტორიები შეინარჩუნა ოსმალეთმა ბელგრადის ტრაქტატით?

9. რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის საზავო ხელშეკრულება (ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი)

აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად რჩებოდა. 1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. 1769 წელს აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო მოლდოვისა და ვალახეთის ტერიტორიაზე, ასევე აზოვის ზღვის სანაპირო რაიონებში. 1770 წელს რუსეთის არმიამ მდინარე ლარგასთან და მდინარე კაგულთან (მდინარე პრუტის შენაკადები) დაამარცხა ოსმალეთის არმია და მდინარე დუნაის მიაღწა. 1770 წელსვე რუსეთის სამხედრო ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში, ჩესმენის ყურეში (მცირე აზიის სანაპირო), გაანადგურა ოსმალეთის სამხედრო ესკადრა. 1771 წელს რუსებმა ყირიმის სახანოს ტერიტორია დაიკავეს.

ოსმალეთთან ომში რუსეთის საიმპერატორო კარმა ქრისტიანი ხალხების გამოყენება გადაწყვიტა. 1769 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებმა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს. 1769 წელს რუსეთის არმიის საექსპედიციო კორპუსი გენე-

რალ გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 1770 წლის აპრილში ქართლ-კახეთისა და რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ძალა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. ქართველებსა და რუსებს მტკვრის ხეობით ახალციხის მიმართულებით უნდა შეეტიათ. 1770 წლის აპრილში გენერალმა გ. ტოტლებენმა აწყურის ციხის ალყის დროს ერეკლე II მოლაღატურად მიატოვა და უკან გამობრუნდა. მართალია, 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში ქართლ-კახეთის ლაშქარმა ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ქართველთა და რუსთა ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ჩაიშალა. აწყურის ციხესთან ბრძოლის მიტოვების შემდეგ გენერალი გ. ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის სამეფოში გადავიდა. გენერალ გ. ტოტლებენის ღალატი რუსეთის საიმპერატორო კარის შორსგამიზნული გეგმის ერთი დეტალი იყო.

სოლომონ I-მა ისარგებლა იმით, რომ ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის ფაშის ძირითადი ძალები გაანადგურა და ოსმალებს შეუტია. 1770 წელს იმერეთის მეფემ ოსმალებს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები დაატოვებინა. ამის შემდეგ სოლომონ I-მა ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია, თუმცა ციხის ალეხა ერთბაშად ვერ მოახერხა. 1770 წლის 2 ივლისს სოლომონ II-მ და გენერალმა გ. ტოტლებენმა ბაღდადის ციხეს შემოარტყეს ალყა, მალე ოსმალთა გარნიზონი დანებდა. 6 აგვისტოს ღამით, გ. ტოტლებენის აშკარა თანადგომით, ოსმალთა გარნიზონი შეუმჩნევლად გაიპარა ქუთაისის ციხიდან. 1770 წლის 3 ოქტომბერს გ. ტოტლებენმა ფოთის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ ვერ აიღო. გ. ტოტლებენს მალე იმერეთის მეფესთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. 1771 წლის მაისში იმერეთში რუსთა საექსპედიციო კორპუსის ახალი მეთაური გენერალი ა. სუხოტინი ჩავიდა. ფოთი ვერც ა. სუხოტინმა აიღო და 1771 წლის ოქტომბერში ციხე-სიმაგრეს ალყა მოხსნა. 1772 წლის ივნისში რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველოს საზღვრები დატოვა.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა. ომის დასასრულისათვის ოსმალები განდევნილნი იყვნენ იმერეთის შემდეგი ციხეებიდან: ქუთაისიდან, ცუცხვათიდან, შორაპნიდან და ბაღდადიდან.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი დამთავრდა საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით), რომელიც ხელმოწერილ იქნა 1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში (მდ. დუნაის მარჯვენა სანაპირო).

რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ძალით რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი – შავი ზღვისპირეთის სტე-

პის ზონა (ნოვოროსია). ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი ეხება ბოდა საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს. საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მას მთლიანად მოვიტანთ:

„საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან – საქართველოდან, სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად ვალდებულებას იღებს ყველა იმათი სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე; პორტა ვალდებულებას კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ: ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალმა და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა. მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი”.

ამრიგად, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) იყო რუსეთის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ინტერესებს იცავდა (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 56-57; Е.И. Дружинина. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (Его подготовка и заключение). Москва, 1955, стр. 356).

დანართი

რუსეთ-თურქეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის

საზავო ხელშეკრულების ოცდამესამე მუხლი

Art. 23. В части Грузии и Мингрелии находящиеся крепости Богдачик, Кутаис и Шегербань, российским оружием завоеванные, будут Россией признаны принадлежащими тем, кому они издревле принадлежали, так, что ежели подлинно оные города издревле, или с давнего времени были под владением Блистательной порты, то будут признаны ей принадлежащими: а по размене настоящего трактата в условленное время, российские войска выдут из помянутых провинций Грузии и Мингрелии. Блистательная же Порта со своей стороны обязывается, в сходственность с содержанием первого артикула, дозволить совершенную амнистию всем тем, которые в том краю, в течение настоящей войны, каким ни есть образом ее оскорбили. Торжественно и навсегда отказывается она требовать дани отроками и отроковицами и всякого рода других податей, обязывается не почитать между ими никого за своих подданных кроме тех, кои издревле ей принадлежали, все замки и укрепленные места, бывшие у грузинцев и мингрельцев во владении, оставить паки под собственной их стражей и правлением, так как и не притестать никоим образом веру, монастыри и церкви, и не препятствовать поправлению старых, созиданию новых, и да не будут притесняемы какими-либо требованиями от губернатора чилдирского и от прочих начальников и офицеров в лишении их имений. Но как помянутые народы находятся подданными Блистательной Порты, по Российской империя не имеет со всем впредь в оные вмешиваться, ниже притеснять их (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 56-57; Е.И. Дружинина. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (Его подготовка и заключение). Москва, 1955, стр. 356).

ლიტერატურა

1. **Е.И. Дружинина.** Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (Его подготовка и заключение). Москва, 1955, стр. 356.
2. **ვახტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
3. **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
4. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** ამასიიდან ყარსამდე. 1555-1921. თბილისი, 2007.

კითხვები:

1. როდის დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი?
2. როგორ წარიმართა საბრძოლო მოქმედებები 1768-1771 წლებში?
3. როდის შედგა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთის იმპერიას, ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს შორის?
4. როდის შემოვიდა რუსეთის საექსპედიციო კორპუსი საქართველოში?
5. როდის დაიწყო ქართველთა საერთო ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ?

6. რომელი მიმართულებით შეუტია ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა?
7. როდის შემოარტყეს ალყა ქართველებმა და რუსებმა აწყურის ციხეს?
8. რა მოიმოქმედა გენერალმა გ. ტოტლებენმა აწყურის ციხის ალყის დროს?
9. როდის გაიმართა ასპინძლის ბრძოლა?
10. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლის დროს იმერეთის რომელი ციხეებიდან განდევნეს ოსმალები?
11. როდის დაიდო ქუჩუკ-კანარჯის ზავი?
12. ქუჩუკ-კანარჯის ტრაქტატის რომელი მუხლი ეხებოდა საქართველოს?
13. რა იყო ნათქვამი ქუჩუკ-კანარჯის ტრაქტატის ოცდამესამე მუხლში. ქუთაისი ბაღდადისა და შორაპნის ციხეების თაობაზე?
14. რა იყო ნათქვამი ქუჩუკ-კანარჯის ტრაქტატის ოცდამესამე მუხლში ოსმალეთისათვის იმერეთის მეფის მიერ ჭაბუკებისა და ქალიშვილების ხარკად მიცემაზე?
15. ქუჩუკ-კანარჯის ტრაქტატის ოცდამესამე მუხლის ძალით როგორი სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარების ვალდებულებას იღებდა ოსმალეთი?

10. 1783 წლის 24 ივლისის მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის (გეორგიევსკის ტრაქტატი)

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი) მომზადდა და დაიდო იმხანად მოქმედი საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხი ეკატერინე II-ის წინაშე ერეკლე II-მ ოფიციალურად 1771 წელს დააყენა. 1771 წლის 30 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს მეფემ თბილისში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თვის გასაგზავნ დოკუმენტს – ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლისას, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების „უცვალებლად“ და „მოუშლელად“ შენარჩუნებას ითხოვდა. სამეფო ხელისუფლების თაობაზე ხელშეკრულების პროექტში ვკითხულობთ: „კუალად ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო, ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებლად ეგოს...“ პეტერბურგში ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი ასე თარგმნეს: **„Из давних еще лет предки наши восприяли царское достоинство и находились царями. Из милосердия Вашего Величества всенижайше прошу дозволить и нам на вечныя времена находиться на таком же основании ...“** ასევე მკაფიო და სავსებით ნათელი იყო ერეკლე II-ის

თხოვნა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების შენარჩუნების თაობაზე: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“. (რუსულ თარგმანში: „**Каталикос оставатся имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены**“). როგორც ვხედავთ ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში სამეფო ხელისუფლების უცვლელად შენარჩუნებას, ასევე სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქის – კათოლიკოს-პატრიარქის თავის უფლებებში უცვლელად დატოვებას.

რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობად ერეკლე II ასევე აყენებდა: 1) ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის მიზნით, რუსთა ოთხი ათასიანი კორპუსის გამოგზავნას; 2) ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე ოსმალთა ტყვეობისაგან თავდახსნილ ქართველთა სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების უზრუნველყოფას; 3) ქართლ-კახეთის ჯარის შესანახავად რუსეთის იმპერიის ხაზინიდან სესხის მიცემას; 4) რუსეთ-ოსმალეთის ომის (იგულისხმება იმხანად მიმდინარე 1768-1774 წლების ომი) დამთავრების შემდეგ ზავის დადებისას „ახალციხის ქვეყანა“ (ე.ი. სამცხე-საათაბაგო) არ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის შემადგენლობაში, „ვინაიდან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.“ (რუსულ თარგმანში: „**ибо сия провинция принадлежит Грузии и на грузинской земле лежит, обыватели тамошние имеют грузинской язык, и многие из них поныне христианами находятся, а некоторые не в давних временах зделались магометанами.**“)

1722 წლის 6 იანვარს, ანუ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, მცხეთაში ხელმოწერილ იქნა მეორე დოკუმენტი – ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. ხელშეკრულების პროექტისგან განსხვავებით, რომელსაც ხელს მხოლოდ ერეკლე II აწერდა, სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: მეფე **ერეკლე II**, დედოფალი **დარეჯანი**, კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I**, ბატონიშვილები: **გიორგი**, **ლევანი**, **იულონი** და **ვახტანგი**. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაზე უარს არასოდეს იტყოდა, რის თაობაზეც ფიცს დებდა: „ეს ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდასა სახარებასა ზედა ფიცით დამიმტკიცებია და თვით ხელითა ჩემთა დამიწერია და ეგრეთვე სახლეულთა ჩემთა ხელმოწერით და დაბეჭდვით მტკიცე მიყოფია.“ (რუსულ თარგმანში: „**и утверждаем клятвою нашею пред всемогущим богом, пред святым евангелем и пред животворящим его крестом, и собственною мою рукою писал я сие прошение, и как я, так и все из фамилии моей каждой порознь своеручно свое имя подписали и порознь каждой приложили к сей присяге чернильную печать с изображением наших имен**“).

ხელშეკრულების პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე (1771 წლის 30 დეკემბერი) და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს (1772 წლის 6 იანვარი) პეტერბურგში 1772 წელს ჩაიტანეს კათოლიკოზ-პატრიარქმა

ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა. იმავდროულად რუსეთის იმპერატორს მფარველობაში მიღებას სთხოვდა იმერეთის მეფე სოლომონ I.

რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს იფიქრეს ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის თხოვნაზე. 1782 წლის მიწურულსა და 1783 წლის დამდეგს (ზუსტი თარიღი უცნობია) ეკატერინე II-ის მდივანმა (1775 წლიდან) და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა (1783 წლიდან) ალექსანდრე ბეზბოროდკომ კავკასიის ხაზის უფროსს გრიგოლ პოტიომკინს წერილობით აცნობა ეკატერინე II-ის აზრი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან დასადები ხელშეკრულებების (ტრაქტატის) თაობაზე. ევროპის სახელმწიფოებთან პოლონეთის ტერიტორიის, ხოლო ოსმალეთთან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთის გამო გართულებული მდგომარეობის პირობებში ეკატერინე II-ს სიფრთხილე გამოუჩენია და უბრძანებია: „ ... დაიდოს ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი, ნუ უწოდებთ მათ ქვეშევრდომებს, უწოდეთ – მოკავშირეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის იმპერიის მფარველობაში” (დედანში: „ ... заключить с Грузинскими Царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссийской покровительствуемыми.”) იმავდროულად, ეკატერინე II კატეგორიულად მოითხოვდა ერეკლესა და სოლომონს შეეწყვიტათ ურთიერთობა ავსტრიის იმპერატორთან, ასევე სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (დედანში: „Отклонить всякое их знакомство с императором (იგულისხმება ავსტრიის იმპერატორი – ვ.გ..) и с другими христианскими державами”) ეკატერინე II საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ (დედანში: „да и писем к императору не посылать”). ამრიგად, ეკატერინე II-მ მფარველობითი ხელშეკრულების დადების პირობად წამოაყენა ისეთი მოთხოვნა, რომელიც ლახავდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების სუვერენიტეტს – ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან დიპლომატიური ურთიერთობა (მიმოწერაც კი!) აკრძალათ.

საინტერესოა ეკატერინე II-ის კიდევ ერთი პირობა: გ. პოტიომკინს უნდა დაემყარებინა მშვიდობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის. მეფეებს შორის კვლავ უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთს უნდა შეესრულებინა (დედანში: „Ея Величество изволила примечать, не нужен ли под вашим руководством мир между царями Ираклием и Соломоном постановить ясный и точный, учиняя себя как ручателем оного, так и арбитром в случае взаимных вновь жалоб”). ამ პირობის წამოყენების მიზანი სრულიად ნათელია: რუსეთი ეცდებოდა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის უთანხმოების გამაფრებას და შემდეგ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას – ქართველ მეფეთა დაპირისპირებაში არბიტრის როლის შესრულებას.

ა. ბეზბოროდკოს მიერ გ. პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ეკატერინე II-ს აზრი არ გამოიუთქვამს ქართლ-კახეთის სამეფოში ეკლესიისა და კათოლიკოს-

პატრიარქის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სამაგიეროდ, ამ საკითხს შეეხო ა. ბეზბოროდკო. იგი გ. პოტიომკინს წერდა: ქართლ-კახეთის კათოლიკოსი რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქთა შორის დაიკავებს ადგილსო (დედანში: „**архиепископа же католикоса – то ему соборнаго, поставить степенем в Российской церкви между первыми**“). ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს „სიახლე“ კათოლიკოს-პატრიარქის, უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლის, მოხსენიებაში: „**архиепископа же католикоса.**” ეს იმას ნიშნავდა, რომ მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქი არქიეპისკოპოსს (მთავარეპისკოპოსს) გაუტოლეს. ეს ა. ბეზბოროდკოს შემთხვევით არ გაუკეთებია. იმავე წერილში ა. ბეზბოროდკო აღნიშნავდა, რომ ქართველი სამღვდელოების რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის დაქვემდებარებით მოიხსნებოდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობიდან მომდინარე საფრთხე (დედანში: „**Когда по духовенству они привязаны будут к Синоду, то по сему примеру и римское духовенство от России же получать будет, а сим кончится сношение с императором, (Австрийским – В. Г.) которому причиною миссионарии**“). ა. ბეზბოროდკო ამ შემთხვევაშიც სრულად გარკვეულ მიზანს ისახავდა. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის და რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის კარგად იყო ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ევროპული ორიენტაციის თაობაზე, მის ახლო ურთიერთობაზე საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან. ცხადია, რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მისიების შეწყვეტით. ეს გარკვეულწილად შეაფერხებდა დასავლეთ ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ძიების საქმეს, საქართველოში ევროპული განათლებისა და მეცნიერების მიღწევების გავრცელებას.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსული სიმაგრე **გეორგიევსკში** დაიდო ტრაქტატი (ხელშერულება) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. პრეამბულის მიხედვით ტრაქტატი იყო „**дружественный договор**“), ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის „**უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას**“ („**верховную власть и покровительство**“).

გეორგიევსკის ტრაქტატის **პირველი მუხლში** ანიშნულია: ერეკლე II მისი და მემკვიდრეების სახელით საზეიმოდ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა. („**что он не признает над собою и преемниками иннаго самодержавия, кроме верховной власти покровительства Ея Императорскаго Величества и Ея Высоких наследников и преемников престола**“)

ტრაქტატში ასახვა ვერ პოვა ეკატერინე II-ის კატეგორიულმა მოთხოვნამ ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. როგორც ჩანს, საბოლოოდ ეკატერინე II მოერიდა ასეთი მოთხოვნის

ხელშეკრულებაში შეტანას, რადგან ქრისტიან ხელმწიფეებთან ურთიერთობისას იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

ტრაქტატის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი მისი და მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა სამუდამო მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და ქვეყნის ტერიტორია დაეცვა გარეშე მტრებისაგან (**„Ея Величество дает Императорское свое ручательство на сохранение целости настоящих владении Его светлости Царя Ираклия Теймуразовича“**).

ტრაქტატის მესამე მუხლი ადასტურებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში შენარჩუნებულ იქნებოდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობა. ახალი მეფის ტახტზე ასვლას სამეფო ნიშნების (ინვესტიტურის) გამოგზავნით ადასტურებდა რუსეთის იმპერატორი. (**„постановлено, что помянутые Цари, вступая наследственно на царство их, имеют тотчас извещать о том Российскому Императорскому Двору, испрашивая чрез посланников своих Императорскаго на царстве подтверждения с инвеститурою“**)

ტრაქტატი არ ეხებოდა ერეკლე II-ის უფლებას ქვეშევრდომებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ქართული სამართლისა და სასამართლო სისტემას, ზომა-წონის ერთეულებს, ჯარის ორგანიზაციას და ა.შ. ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომი არ ხდებოდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი. ტრაქტატის მეექვსე მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი: „შინაგანსა ხელმწიფებისა და მმართველობისა თანა შეუღლეილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისა დაანებეს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა“ (**Власть, со внутренним управлением сопряженную – суд и расправу и збор податей предоставить его светлости царю в полную его волю и пользу“**). რუსეთის იმპერატორი ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში (**„зарешая своему военному и гражданскому начальству вступаться в какой-либо распоряжения“**). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე ტრაქტატის მეშვიდე მუხლი. ქართლ-კახეთის მეფეს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის დამსახურება რუსეთის წინაშე: – „რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობაი მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა“ (**„оказывать уважение на заслуги пред Всероссийскою Империею“**). ცხადია, ამ მოთხოვნის ტრაქტატში შეტანა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ ერეკლე II-ის ქვეშევრდომთა (თავადთა და აზნაურთა) შორის ყველა პრორუსული ორიენტაციის არ იყო. ტრაქტატის მეშვიდე მუხლი რუსეთის საიმპერატორო კარს გარანტიას აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არ დაწინაურდებოდნენ პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგენი. მეშვიდე მუხლი, ცხადია, ზღუდავდა ქართლ-კახეთის მეფის სუვერენულ უფლებებს.

გეორგიევსკის ტრაქტატში ვერ ასახა ერეკლე II-ის მიერ შემუშავებულ ხელშეკრულების პროექტში (1771 წლის 30 დეკემბერი) შეტანილი მოთხოვნა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების უცვლელად („მოუშლელად“) დატოვების თაობაზე. ტრაქტატის **მერვე მუხლი**, რომელიც ქართლ-კახეთის ეკლესიასა და კათალიკოს-პატრიარქს ეხება, თითქმის მთლიანად ა. ბეზბოროდკოს მოსაზრების მიხედვით ჩამოყალიბდა. მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I ხდებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი და სინოდის წევრ მღვდელმთავართა შორის იკავებდა მერვე ადგილს ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ. მერვე მუხლში ვკითხულობთ: „ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათალიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღვდელთ-მთავათსა მერუეს შინა ხარისხსა, ესე იგი არის შემდგომად ტობოლსკისა“ (**чтоб католикос, или начальствующий архиепископ их, состоял местом в числе российских архиереев в осьмой степени, именно после тобольскаго**“). 1700 წლიდან 1817 წლამდე რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყავდა, სინოდის წევრები მხოლოდ მღვდელმთავრები (ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები) იყვნენ. იმხანად, ანტონ I-ის რანგის საეკლესიო იერარქი რუსეთს არ ჰყოლია. უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელი სინოდის წევრებს – რიგით მღვდელმთავრებს – გაუტოლეს. ამასთან შვიდი მღვდელმთავარი სინოდში ანტონ I-ზე დიდი პატივით სარგებლობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შეილახა კათალიკოს-პატრიარქის ღირსება. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ უძველეს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მის საჭეთმპყრობელთან. ამიტომ იყო, რომ, მერვე მუხლის ძალით, ორი ქვეყნის ეკლესიათა შორის ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო ცალკე ხელშეკრულებით: „ამისთვის უკუე დაიწერების სხუა არტიკული“ (**„о том составитя особый артикул“**). ასეთი ხელშეკრულება აღარ დადებულა.

ტრაქტატის ძირითად ტექსტთან (პრემამულა და ცამეტი მუხლი) ერთად დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა (ცალკე მოეწერა ხელი) საიდუმლო მუხლებს (ოთხ მუხლს) ანუ, **„სეპარატისა არტიკულებს“** („сепаратные артикулы“).

აღსანიშნავია, რომ **პირველ სეპარატულ (ცალკე) ანუ საიდუმლო მუხლში** ასახვა ჰპოვა ეკატერინე II-ის მოთხოვნამ. ერეკლე II მეგობრულ ურთიერთობაში უნდა დარჩენილიყო სოლომონ I-თან, ხოლო მეფეებს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, არბიტრის როლს შეასრულებდა რუსეთის იმპერატორი, რომლის გადაწყვეტილებასაც ერეკლე II უნდა დამორჩილებოდა (**„ныне и впредь признает ея императорское величество совершенным арбитром, подвергая распри и недорозумения между двумя владетелями, паче всякаго чаяния происходящия, ея верховному решению“**). ცხადია, პირველი სეპარატული მუხლი ლახავდა, როგორც ერეკლე II-ის, ისე სოლომონ I-ის სუვერენულ უფლებებს და ამავე დროს რუსეთს საშუალებას აძლევდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობაში.

მეორე სეპარატული მუხლი გვაუწყებს: „დაცვისათვის სამფლობელოსა ქართლისა და კახეთისა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღუთქამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა” (**„Для охранения владении картлинских и кахетинских от всякаго прикасновения со стороны соседей и для подкрепления войск Его Светлости Царя на оборону Ея Императорское Величество обещает содержать в областях Его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками”**).

მესამე სეპარატული მუხლის ძალით რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში დამატებითი დახმარება აღმოეჩინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და მისი მტერი ორივე ქვეყნის მტრად შეერაცხა: „დასდუას ჰაზრი შეწევნისათვის თქმულთა მათ ქუეყანათა და წინ-აღდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს” (**„согласить и положить на мере о защищении означенных земель и о действии против неприятеля, который не иначе как за общаго врага разумеем быть должен”**).

მეოთხე სეპარატული მუხლის ძალით რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში (იგულისხმებოდა ომები ირანთან და ოსმალეთთან) ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარებოდა იარაღით, ამასთან ერთად, საზავო მოლაპარაკების დროს, უნდა ეცადა რათა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა წინათ მტერთაგან წართმეული ტერიტორიები: „რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსცა ყოველი შემძლებლობაი მეცადინობისა ღონითა საჭურუელისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმო-ქცევისათვის ქუეყანასა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუელადვე სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაშთებინან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა” (**„в случае войны употребить всевозможное старание пособием оружия, а в случае мира настоянием о возвращении земель и мест, издавна царству карталинскому и кахетинскому принадлежавших, кой и останутся во владении царей тамошних”**).

გეორგიევსკის ტრაქტატთან ერთად ასევე ცალკე დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა **ფიცის ნიმუში (სახე)**, რომელიც ერეკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ. დოკუმენტი იწყება ასე: „სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულებასა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარუელობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა” (**„Образец, по которому Его Светлость Царь Карталинский и Кахетинский Ираклий Теймуразович учинит клятвенное обещание на верность Ея Императорскому Величеству Самодержаше Всероссийской и на признание покровительства и верховной власти всероссийских Императоров над царями карталинских и кахетинских”**). ამრიგად, ფიცის ნიმუშიც (სახეშიც) დადასტურებულია ქართლ-კახეთის მეფეებისა (და, ცხადია, სამეფოს) არსებობა.

გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო იმხანად საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტების შედგენა და განხილვა, ტრაქტატის ტექსტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა, ტრაქტატის რატიფიკაცია და გამოქვეყნება). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტრაქტატის **მეთორმეტე მუხლი**. მართალია ტრაქტატი „საუკუნოდ“ სამუდამოდ („на вечныя времена“) იდებოდა, მაგრამ თუ მასში ურთიერთსასარგებლო ცვლილებების შეტანა იქნებოდა საჭირო, ეს უნდა მომხდარიყო ორივე მხარის თანხმობით: „უკეთუ განხილულ იქმნეს რაიმე საჭიროდ შეცვალებად, ანუ დართუად ურთიერთისათვის სარგებლისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა“ („оное да возымеет место по обостороннему соглашению“).

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ. იმავე წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი გამართა, ზეიმზე პოლკოვნიკი სერგეი ბურნაშოვიც მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, მისცეს სალუტი. 1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს ტექსტის დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი – 13 მუხლი – მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გამოსაცხადებლად“. იგი რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში. 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა გეორგიევსკის ტრაქტატის, ანუ, როგორც იგი წერდა, „**მეგობრობის ხელშეკრულების**“ რატიფიკაცია და დოკუმენტი საქართველოში გამოგზავნეს. 1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა. 1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ვ. ტამარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პავლე პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოსტუმრა. 1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ვ. ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე II-მ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ს. ბურნაშოვისა და ვ. ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ვ. ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს, ხოლო ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ვ. ტამარას.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი **სერგეი ბურნაშოვი**, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის ფუნქციის შესრულებას. 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად რუსეთის სამეფო კარზე თავადი **გარსევან ჭავჭავაძე** დანიშნა.

გეორგიევსკის ტრაქტატით დასრულდა რუსეთის ხანგრძლივი ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან. ესაა უმნიშვნელოვანესი მიჯნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში. **ტრაქტატის შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა.** ერეკლე II-მ ვერ ამოიცნო, რომ რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის სამოქმედო გეგმა, მათ შორის ტრაქტატის არშესრულების გადაწყვეტილებაც, იმხანად უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა და მისი ამოცნობა ქართველი დიპლომატებისათვის ძალზე ძნელი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. **საბოლოოდ ტრაქტატმა მუსლიმური სამყაროს გაღიზიანება გამოიწვია და რუსეთისაგან მიტოვებული ქართლ-კახეთის სამეფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.** სწორედ ამის გამო გეორგიევსკის ტრაქტატი სავსებით სამართლიანად აღიქმება, როგორც **დიდი სტრატეგიული შეცდომა.** სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსი ფასდება რეალური შედეგით. ეს შედეგი კი ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დამღუპველი აღმოჩნდა.

დანართი

**1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული
მფარველობითი ხელშეკრულების გეორგიევსკის ტრაქტატის
მუხლები (არტიკულები)**

არტიკული პირველი

უგანათლებულესობაი მისი მეფე ქართლისა და კახეთისა. სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცულეთა თვისთა, დღესასწაულობით უკუჰსთქუამს ყოველსა ვასალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა, ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა, ანუ სხუათა მპყრობელთასა.

და ამით ცხადჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმე არა შერაცხს იგი თვისზედა და მენაცულეთა თვისთა ზედა სხუასა თვითმპყრობელსა, თვინიერ უზენაესისა ხელმწიფებისა და მფარუელობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა

მემკვიდრეთა და მენაცულეთა საიმპერატოროისა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა, და მზაყოფისა შეწვევისათვის სარგებელისა სახელმწიფოსა (რუსეთისა), ყოველსა შინა შემთხვევისა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

არტიკული მეორე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუელისა აღთქმისა, აღჰსთქუამს თანასწორადუე და იმედულ ჰყოფს **იმპერატორებრითა** სიტყვითა **თვისითა**, თავისა თვისისათვის, და მოსაყდრეთა თვისთათვის, ვითარმედ მოწყალება და მგარუელობა **თვისი** უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიეღების.

რომლისაც დასამტკიცებლად **დიდებულება მისი** აძლევს იმპერატორებრსა თავსმდებობასა **თვისსა** მრთლად (და დაუკლბელად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა; და წინადჰსდებს განვრცელებასა ესევითარისა თავსმდებობისასა ესგუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა, რომელნიცა, წარმდინარეობასა შინა დროთასა, გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა, შესაბამად სამფლობელოსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

არტიკული მესამე

განცხადებასა შინა ამის უზაკუელობისასა, ვითართაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მგარუელობასა ყოველისა რუსეთისა იმპერატორთასა, განიწესების, ვითარმედ ჰხსენებულნი იგი მეფენი, ოდეს იგი მიიწევნიან მემკვიდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მჰსწრაფლ აუწყებდენ ამისთვის კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოვრაცი, ანუ დროშა, ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თვისსა, ჰხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ხრმალი, კუერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსახმელი ყარყუმისა.

ნიშანი ესე ანუ დესპანთა ერწმუნების, ანუ მესაზღურეთა მთავართა ძლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა, მუნ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათვის, და გულსმოდგინებისა იმპერიისა

რუსეთისა, და უზენაეს შერაცხვისათვის ხელმწიფობისა, და მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, ესევეითართა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათთანა.

წესი ესე თანა-ამს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა, და კახეთისასა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

არტიკული მერვე

დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთ თანა, ინებებს მისი იგი **დიდებულებაი** ვითარმედ კათოლიკოსსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთის მღუდელთ-მთავართასა, მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს, შემდგომად ტობოლსკისა და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა.

ხოლო მართებისათვის საქართველოსა ეკლესიათასა, და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთვის უკუე დაიწერების სხუაი არტიკული.

არტიკული მეორე (სეპარატიული)

დაცვისათვის სამფლობელოსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა, და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, **დიდებულება იმპერატორებისა მისისა** აღჰსთქუამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი, და საჭმელი უსიტყუთა ხარისხისაებრ მხედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფიერების ძლით ქუეყანისა, თანხმობით, მისისა უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღურისა მთავრისა დადებულთა ფასითა.

ლიტერატურა:

1. ვალერიან მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. თბილისი, 1983.

2. გიორგი პაიჭაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983.
3. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II, გამოსცა ისიდორე დოლიძემ. თბილისი, 1965.
4. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
5. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
6. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
8. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.

კითხვები:

1. როდის მოაწერა ხელი ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიასთან დასადები ხელშეკრულების პროექტს ?
2. რუსეთის იმპერიასთან დასადები ხელშეკრულების პროექტში რას ითხოვდა და რის პირობას დებდა ერეკლე II ?
3. როდის მოაწერა ხელი ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ რუსეთში გასაგზავნ დოკუმენტს - ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობას?
4. როდის ჩაიტანეს პეტერბურგში რუსეთის იმპერიასთან დასადები ხელშეკრულების პროექტი კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა?
5. როდის გამოთქვა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ აზრი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიერ შემუშავებულ პროექტსა და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობაზე?
6. ეკატერინე II-ის აზრით, ქართლ-კახეთის სამეფოსთან და იმერეთის სამეფოსთან როგორი ხელშეკრულება უნდა დადებულიყო: სამოკავშირეო თუ მფარველობითი?
7. რომელ სახელმწიფოსთან ურთიერთობა უკრძალავდა ეკატერინე II ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს და იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს?
8. როდის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის?
9. ვინ მოაწერა ხელი გეორგიევსკის ტრაქტატს ქართლ-კახეთის მხრიდან და რუსეთის მხრიდან?
10. როდის მოხდა გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია?
11. რას ითვალისწინებდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირველი მუხლი?
12. რას ითვალისწინებდა გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე მუხლი?
13. რას ითვალისწინებდა გეორგიევსკის ტრაქტატის მესამე მუხლი?

14. რას ითვალისწინებდა გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლი?
15. გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლის ძალით რა ურთიერთობა მყარდებოდა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდსა და მცხეთის საპატრიარქოს შორის?
16. ძირითადი მუხლების გარდა რამდენი საიდუმლო (სეპარატიული) მუხლი ერთვოდა გეორგიევსკის ტრაქტატს?
17. რატომ აძლევდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირველი საიდუმლო (სეპარატიული) მუხლი რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებას?
18. გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე საიდუმლო სეპარატიული მუხლის ძალით რუსეთის რა სამხედრო ძალა უნდა განლაგებულიყო ქართლ-კახეთში?
19. რას ითვალისწინებდა მესამე საიდუმლო (სეპარატიული) მუხლი?
20. რა იყო ნათქვამი გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო სეპარატიულ მუხლში საქართველოს იმ ტერიტორიების შესახებ, რომელიც მუსლიმურ ქვეყნებს ჰქონდათ მიტაცებული?
21. როგორ განისაზღვრა გეორგიევსკის ტრაქტატის მოქმედების ვადა?
22. რას წარმოადგენდა გეორგიევსკის ტრაქტატის ტექსტთან ერთად შემუშავებული „ფიცის ნიმუშის სახე“?
23. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ვინ დაინიშნა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენლად?
24. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ვინ დაინიშნა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე საქართველოს წარმომადგენლად?

11. რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის საზავო

ხელშეკრულება (იასის ტრაქტატი)

რუსეთის ბრძოლა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და აზოვისპირეთში გაბატონებისათვის 1783 წელს მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა ყირიმის სახანო რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. ოსმალეთი ვერ ეგუებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთს ყირიმის სახანოს დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა. ომი გარდაუვალი გახდა. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1791 წლამდე გაგრძელდა. 1787 წელს **კინბურნთან** (ოჩაკოვის მახლობლად) რუსეთის არმიამ ოსმალები სასტიკად დაამარცხა. 1788 წელს რუსებმა **ოჩაკოვის** ძლიერი ციხე-სიმაგრე დაიკავეს. 1789 წელს **ფოქშასთან** (მდინარე რიმნიკზე) ოსმა-

ლები კიდევ უფრო სასტიკად დამარცხდნენ. 1790 წელს რუსეთის არმიამ აიღო მდინარე დუნაის შესართავში მდებარე **იზმაილის** ციხე-სიმაგრე. რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთის ფლოტი. დამარცხებული ოსმალეთი ზავზე დათანხმდა.

1791 წლის 29 დეკემბერს **იასში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის საზავო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დაადასტურა რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ყველა მუხლი. საზავო ხელშეკრულების ძალით ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ტერიტორიად გამოცხადდა. რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპირო მდინარეებს **დნესტრსა და სამხრეთ ბუგს** შორის (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 63-64).

იასის საზავო ხელშეკრულება საქართველოსაც შეეხო. **ოსმალეთმა ცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში. საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ძალით ოსმალეთის სულთანი ვალდებულია იღებდა, რომ ახალციხის ფაშა თავს აღარ დაესხმოდა ქართლ-კახეთის მეფის (საზავო ხელშეკრულების ტექსტში: „царем Карталинских” – ვ.გ.) სამფლობელოებს (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 65). დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების) მიმართ ძალაში დარჩა 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირობები.**

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლი

Ст. V. В доказательство между обеими Договаривающимися Империями искренности и дружбы, которые, не довольствуясь единым ныне восстановлением мира и доброго согласия между ими, ищут и на будущие времена утвердить оный прочным образом, отвращая со всевозможным радением все причины, могущие подать повод к спорам и отсуде, Блистательная Порта обещает подтвердить вновь издаваемым фирманом данный прежде, чтоб ахалцихский губернатор, пограничные начальники и прочие отныне впредь ни тайно, ни явно, ни под каким видом не оскорбляли и не беспокоили земель и жителей владеемых царем Карталинским, о чем и отправить к помянутому ахалцихскому губернатору, к пограничным начальникам и к прочим со строжайшим прешением и подтверждением указы (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 65).

ლიტერატურა

1. **ვახტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** ამასიიდან ყარსამდე.

კითხვები:

1. რა გახდა მიზეზი 1787 წლის რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დაწყებისა?
2. როდის დაიდო რუსეთ-ოსმალეთის იასის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი)?
3. იასის ტრაქტატის ძალით ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის რომელი მუხლი გადაისინჯა?
4. რა იყო ნათქვამი გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) შესახებ იასის ტრაქტატში?
5. იასის ტრაქტატის ძალით როგორი ურთიერთობა დამყარდებოდა ახალციხის საფაშოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის?

11. რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე (1801 წლის 18 იანვარი)

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ (1800 წლის 24 ივნისი) რუსეთის საიმპერატორო კარს ნათელ წარმოდგენას უქმნიდა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ. ამასვე ადასტურებდა საიმპერატორო კარისადმი რუსი დიპლომატებისა და სამხედროების მოხსენებები.

იმპერატორმა პავლე I-მა (1796-1801) გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ 1800 წლის 19 ნოემბერს განიხილა. ამაზე უკეთეს დროს რუსეთის იმპერატორი ვერ დაელოდებოდა – ქართლ-კახეთის მეფე თავისი ნებით იღებდა ხელს სუვერენულ უფლებებზე. 1800 წლის 18 დეკემბერს პეტერბურგში უკვე მზად ჰქონდათ მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. იმავდროულად ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები (გიორგი ავალიშვილი და რევაზ ფალავანდიშვილი) პეტერბურგიდან საქართველოში გამოისტუმრეს. პეტერბურგში დარჩა **გარსევან ჭავჭავაძე**. ელჩებს თან მოჰქონდათ იმპერატორ პავლე I-ის მიერ დამტკიცებული გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“.

პეტერბურგიდან 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტის ტექსტი, რომელიც ჯერ საიდუმლოდ უნდა დაცულიყო, გადაუგზავნეს კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ **კარლ კნორინგს**. უფრო ადრე კარლ კნორინგს მიღებული ჰქონდა ასევე საიდუმლო ბრძანება გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ. ჩრდილო კავკასიიდან ქართლ-კახეთში დამატებით შეჰყავდათ რუსეთის ჯარი. პეტერბურგიდან კარლ

კნორინგს მიღებული ჰქონდა მითითება იმის შესახებ, რომ სამეფოს გაუქმება მეფისა და დიდებულების „თანხმობით“ უნდა მომხდარიყო. პეტერბურგში შემუშავებული გეგმა ჩაშალა გიორგი XII-ის ნაადრევმა გარდაცვალებამ. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფე ისე გარდაიცვალა, რომ ვერც პეტერბურგიდან მომავალმა ელჩებმა ჩამოაღწიეს და ვერც გენერალმა კარლ კნორინგმა მოასწრო სამეფოს გაუქმების შესახებ მეფისაგან თანხმობის მიღება.

ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს პავლე I-ის მიერ დამტკიცებული გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“. სწორედ „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე გამოცხადდა გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი დავით XII „საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად“. თანახმად „სათხოვარი პუნქტებისა“, დავით XII ქართლ-კახეთის მეფედ რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. პავლე I-გან დასტურის მისაღებად დავით XII-მ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები ისევ პეტერბურგში გააბრუნა. არც ქართველმა ელჩებმა და, ცხადია, არც ქართლ-კახეთის სამეფო კარმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო მათი სამეფოს ბედი.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მანიფესტის ტექსტის შედგენა დასრულდა ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს).

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს: "царство Грузинское" და "Грузия".

იმპერატორი პავლე I აცხადებდა:

- 1) ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ უერთებოდა რუსეთის იმპერიას;
- 2) ქართლ-კახეთის მოსახლეობას შეუნარჩუნდებოდა ყველა უფლება და უპირატესობა, ასევე ქონება;
- 3) ქართლ-კახეთის მოსახლეობა დაცული იქნებოდა გარეშე მტრეთაგან და შინაგანი არეულობისაგან.

1801 წლის 20 იანვრის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფო სახლის ყველა წევრს პეტერბურგში იწვევდნენ. თბილისიდან პეტერბურგში გაიგზავნა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი და კვერთხი.

1801 წლის 6 მარტს პეტერბურგში დამტკიცდა ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს მმართველობის წესები. 11 მარტს ქართლ-კახეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი **კარლ კნორინგი**.

1801 წლის 11-12 მარტს, ღამით, შეთქმულებმა მოკლეს იმპერატორი პავლე I. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარება დროებით შეფერხდა.

დანართი

მანიფესტი პავლე I-ისა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ

წყალობითა ღმრთისათა ჩუენ, პაველ პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლის რუსეთისა და სხუათა, და სხუათა, და სხუათა.

მრავლის ჟამთაგან ქართველთ სამეფო შეიწროებულ იყო ურწმუნოთა მეზობელთა თვისთაგან და ამით განლულ იყო ძალი მათი დაუცხომელით მბრძოლველობითა და ვერღა ეძლოთ თავით თვისით დაცვა თავთა თვისთა, მხილველთა ამისათა, რომელ მიუცილებელად შეუდგებოდა მარადის ბრძოლად მათდა, უფროისდა უბედურება.

და ამისთანავე შეერთებულ იქმნა უთანხმოება სახლს შინა სამეფოსა, რომელიცა ამიზეზებდა სრულებით დამხობასა მისსა, ვინაითგან წარდგომილ იყო მათ შორის ბრძოლა ურთიერთისადმი.

მეფემან გიორგი ირაკლივიჩმან იხილა მოახლოება დაჰსრულებისა დღეთა თვისთასა და ჩინებულთაცა მოახლეთა და თვით ერმანცა საქართველოდსამან ჰყვეს შევრდომამფარველობისადმი ჩუენისა, ვინაითგან წინათვე ჰხედვიდენ, რომელ სხვა არღარა იყო ღონე, რომელითაცა ხსნილ იყო დასრულებითისა დანთქმისაგან და დამონაებისაგან მტერთა თვისთასა. და ამისთვის ითხოეს, წარმოგზავნითა სრულის ძალის მქონებელთა დესპანთათა, მიღება სამფლობელოსი საქართველოსა სამეფოსა, მფლობელობასა დამონებასა ქვეშე ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა.

მივიღეთ ვედრება ერთსარწმუნოებით მონათესაობითა ჩვენითა, მოწყალებითა ჩუენითა და მარადის ჩუენგან ზრუნვითა სარგებლობისათვის საქართველოდსა მის ერთასა და განვაწესეთ ჩუენ აღსრულება სურვილისა მეფის გიორგის ირაკლის ძისა და საქართველოდსა ერისა. და ამისთვის, რაოდენთაცა დაყენებისათვის შინაურთა ქუეყანათა აღრეულებისათა ეგეოდენვე გარეულთა მებრძოლთა ზედან დასხმისა[v] უშიშროებისათვის, ვბრძანეთ გარდასლვა მხედრებისა ჩუენისა ქუეყანასა შინა საქართველოდსასა.

და ამით ვაცხადებთ ჩუენის იმპერატორებითის სიტყვით, რომელ შეერთებული სამეფო ქართლისა საუკუნოსა ჟამამდე მპყრობელობასა ქვეშე ჩუენსა, არათუ მხოლოდ დაცვულ იქმნებიან სრულებასა შინა ჩუენნი იგი საყუარელნი ახალნი ყმანი სამეფოსა საქართველოსანი და ყოველნი გარეშემონი მისნი სამფლობელონი ყოველსა შინა წესს, აღმატებულებასა და საკუთრებითსა, ჰსჯულსა თვითეულთა შესაბამეთასა, არამედ ამის ჟამითგან თვითოეულთა მდგომარეობათა ერთა ზემო აღწერილთა სამფლობელოთა ექმნებისთვე შემატებულება და ყოველივე იგი წესი, თავისუფლება, სარგებლობა და აღმატებულება ესევეითარი, ვითარცა ძველნი მონანი ერნი რუსეთისანი, მოწყალებასა ჩუენსა და ჩუენსა წინაპართასა, არიან დატკობილ მფარველობასა ქვეშე ჩუენსა.

და სხვებზე ვიქმნებით დარწმუნებულნი, რომელ ახალნი ესე ყმანი ჩუენნი და შთამომავლობა მათი დაიფ[ი]ცავს შეურყეველად ერთგულებასა ჩუენსა და მემკვიდრეთა ჩუენთასა და ჰყოფს გულსმოდგინებით სარგებლობასა საიმპერატოროსა ჩუენისასა, რომლისადმიცა განზრახვისამებრ ყოვლად უმაღლესისა აწქმნილი შეერთებულება იგი მათი, იქმნების აღრაცხილ მოქმედებით ტვითმპყრობელობითა კეთილ-მნებებელობითა ჩუენითა.

დაიბეჭდა სანკტპეტერბურხს, სენატსა შინა, [ი]ანვრის **იწ** დღესა, **ჩყა** წელსა.

ქვემოთ მოწერილ არს საკუთართა მისის იმპერატორების დიდებულების ჳელი ესრეთ:

პაველ

ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. გამოსცა **ისიდორე დოლიძემ**. თბილისი, 1965, გვ. 549-552.

ლიტერატურა:

1. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. გამოსცა **ისიდორე დოლიძემ**. თბილისი, 1965.
2. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею. Под редакцией **А. Берже**. Том I. Тифлис, 1866.
3. **Н. Дубровин**. Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1897.
4. **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი XIII-სა. თბილისი, 1936.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973.

კითხვები:

1. როდის განიხილა რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები?
2. როდის დაასრულეს პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე მანიფესტის ტექსტი?
3. იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტის მომზადების დროს ვინ იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩები პეტერბურგში?
4. ვის გაუზღავნეს პეტერბურგიდან საიდუმლოდ პავლე I-ის მანიფესტის ტექსტი?
5. რა მითითება მიიღო პეტერბურგიდან კავკასიის ხაზის უფროსმა გენერალმა კარლ კნორინგმა?
6. რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად რა ტერმინი იხმარება?

7. რას პირდებოდა რუსეთის იმპერატორი პავლე I 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტში ქართლ-კახეთის მოსახლეობას?
8. რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის რომელი ბრძანების საფუძველზე მიიწვიეს ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრები პეტერბურგში?
9. ვინ დანიშნა იმპერატორმა პავლე I-მა გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფოს გენერალ-გუბერნატორად?
10. როდის მოკლეს იმპერატორი პავლე I?

**13. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის
მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების
თაობაზე (1801 წლის 12 სექტემბერი)**

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მამამისის, იმპერატორ პავლე I-ის, საშინაო და საგარეო პოლიტიკა სერიოზულად გადასინჯა. ბევრი რამ უარყოფილი იქნა, ბევრი რამ ხელახალი შესწავლისა და მსჯელობის საგანი გახდა. ასეთივე ბედი ეწია იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე. ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხის ხელახლა განხილვის გადაწყვეტილება მიიღო. 1801 წლის 11 აპრილს რუსეთის იმპერიის **სახელმწიფო საბჭომ** მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას. სახელმწიფო საბჭოს მოსაზრება ემყარებოდა შემდეგს: 1) ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ოჯახის წევრებს შორის დაწყებული უთანხმოება ისედაც სუსტ სამეფოს დაღუპვით ემუქრებოდა; 2) რუსეთის იმპერიამ უკვე საჯაროდ დაადასტურა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა, ამიტომაც იმპერიის პრესტიჟის დაცვა აუცილებელს ხდიდა ქართლ-კახეთის შეერთებას რუსეთთან; 3) ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთება უზრუნველყოფდა რუსეთის იმპერიის საზღვრების დაცვას და აღკვეთდა კავკასიის მთიელთა თვითნებობას.

ამასთან ერთად, სახელმწიფო საბჭომ აუცილებლად ჩათვალა: ა) ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დატოვება; ბ) ქართლ-კახეთის დროებითი მთავრობის შექმნა; გ) ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით კავკასიის ხაზის უფროსის, გენერალ კარლ კნორინგის ქართლ-კახეთის სამეფოში მივლინება.

1801 წლის 8 აგვისტოს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ მოისმინა გენერალ **კარლ კნორინგის** მოხსენება. ასევე გაეცნენ იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი გრაფ **ვორონცოვისა** და გრაფ **კოჩუბის** მიერ წარდგენილ მოხსენებებს. გრაფი კოჩუბი და გრაფი ვორონცოვი წინააღმდეგნი

იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებისა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა ქართული სამეფოს რუსეთის იმპერიაში შესვლას. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას დაეთანხმა იმპერატორი **ალექსანდრე I**. 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში, ისევე როგორც სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად იხმარებოდა ცნებები „საქართველო“ და „საქართველოს სამეფო“ ("Грузия", "царство грузинское").

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I აცხადებდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა და დაცვა ხდებოდა რუსეთის მონარქების მოვალეობა.

2) 1796 წელს იმპერატორმა ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს გადასარჩენად გაგზავნა ჯარი, რომელმაც ქართლ-კახეთი იხსნა საფრთხისაგან, თუმცა ამ ჯარის მოულოდნელმა უკან გაწვევამ გააცრუა ქართველთა იმედები.

3) რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაატყდა მრავალი უბედურება: ურწმუნოთა თავდასხმები, ქალაქებისა და სოფლების გაჩანაგება, ადამიანების გატაცება და ბოლოს დაპირისპირება სამეფო ოჯახის წევრებს შორის.

4) მტრები მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ და საბოლოოდ მოესპოთ ქართლ-კახეთის სამეფო.

5) მთელ აზიაში ცნობილი ქართველთა სიმამაცე კი ვერ იხსნიდა ქვეყანას დაღუპვისაგან.

6) რუსეთის ჯარის შემოსვლამ ქართლ-კახეთის სამეფოში (1799 წ. – ვ. გ.) და ომარ-ხანის დამარცხებამ იხსნა ქვეყანა განადგურებისაგან.

7) რუსეთმა შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს მტრების დაოკება, შეწყდა დაპირისპირება ქვეყნის შიგნით. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთმა ითხოვა (იგულისხმება გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“ – ვ. გ.) ქვეყანაში უშუალოდ რუსული მმართველობის დამყარება ("... и все вы, единодушно и торжественно воззвали власть российскую управлять вами непосредственно").

8) როცა მე ტახტზე ავედი, უკვე გამოცემული იყო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე.

9) მე მსურდა, გამეგო, თუ შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პირვანდელი პირობებით რუსეთის იმპერიის მფარველობაში დარჩენა (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები – ვ. გ.). გაირკვა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში შეუძლებელი იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქვეყანა დაღუპვის პირას იყო და იგი აუცილებლად დაიღუპებოდა, თუ მას რუსეთი არ შეიერთებდა ("столь кратно вовлекало вас в бездну золь, на краю

коей и ныне вы стоите и в которую, по всем соображениям, должны бы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти от падения сего вас не удержит").

10) ამ ვითარებამ და ქართველი ერის თხოვნამ გადაგვაწყვეტინა, დაგვეცვა ერთმორწმუნე ქვეყანა.

11) თქვენი იმედები გამართლდება, თქვენ მოტყუებულნი არ დარჩებით.

12) ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა ჩვენ იმიტომ კი არ გადავწყვიტეთ, რომ ისედაც უზარმაზარი იმპერიის ტერიტორია გაგვეფართოებინა, არამედ იმიტომ, რომ, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობიდან გამომდინარე, ყურად ვიღეთ წამებულთა ხვეწნა-მუდარა.

13) ქართლ-კახეთში შემოღებულმა მმართველობამ ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება, კანონის დაცვა.

14) გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს დავავალეთ ქართლ-კახეთის მმართველობის ორგანიზება და იგი დავნიშნეთ მთავარმმართველის ("главноуправляющий") თანამდებობაზე.

15) აღდგება გაჩანაგებული სოფლები და ქალაქები.

16) ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრებს შეუნარჩუნდება მისი წოდებრივი მდგომარეობა, აღმსარებლობა (რელიგია) და პირადი უსაფრთხოება.

17) უფლისწულებს შეუნარჩუნდებათ საუფლისწულო მამულები, მამულებიდან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად მიეცემათ ფულის სახით, თუ ისინი არ დაარღვევენ დადებულ ფიცს.

18) ამ მანიფესტის აღიარების (მიღების) ნიშნად ქართლ-კახეთის მოსახლეობამ უნდა დაიფიცოს თანდართული ფიცის ნიშნის მიხედვით. სამღვდელოებამ, როგორც სულიერმა მოძღვრებმა, დაფიცებისას მაგალითი უნდა მისცეს ხალხს.

19) ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეიტყობს კეთილი მმართველობის ფასს: ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა, მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება; აღიკვეთება თვითნებობა; შეიქმნება პირობები პირადი, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; განვითარდება მიწათმოქმედება, რეწვა, ვაჭრობა. კანონი ყველას ერთნაირად დაიცავს.

20) რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აღუთქვამდა, რომ რუსული მმართველობის შემოღება მათთვის ჯილდო იქნებოდა ("Избытки и благоденствие ваше будет приятнейшею и единою для вас наградою").

ასე გათელა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფეხქვეშ გეორგიევსკის ტრაქტატით გარანტირებული ქართლ-კახეთის სამეფო სახლის, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებები. ასე დასრულდა საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია.

დანართი

ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ

წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ალექსანდრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

განუცხადებთ ყოველთა საქართველომსა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის...

არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებლობისასა.

მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჭირვებათა მათთა, დავაწესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძლოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცა სჯულისა.

ხოლო ამისათვის გამომრჩეველმან ჩვენისა ღენერალ-ლეიტენანტისა კნორრინგისა, რათა იყოს უპირატეს მმართველად ვენ შორის, მივეცით ჩვენ მას სრული მოძღვრება გამოაცხადოს მმართველობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენითა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხოული განწესებამ, რომლისა სრული საყოფელადცა უზიარებთ თქვენ მიერ ღირსებითა და საზოგადოდ ნდობათამებრ გამორჩეულთა, ვსასოებთ, ვითარმედ თქვენ მორწმუნენი მმართველობისა ამის, უეჭველად სიგრილისა ქვეშე მის დასაბამსავე მოიპოვებთ განსვენებასა და უშიშროებასა და შემდგომად კეთილდღეობასა და უხვებასა.

ყოველნი ხარკნი თქვენისა ქვეყნისანი, ვუბრძანებთ ჩვენ, რათა მიაქციონ სასარგებლოდ თქვენდა, და რადცა სახარჯოდ მმართველობისა დარჩების აღსადგინებლად დაქცეულთა ქალაქთა და შენობათა.

თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანა მდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებლად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან.

მეფის ძენი დასცვენ მამულთა თვისთა, გარდა განშორებულთა, და განშორებულთა მათ მიეცემისთ მამულთა თვისთა გამოსავალი ყოველ წლივ თეთრად, სადაცა იქმნებიან იგინი, ოდენცა სცვიდენ ვალსა ფიცისასა.

ნაცვლად დიდსულობითა ზრუნვათა ამათ ჩვენთვის, ვითხოვთ ჩვენ თქვენგან, რათამცა თქვენ დამტკიცებისათვის თქვენზედ დაწესებულისა ხელმწიფებისა ჰყოთ ფიცი ერთგულებასა ზედა, ამასთანა მდებარისა სახისამებრ.

სამღვდელოთა, ვითარცა მწყემსთა სულისა თანა, პირველად შევნიშნეთ მიცემა მაგალითისა.

უკანასკნელ, რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართველობისა, რათა დაემუნოს შორის თქვენსა მშვიდობა, ვითარცა ნივთთა, ესრეთვე საქონლისაცა, რათა მოისპოს თვითმმართველობა და მხეცებრივი უთანხმოება, რათა იქცეოდეს თვითოეული უმჯობესთა სარგებელთა თვისთა და საზოგადოებისადმი

თავისუფლად დაუბრკოლებლად, შრომის მოყვარებდეს მიწისა მუშაკობასა, განზრახვათა, ვაჭრობათა და ხელთსაქმეთა შინა, საგრილსა ქვეშე სჯულთა, ყოველთა თანასწორ მფარველთასა.

ნაშთი და კეთილდღეობა თქვენი იქმნების მხოლოდ ჯილდოდ ჩვენთვის.

მიეცა საყდროსანსა ქალაქსა მოსკოვს, სექტემბრის იბ დღესა, ჩყა წელსა.

ნამდვილზედ ქვემოწერილ არს, საკუთარიტა ხელიტა მათისა იმპერატორების დიდებულებისათა ესრეთ:

ალექსანდრე.

ლიტერატურა:

1. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. გამოსცა ისიდორე დოლიძემ. თბილისი, 1965
2. Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Под редакцией А. Берже. Том I. Тифлис, 1866.
3. Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1866
4. Н. Дубровин. Георгий XII, наследный царь Грузии и присоединение ея к России. С.-Петербург, 1897.

კითხვები:

1. რატომ გახდა აუცილებელი პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტის შემდეგ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცემა?
2. რა მოვლენები უძღოდა წინ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს?
3. რატომ იყო 1812 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი გეორგიევსკის ტრაქტატის უხეში დარღვევა?
4. რატომ ცდილობდა ალექსანდრე I იმის დამტკიცებას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლად არსებობა აღარ შეეძლო?
5. რით ცდილობდა ალექსანდრე I ქართლ-კახეთის სამეფოს თავადებისა და აზნაურების გულის მოგებას?
6. რა იყო ნათქვამი 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში ქართველი სამღვდელოების შესახებ?

14. იმერეთის შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში.

ელაზნაურის ტრაქტატი (1804 წ. 25 აპრილი)

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღებამ ძალზე გაამწვავა იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა. ალექსანდრე I-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ და ქვეყნის ოკუპაციამ სოლომონ II დაარწმუნა იმაში, რომ მალე იმერეთის სამეფოს ჯერიც დადგებოდა, რუსეთის საიმპერატორო კარი თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილ სოლომონ II-ს მეფობას დიდხანს აღარ შეუნარჩუნებდა. სოლომონ II იმასაც გრძნობდა, რომ რუსეთი იმერეთის სამეფოს **მფარველობაშიც** კი აღარ მიიღებდა და იმერეთის მეფეს **ქვეშევრდომობას** შესთავაზებდა. სოლომონ II-თვის ცნობილი იყო, რომ რუსი დიპლომატები და სამხედროები სამეგრელოს მთავრის შემდეგ გურიის მთავრის გადაბირებას ცდილობდნენ.

1804 წელს საქართველოს მთავარსარდალი გენერალი **პავლე ციციანოვი** ჯარით შეიჭრა იმერეთში და მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. სოლომონ II კარგად ხედავდა, რომ რუსეთის ჯარის შეტევას ვერ შეაჩერებდა. მეფე იძულებული გახდა, გენერალ პავლე ციციანოვთან მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. ამასთან ერთად, სოლომონ II-მ მოლაპარაკების პირობად ლეჩხუმის იმერეთის სამეფოს ნაწილად აღიარება მოითხოვა. პავლე ციციანოვმა პირობა უსაფუძვლოდ ცნო. გენერალი იმერეთის მეფეს ომით ემუქრებოდა. სამაგიეროდ, პავლე ციციანოვმა სოლომონ II-ს დაუთმო გურიის საკითხთან დაკავშირებით – გურია იმერეთის სამეფოს ნაწილად იქნა ცნობილი.

1804 წლის 25 აპრილს სოფელ **ელაზნაურში** სოლომონ II-მ ხელი მოაწერა ტრაქტატს. „**სათხოვარი პუნქტებს**“ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი. ეს „სათხოვარი პუნქტები“ სინამდვილეში პავლე ციციანოვის მიერ იყო ნაკარნახევი. ეს დოკუმენტი სხვადასხვა მიზეზის გამო ისტორიაში „ელაზნაურის ტრაქტატის“ სახელით არის ცნობილი. სინამდვილეში ეს არ იყო ორ სრულუფლებიან მხარეს შორის (იმერეთსა და რუსეთს) დადებული ხელშეკრულება (ტრაქტატი). ეს იყო ცლმხრივი დიპლომატიური აქტი, რომლის ძალითაც იმერეთის სამეფო იძულებით შევიდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში. ამის გამო ელაზნაურის ტრაქტატის (1804 წ.) გეორგიევსკის ტრაქტატთან (1783 წ.) შედარება არ შეიძლება, ეს ორი დოკუმენტი თავისი შინაარსით და დანიშნულებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. გეორგიევსკის ტრაქტატი იყო ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება (ტრაქტატი), ხოლო ელაზნაურის ტრაქტატი ცალმხრივი დიპლომატიური აქტი. ამ აქტის მიხედვით რუსეთის იმპერია და იმერეთის სამეფო თანასწორუფლებიან მხარეებად არ განიხილებოდა. მიუხედავად ამისა ჩვენ დამკვიდრებული ტრადიციის გამო ვხმარობთ ტერმინს „ტრაქტატი“.

ელაზნაურის ტრაქტატი ასეთი შინაარსისა იყო:

1) ტრაქტატის ძალით, იმერეთის მეფე და იმერეთის სამეფო გადაიოდა რუსეთის ქვეშევრდომობაში ("в вечное и верное рабство и подданство Высочайшей Всероссийской державе").

- 2) იმერეთის სამეფოში შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო სამეფო დინასტია, რაც რუსეთის იმპერატორს სიგელით უნდა დაედასტურებინა.
- 3) სასამართლო და სასჯელის აღსრულების უფლება იმერეთის მეფის გამგებლობაში რჩებოდა.
- 4) იმერეთის სამეფოში განლაგდებოდა რუსეთის ჯარი, რომელიც დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრებისაგან და უზრუნველყოფდა შინაგან წესრიგს.
- 5) იმერეთის სამეფოში წიაღისეულის ახალი საბადოს დამუშავებით მიღებული შემოსავლის ნაწილი რუსეთის იმპერიის ხაზინაში უნდა შესულიყო.
- 6) თუ იმერეთის სამეფოში ახალი ქალაქი დაარსდებოდა, რუსეთის იმპერიის ხაზინა ამ ქალაქიდან ისევე მიიღებდა გადასახადს, როგორც იღებდა რუსეთის ქალაქებისაგან.
- 7) იმერეთის მეფე რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდა, როგორც ქვეშევრდომი ("как верноподданный раб").
- 8) რუსეთის ჯარისათვის იმერეთის მეფეს უნდა აეგო შენობები (ყაზარმები) და უზრუნველყო მათი გათბობა.
- 9) იმერეთის მეფეს რუსეთის ჯარი უნდა მოემარაგებინა სურსათითა და ფურაჟით.
- 10) თუ იმერეთის სამეფოში წიაღისეულის ახალი საბადოს დამუშავება დაიწყებოდა, მოწვეული მუშებისათვის ხელფასი უნდა აენაზღაურებინათ რუსეთის შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით.
- 11) იმერეთის სამეფოდან რუსეთი უფასოდ გაიტანდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს.
- 12) სამეგრელოს სამთავროს მიმართ იმერეთის მეფეს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. იმერეთის მეფეს სამეგრელოს მთავრისათვის უნდა დაებრუნებინა ტყვეები და დაეცალა საბრძოლო მოქმედებების დროს დაკავებული სამეგრელოს ციხეები.
- 13) იმერეთის მეფეს უნდა მოეწესრიგებინა და დაეცვა ქუთაისიდან ვახანის ციხემდე მიმავალი გზა, ასევე ქუთაისიდან სამეგრელოსა და ფოთისაკენ მიმავალი გზა.
- 14) სოლომონ II-ს ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ კონსტანტინე დავითის ძისათვის უნდა მიეცა შემოსავალი საუფლისწულო მამულიდან.
- 15) ტახტის მემკვიდრე, უფლისწული კონსტანტინე დავითის ძე სოლომონ II-ის გარდაცვალებამდე დარჩებოდა ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ან რუსეთში, რათა მიეღო ტახტის მემკვიდრისათვის აუცილებელი განათლება.
- 16) რუსეთის საქონელი, რომლის გადატანა ხორციელდებოდა ქართლ-კახეთიდან შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ და პირიქით, არ უნდა დაბეგრულიყო.

17) იკრძალებოდა მოსახლეობის გადასვლა იმერეთის სამეფოდან ქართლ-კახეთში და პირიქით.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის **ქვეშევრდომობაზე** დაფიცების შემდეგ სოლომონ II-ს გადაეცა რუსეთის იმპერატორის მიერ ნაბოძები წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იმერეთის მეფე და იმერეთის სამეფო „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე **ქვეშევრდომობაში** მიიღო. იმერეთის სამეფოს ქვეშევრდომობაში მიღების სიგელს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა 1804 წლის 4 ივლისს. სიგელში აღნიშნული იყო, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II და იმერეთის სამეფო შედიოდა რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში** ("в вечное подданство"). ალექსანდრე I-ის სიგელში სოლომონ II მხოლოდ იმერეთის მეფედ იწოდებოდა, მის სამფლობელოში არ იგულისხმებოდა სამაგრელო, გურია და ლეჩხუმი.

1809 წელს კავკასიის მთავარმმართველმა (მთავარსარდალმა) **ალექსანდრე ტორმასოვმა**, პეტერბურგიდან მიღებული მითითების თანახმად, დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატი და სოლომონ II ტახტიდან გადააყენა. 1810 წელს ალექსანდრე ტორმასოვმა სოლომონ II შეიპყრო, მაგრამ მეფემ ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა. 1810 წელს რუსეთის ჯარებმა იმერეთი დაიპყრო. სოლომონ II ოსმალეთში გადაიხვეწა.

იმერეთის მეფის ტახტიდან გადაყენებისა და დამარცხების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარმა უკან წაიღო დადებული პირობა გურიის სამთავროს იმერეთის სამეფოს ნაწილად ცნობის შესახებ. 1810 წელს რუსეთის წაქეზებით გურიის მთავარმა დამოუკიდებლად ითხოვა რუსეთის **ქვეშევრდომობაში** მიღება. თხოვნა შეწყნარებული იქნა – გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში** შევიდა.

ასე გათელა ფეხქვეშ რუსეთის იმპერატორმა მეორე ქართველი მონარქის – იმერეთის მეფე სოლომონ II-ის – უფლებანი, დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატი და იმერეთის სამეფო უთოფოდ დაიპყრო.

დანართი

ელაზნაურის ტრაქტატის პირველი, მეორე და მესამე მუხლები

პირველი მუხლი

მე სოლომონ გუარისაგან ბაგრატიონთა მეფე ყოვლისა იმერეთისა და სჯულიერი იმერეთისა სამეფოსა მფლობელი. დღიდგან ამა დადგინების ქვემოწერისა და შემდგომად ფიცითისა აღთქმის აღსრულებისა წესისამებრ, მივცემ თავს ჩემსა ყოვლისა ჩემისა სჯულიერისა შთამომავლობისა თანა და

ყოვლისა შთამომავლობისა თანა და ყოვლისა რუსეთის // ხელმწიფებასა, აწ ბედნიერად მეფედ მყოფსა ყოვლადუგანათლებულესა ალექსანდრე პავლეს შესა თვითმპყრობელსა ყოვლისა რუსეთისასა და მაღალთა მისთა მენაცულებითა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

მეორე მუხლი

სახიერებითა მისისა იმპერატორობისა დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ხელმწიფისა და მბრძანებლისათა ნებად მოცემული მექმნა მე და შვილთა ჩემთა, ხოლო უკეთუ ღმერთმან არა სათნო იჩინოს კურთხევა სახლისა ჩემისა მამობრისა სქესისა შტამომავლობითა, მაშინ შემდგომად ჩემისა მეფის ძეს კონსტანტინე დავითის ძეს და მისსა შთამომავლობასა უფროსისა მუხლისა მიერ// სარგებლობა სამართალთა და უპირატესობათა იმერეთის მეფისათა ყოველთა შეკრულებათათურთ ერთგულ ქვეშევრდომისა მონისათა ყოვლისა რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორისა, ვითარცა უზენაესისა ჩემისა და მენაცუ ალეთა ჩემთა დიდისა კელმწიფისა და მბრძანებელისა; ესევეთარისა უკვე ღირსებისათავის განბედნიერებულცა ვიქ-მნე მე უმაღლესისა მისისა იმპერატორობითის დიდებულების ღრამოტითა და ესევეთარვე მენაცუ ალენიცა ჩემნი ყოვლისა ახლად სამეფოსა ტახტსა შესულისა ჟამს დამტკიცებულ იქმნებოდნენ ამის მსგავსთა უმაღლესთავე ღრამოტათა მიერ, განცხადებისთანა, რომელ გურია დამოკიდებულ არს იმერეთსა ზედა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

მუხლი მესამე

მოწყალებით მისისა იმპერატორობითის დიდებულების// ყოვლად უმოწყალებისა ხელმწიფებისა და მბრძანებლისათა მოცემულ იქმნან ნებად ჩემდა და ჩემთა მენაცუ ალეთა მსჯავრი და სამართლობა სამეფოსა შინა ჩემსა და ყოველსა რუსეთის მონობასა შინა მყოფსა; ხოლო ვინადგან საქართველოს უპირატესს მმართველისა ღენე-რალისა ინფანტერიიდან და კავალეროსანისა თავადისა ციცინაოვის მიერ გამოცხადებულ მექმნა მე, რომელ ყოვლისა რუსეთის მონობასა შინა არა მოსათმენელ არს სიკუდილითა დასჯა, ანუ ასოთა /:წევრთა:/ რაიმეთა მოკლება, ამისათვის მოცემულ მექმნან მე მბრძანებისამებრ მისისა იმპერატორობითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემის ხელმწიფისა და მბრძანებლის სჯულნი სჯულნი, რომელთაც მიერ მოცემული მექმნდებოდან დასჯანი კაცის მკუალელობისათვის, ტყვეთა მსყიდულობისათვის, ქურდობისა და ავაზაკობისათვის. ვიდრემდის უკვე მოცემული იქმნებოდენ ესე უმაღლესი სჯულნი. ნება დართულ მექმნას განვაგრძო დასჯა მებრ

უწინარესისა, რათა აღვირშესხმული იქნან ბოროტმოქმედებანი, რომელთაც ძალუძთ განმრავლება ერთა უჩვევარობისა გამო წყნარისადმი განმგებლობისა (ვალერიან მაჭარაძე. რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმება. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის საისტორიო კრებული „მესხეთი“, VI-VII, 2005. თბილისი 2005, გვ. 395-415).

ლიტერატურა:

1.Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею. Под редакцией А. Берже. Том I. Тифлис, 1866.

2.Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1886.

3. ვალერიან მაჭარაძე. რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმება. -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის საისტორიო კრებული „მესხეთი“, VI-VII, 2005. თბილისი 2005, გვ. 395-415

კითხვები:

1. როდის მოეწერა ხელი ელაზნაურის ტრაქტატს?
2. როგორ ცდილობდა სოლომონ II- ე თავიდან აეცილებინა მისთვის შეურაცხმყოფელ დოკუმენტზე ხელის მოწერა?
3. რით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან გეორგიევსკის ტრაქტატი და ელაზნაურის ტრაქტატი?
4. რას ნიშნავდა იმერეთის სამეფოს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში?
5. რა უფლებები რჩებოდა ელაზნაურის ტრაქტატით იმერეთის მეფეს?
6. რატომ ლახავდა ელაზნაურის ტრაქტატი სოლომონ II-ის ღირსებას?
7. ჩამოთვალეთ ელაზნაურის ტრაქტატის ძირითადი პირობები?

15. რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის საზავო ხელშეკრულება (ზუქარესტის ტრაქტატი)

XVIII საუკუნეში რუსეთთან ომებში დამარცხების მიუხედავად ოსმალეთი რევანშისათვის ემზადებოდა. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის ლავირება დამთავრდა იმით, რომ აუსტერლიცის ბრძოლაში (1805 წ.) რუსეთის მარცხის შემდეგ ოსმალეთი საფრანგეთს მიემხრო და რუსეთთან ურთიერთობას ხელოვნურად ძაბავდა. ოსმალეთმა რუსეთის გემებისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დახურა. ამავე დროს სულთანმა

უგულებელყო რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებებით **მოლდოვას, ვალახეთისა და სერბეთის** მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1812 წლამდე გაგრძელდა. ოსმალეთი მიზნად ისახავდა ყირიმის ნახევარკუნძულისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაბრუნებას, ასევე მოლდოვაზე, ვალახეთსა და სერბეთზე სრული ბატონობის დამყარებას.

1806-1810 წლებში რუსეთმა დუნაისპირეთსა და ბალკანეთზე ვერ შეძლო ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების წარმოება. 1810 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე **დუნაი** და მიაღწია **ბალკანეთის უღელტეხილებს**. რუსებმა მიწეულის შენარჩუნება ვერ შეძლეს, ჩრდილოეთ ბულგარეთი დატოვეს და საწყის პოზიციებზე დაიხიეს. 1811 წელს რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე ბრძოლაში ოსმალეთის არმია სასტიკად დაამარცხა.

რუსეთის არმიამ წარმატებები მოიპოვა კავკასიის ფრონტზეც. 1810 წელს რუსებმა აიღეს **ფოთი** და **სოხუმი**. 1811 წელს – ახალქალაქი.

1812 წლის 16 მაისს **ბუქარესტში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ უცვლელად რჩებოდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრე დადებული ყველა ხელშეკრულება (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 71). ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ბესარაბია (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 71-72).

რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება შეეხო საქართველოს. **ოსმალეთმა სცნო ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში**. საზავო ხელშეკრულების მეექვსე მუხლში აღნიშნული იყო, რომ **რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა აღდგენილიყო ომამდელი სახით**. რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა აზიაში (სამხრეთ კავკასიაში) **დაკავებული ციხე-სიმაგრეები, ქალაქები, დაბეები და სოფლები** (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 72-73).

რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა **ფოთი** და **ახალქალაქი**, მაგრამ შეძლო **სოხუმის** შენარჩუნება. სოხუმი რუსეთს დარჩა იმის გამო, რომ 1810 წელს აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. დამარცხებულმა ოსმალეთმა თავი ვეღარ გამოიღო აფხაზეთის შენარჩუნების მიზნით. საბოლოოდ **რუსეთს დარჩა შავი ზღვის სანაპირო სოხუმიდან რედუტ-კალემდე (მდ. ხობის შესართავამდე)** (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005).

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების მეექვსე მუხლი

Ст. VI. Кроме границы реки Прута, границы со стороны Азии и других мест восстанавливаются совершенно так, как оные были прежде до войны, и как постановлено с третьей статье предварительных пунктов. Вследствие чего Российский Императорский двор отдает и возвращает Блистательной Порте Оттоманской, в таком состоянии, в каком теперь находятся крепости и замки, внутри сей границы лежащие и оружием его завоеванные, купно с городами, местечками, селениями, жилищами и со всем тем, что сия земля в себе содержит (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 72-73).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1973.
6. შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბილისი, 1975.
7. ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
8. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007.
9. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв. Под редакцией Н. С. Киняпина. Москва, 1978.
10. Н. С. Киняпина, М.М. Блиев, В.В. Дегоев. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. Москва, 1984.
11. История России. XIX – начала XX вв. Под редакцией В. А. Федорова. Москва, 2000.

კითხვები:

1. რა გახდა 1806 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის მიზეზი?
2. როდის დაიკავეს რუსებმა ფოთი?
3. როდის დაიკავეს რუსებმა სოხუმი?
4. როდის დაიკავეს რუსებმა ახალქალაქი?
5. როდის დაიდო რუსეთ-ოსმალეთის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი)?
6. ბუქარესტის ტრაქტატის ძალით რუსეთის იმპერიის შემდაგენლობაში საქართველოს ტერიტორიის რომელი ნაწილების გადასვლა ცნო ოსმალეთმა?

7. ბუქარესტის ტრაქტატით როგორ დადგინდა სასაზღვრო ხაზი აზიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის?
8. ბუქარესტის ტრაქტატის ძალით ომის დროს დაკავებულ საქართველოს რომელი ქალაქები დაუბრუნდა ოსმალეთს?

16. რუსეთ-ირანის 1813 წლის 12 ოქტომბრის საზავო ხელშეკრულება (გულისთანის ტრაქტატი)

ქართლ-კახეთის დაპყრობის (1801-1802 წწ.) შემდეგ რუსეთის იმპერია შეუდგა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობას. 1802 წელს **ყუზის** და **თალიშის** ხანები იძულებულნი გახდნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულიყვნენ. **განჯის ხანმა** უარი თქვა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე. 1804 წელს საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა **პავლე ციციანოვმა** განჯის სახანოს დაპყრობა დაიწყო. რუსეთისა და ირანის ურთიერთობა დაიძაბა და 1804 წელს ამ ორ ქვეყანას შორის ომიც დაიწყო. ირანის ჯარები **აღმოსავლეთ სომხეთიდან თბილისისაკენ** გაჭრას ცდილობდნენ. ამის საპასუხოდ პავლე ციციანოვმა **ერევანს** შეუტია. რუსებმა **ერმიაძინთან** ირანის ჯარი დაამარცხეს და ერევანს შემოარტყეს ალყა. ერევნის ალყა დიდხანს (1804-1805 წწ.) გაგრძელდა. სამაგიეროდ, რუსებმა უკუაგდეს **თბილისის** მიმართულებით შეტევაზე გადმოსული ირანის ჯარები. რუსებმა შეტევა განავითარეს **ჩრდილოეთ აზერბაიჯანში** და დაიკავეს **ყარაბაღის, შექისა და შირვანის** სახანოები. ოსმალეთთან ომის დაწყების შემდეგ (1806 წ.) რუსეთს ირანთან ომის გაგრძელება გაუჭირდა. 1812 წელს ირანის ჯარები **ყარაბაღში** შეიჭრნენ, მაგრამ **ასლანდუზის** ახლოს რუსებმა კვლავ დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ რუსეთ-ირანის ომში მნიშვნელოვანი ბრძოლები აღარ გამართულა.

1813 წლის 24 ოქტომბერს სოფელ **გულისთანში** (ყარაბაღში) ხელი მოეწერა რუსეთ-ირანის საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს).

გულისთანის საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლით **რუსეთის შემადგენლობაში** გადადიოდა **ყარაბაღისა და განჯის სახანოები, შექის, შირვანის, დერბენდის, ყუზის, ბაქოს და თალიშის სახანოების ტერიტორიის** ის ნაწილი, რომელიც რუსეთის ჯარებს ეკავათ. რუსეთის ხელში გადადიოდა ასევე მთელი დაღესტანი, საქართველო (იგულისხმებოდა ქართლ-კახეთი – ვ. გ.) შურეგალის პროვინციასთან ერთად, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და მთელი ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა კავკასიის ხაზსა (გადიოდა ჩრდილო კავკასიაში – ვ. გ.) და გულისთანის საზავო ხელშეკრულებით დადგენილ რუსეთ-ირანის ახალ საზღვარს შორის (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 214). რაც შეეხება გულისთანის საზავო ხელშეკრულებით რუსეთ-ირანის ახალი საზღვრის დადგენას, აქ ბევრი რამ ბუნდოვანი იყო (**ლუიზა**

შენგელია. ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში. თბ.: 1979, გვ. 52). ხელშეკრულების მეორე მუხლის მიხედვით რუსეთ-ირანის საზღვარი იწყებოდა ადინე ბაზართან და პირდაპირი ხაზით გადიოდა მულანის ველზე, მიუყვებოდა მდინარე არაქსს იმ ადგილამდე, სადაც მდინარე არაქსს მდინარე ქაფნაქჩაი ერთვის, შემდეგ საზღვარი გასდევდა ყარაბაღის, ნახჭევანის, ერევანის სახანოების საზღვრებს და შურეგალის რაიონიდან მდინარე არფაჩაიმდე გრძელდებოდა (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр.213-214). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორია ჭარ-ბელაქანი (საინგილო) ირანმა რუსეთს დაუთმო.

დანართი

რუსეთ-ირანის 1813 წლის 12 ოქტომბრის გულისთანის საზავო ხელშეკრულების მეორე და მესამე მუხლები

Ст. II. Поелику чрез предварительные сношения между двумя Высокими Державами, взаимно соглашенность уже, чтобы восстановить мир на основании сტატუს ქლო ად პრესენტემ, то есть, дабы каждая сторона осталась при владении теми землями, ханствами и владениями, какие ныне находятся в совершенной их власти; то границей между империей Всероссийской и Персидским государством, от сего времени впредь, да будет следующая черта: начиная от урочища Одина-Базара прямой чертой чрез Муганскую степь до Еди-булукского брода на реке Аракс, оттоль вверх по Араксу до впадения в оную речки Капанакчая, далее же правой стороной речки Капанакчая до хребта Мигринских гор и оттуда продолжая черту межами ханств: Карабахского и Нахичеванского хребтом Алагезских гор до урочища Даралагеца, где соединяются межи ханств. Карабахского, Нахичеванского, Ериванского и части Елисаветпольского округа (бывшего Ганжинского ханства) потом, от сего места межой, отделяющей Ериванское ханство от земель Елисаветпольской округи, так же Шамшадильской и Казахской до урочища Эшок-Мейдана, и от оногo хребтом гор по течению правой стороны речки и дороги Гимзачимана по хребту уже Бамбакских гор до угла межи Шурагельской; от сего же угла до верху снеговой горы Алагеза, а отсель по хребту гор межой Шурагельской, между Мастарасом и Артиком до речки арпачая. Впрочем, как Тальшинское владение в продолжении войны переходило из рук в руки, то границы сего ханства со стороны Зинзелей и Ардавиля, для большей верности, определены будут по заключении и ратификации сего трактата избранными с обеих сторон комиссарами со взаимного согласия, кои под руководством главнокомандующих с обеих сторон сделают верное и подробное описание земель, деревень и ушей, также рек, гор, озер и урочиш, кои до настоящего времени находятся в действительной власти каждой стороны, и тогда определится черта границ Тельшинского ханства на основании сტატუს ქლო ად პრესენტემ, таким образом, чтобы каждая сторона осталась при своем владении Равным образом и в вышеупомянутых границах, ежели что перейдет за черту той ли

другой стороны, то что разобрании комиссарами обеих Высоких Держав, каждая сторона, на основании статუს ქულ ად პრესენტემ, доставит удовлетворение.

Ст. III. Его Шахское Величество, в доказательство искренней приязни своей к Его Величеству императору Всероссийскому, сим торжественно признает, как за себя, так и за высоких преемником персидского престола, принадлежащим в собственность Российской империи ханства: Карабахское и Ганжинское, обращенное ныне в провинцию под названием Елисаветпольской; так же ханства: Шекинское, Ширванское, Дербентское, Кубинское, Бакинское и Талышское с теми землями сего ханства, кои ныне состоят во власти Российской империи. При том весь Дагестан, Грузию с Шурагельской провинцией, Имеретию, Гурию, Мингрелию и Абхазию, равным образом все владения и земли, находящиеся между постановленной ныне границей и Кавказской линией, с прикосновенными к сей последней и к Каспийскому мору землями и народами (**Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. Москва, 2005 стр. 213-214).

ლიტერატურა:

1. **ვახტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. **ლუიზა შენგელია.** ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში. თბილისი, 1979.
6. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв. Под редакцией **Н. С. Киняпина.** Москва, 1978.
7. **Н. С. Киняпина, М.М. Блиев, В.В. Дегоев.** Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. Москва, 1984.
8. **Н. С. Киняпина.** Внешняя политика России первой половины XIX в. Москва, 1963.

კითხვები:

1. როდის შევიდნენ ყუბისა და თალიშის სახანოები რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში?
2. როდის დაიწყო რუსეთ-ირანის ომი?
3. როდის დაიდო რუსეთ-ირანის გულისთანის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი)?
4. რა ტერიტორიები მიიღო გულისთანის ტრაქტატით რუსეთმა სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში?
5. გულისთანის ტრაქტატით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რა ნაწილი სცნო ირანმა რუსეთის შემადგენლობაში?

6. გულისთანის ტრაქტატით როგორ დადგინდა სასაზღვრო ხაზი ირანსა და რუსეთს შორის?

17. რუსეთ-ირანის 1828 წლის 10 თებერვლის საზავო

ხელშეკრულება (თურქმანჩაის ტრაქტატი)

ირანი ვერ ეგუებოდა 1813 წლის 12 ოქტომბრის გულისთანის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირობებს. ირანს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ინგლისი, რომელსაც არ სურდა რუსეთის გაბატონება სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით, კასპიისპირეთში. 1826 წელს რუსეთსა და ირანს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1828 წლამდე გაგრძელდა. 1826 წელს ირანის 60 ათასიანი არმია აზერბაიჯანში შეიჭრა, ყარაბაღი და განჯა დაიკავა და ბაქოს მიაღწა. იმავდროულად ირანის არმია საქართველოს საზღვრებისაკენ გაიჭრა და თბილისს შეუქმნა საფრთხე. რუსებმა თავდაცვის ორგანიზება შეძლეს, შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ და 1826 წლის სექტემბერში შამქორთან სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგე. 1826 წლის ბოლოსათვის რუსებმა ირანის არმია ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან განდევნეს. 1827 წელს რუსებმა აიღეს ერევანი. 1827 წლის სექტემბერში რუსებმა თავრიზი დაიკავეს. 1828 წლის იანვარში რუსეთის არმიამ თეირანის მიმართულებით შეუტია და დაიკავა ურმია, მარაღა, არდებილი და მიანი. ირანის შაჰმა ზავი ითხოვა.

რუსეთსა და ირანს შორის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) დაიდო 1828 წლის 10 თებერვალს სოფელ თურქმანჩაიში (მიანთან). თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების შესამე მუხლის ძალით ირანმა ცნო ერევნისა და ნახჭევანის სახანოების გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 219).

თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლით დადგინდა რუსეთ-ირანის საზღვარი. საზღვარი იწყებოდა რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის იმ ადგილიდან, რომელიც პირდაპირი ხაზით ყველაზე ახლოს იყო მცირე არარატის მწვერვალთან. შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდინარე არარატს მდინარე არაქსთან შეერთებამდე, შერუდის მოპირდაპირე მხარეს. არარატს არაქსთან შეერთების ადგილიდან საზღვრის ხაზი მიუყვებოდა მდინარე არაქსს აბას-აზადის ციხე-სიმაგრემდე (მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირზე). აბას-აზადის გასწვრივ $3 \frac{1}{2}$ ვერსის სიგანე ტერიტორია უნდა გადასულიყო რუსეთის შემადგენლობაში. აბას-აზადიდან სასაზღვრო ხაზი გასდევდა მდინარე არაქსს ედიბულუკის ფონამდე. შემდეგ კი გადაკვეთდა მუღანის ველს მდინარე ბოლგარუმდე. საიდანაც საზღვარი მიუყვებოდა მდინარე ბოლგარუს მდინარეების ადინე ბაზრისა და სარიყამიშის შეერთების ადგილამდე, აქედან კი საზღვარი გასდევდა მდინარე ადინე ბაზარს, შემდეგ მდინარე ასტარს ამ მდინარის კასპიის ზღვაში ჩადინების ადგილამდე (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. М., 2005, стр. 219-220).

ამრიგად, საქართველოს ისტორიული ტერიტორია ჭარ-ბელაქანი (საინგილო) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა.

რუსეთ-ირანის 1828 წლის 10 თებერვლის თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების
მესამე და მეოთხე მუხლები

Ст. III. Его Величество шах Персидский от своего имени, и от имени своих наследников и преемников, уступает Российской империи в совершенную собственность ханство Эриванское по сию и по ту сторону Аракса, и ханство Нахичеванское. Вследствие сей уступки, Его Величество шах обещает, не позже шести месяцев, считая от подписания настоящего договора, сдать российским начальствам все архивы и публичные документы, относящиеся до управления обоими вышеозначенными ханствами.

Ст. IV. С согласия обеих Высоких Договаривающихся Сторон постановляется границей между обоими государствами следующая черта: начиная с той точки от границы турецких владений, которая всех ближе в прямом направлении отстоит от вершины Малого Арарата; потом сия граничная черта продолжится по течению той реки до впадения оной в Аракс против Шерура; от сего пункта она пойдет по руслу реки Аракса до крепости Аббас-Абада; здесь около внешних укреплений сей крепости, находящихся на правом берегу Аракса, будет обведена окружность шириной в пол-агача, т.е. в 3 1/2 российских версты во всех направлениях, и про странство земли, содержащееся в сей окружности сполна будет принадлежать исключительно России, и имеет быть отрезано с величайшей точностью в течение двух месяцев считая от сего числа. Начиная с того места, где означенная окружность с восточной стороны примкнется к берегу Аракса, пограничная черта пойдет паки по руслу сей реки до Едидулукского брода; оттуда персидское владение будет простираться, по руслу реки Аракс на 3 очага, т.е. на 21 российскую версту, потом граница пойдет прямо чрез Муганскую степь до реки Болгару к месту, лежащему 3-мя ачагами, т.е. 21 верстой ниже соединения двух речек: Одинабазара и Саракамышы. Оттуда граница продолжится по левому берегу реки Болгару вверх до соединения помянутых речек Одинабазара и Саракамышы; потом по правому берегу восточной реки Одинабазара до ее верховья, а

отселе до вершины Джикоирских высот, так, что все воды, текущие с сих высот к Каспийскому морю, будут принадлежать России, а все воды, изливающиеся на сторону Персии, будут принадлежать Персии. Погляку же здесь граница между обоими государствами определяется вершиной гор; то поожено, что покатость их к морю Каспийскому должна принадлежать к России, а противоположная покатость имеет принадлежать Персии. От вершины Джикоирских высот граница пролегает до вершины Камаркуя по горам, отделяющим Талыш от округа Арши. Горные верхи, разделяющие течение вод на обе стороны, будут составлять здесь пограничную черту точно так же, как выше было сказано о пространстве между верховьем Одинабазара и Джикоирскими вершинами. Далее пограничная черта, с непрерывным наблюдением выше изложенного правила относительно течения вод, будет следовать от Камаркуйской вершины по хребту гор, разделяющих округ Зуванта и округ Арши, до границы округа Велькиджи. Таким образом, округ Зувант, за исключением части, лежащей на противной стороне от вершин помянутых гор, присоединится к России. От границы округа Велькиджи, пограничная между обоими государствами черта, в постоянной сообразности с вышеозначенным правилом течения вод, будет следовать по вершинам Клопуты и по главной цепи гор, пролегающих по округу Велькиджи, до северного истока реки Астары; оттуда по руслу сей реки, до впадения ее в Каспийское море, где и оканчивается пограничная черта, имеющая отделять российские владения от персидских (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 219-220).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. ნიკო ქორთუა. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბილისი, 1978.
6. ლუიზა შენგელია. ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში. თბილისი. 1979.
7. Н. С. Киняпина. Внешняя политика России первой половины XIX в. Москва, 1963.
8. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв. Под редакцией Н. С. Киняпина. Москва, 1978.
9. Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В.В. Дегоев. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. Москва, 1984.
10. История России. XIX – начала XX вв. Под редакцией В. А. Федорова. Москва, 2000.

კითხვები:

1. რა გახდა 1826 წელს რუსეთ-ირანის მორიგი ომის დაწყების მიზეზი?
2. როდის დაიდო რუსეთ-ირანის თურქმანიჩაის საზავო ხელშეკრულება (თურქმანიჩაის ტრაქტატი)?
3. თურქმანიჩაის ტრაქტატით როგორ დადგინდა რუსეთ-ირანის სასაზვრო ხაზი?
4. თურქმანიჩაის ტრაქტატით საქართველოს ისტორიული ტრიტორიის რა ნაწილი სცნო ირანმა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში?

18. რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება (ადრიანოპოლის ტრაქტატი)

რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რუსეთის იმპერიის სწრაფვამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით უპირატესი გავლენა მოეპოვებინა ოსმალეთზე. რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი გამოიწვია. ომი 1828 წელს დაიწყო და 1829 წლამდე გაგრძელდა. რუსეთ-ოსმალეთის ომი თავიდანვე ორ ფროტზე – **ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში** – დაიწყო.

1828 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე **პრუტი** და მოლდოვას სამთავროს ტერიტორიაზე შევიდა. რუსებმა დაიკავეს **იასი** და **ბუქარესტი**. 1829 წელს რუსეთის არმიამ აიღო ძლიერი ციხე-სიმაგრეები – **შულმა** და **სილისტრია**. 1829 წელს რუსებმა გადალახეს **ბალკანეთის მთები** და უბრძოლველად შევიდნენ **ადრიანოპოლში**. წარმატება მოიპოვეს რუსებმა ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთსა და კავკასიაში. 1828 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ანაპა (ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთი), **ყარსი**, **ახალციხე** და **ბაიაზეთი**.

1829 წლის 2 სექტემბერს **ადრიანოპოლში** რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა მიიღო მდინარე **დუნაის დელტა (შესართავი)**. საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ევროპაში კვლავ მდინარე **პრუტზე** უნდა დარჩენილიყო (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 90-91).

რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის ძალით **ოსმალეთმა აღიარა რუსეთის ხელში საქართველოს (იგულისხმებოდა ქართლ-კახეთი – ვ. გ.), იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გადასვლა. ოსმალეთმა ასევე აღიარა**

გულისთანის საზავო ხელშეკრულებით ირანის მიერ სამხრეთ კავკასიაში რუსეთისათვის ტერიტორიების დათმობა, ე. ი. ჭარბელაქანის (საინგილოს) გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. იმავე მეოთხე მუხლის ძალით რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა გასულიყო შავი ზღვის სანაპიროდან გურიასა და აჭარას შორის (მდ. ჩოლოქზე – ვ. გ.). შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვრებს, ახალციხისა და ყარსის საფაშოების საზღვრებს, ისე რომ ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის საზღვრებში რჩებოდა (ახალციხიდან და ახალქალაქიდან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ ორი საათის სავალისა). რუსეთ-ოსმალეთის ახალ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები – ყარსისა და ტრაპეზუნდის საფაშოების და ახალციხის საფაშოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი – რჩებოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. ტერიტორიები რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით – საქართველო (იგულისხმებოდა ქართლი და კახეთი – ვ. გ.), იმერეთი, და გურია, ასევე შავი ზღვის სანაპირო – წმინდა ნიკოლოზის სიმაგრიდან (შეკვეთილიდან) მდინარე ყუბანის შესართავამდე – გადადიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ომის დროს დაკავებული ახალციხის საფაშოს სამხრეთი ნაწილი, ყარსი და ყარსის საფაშო, ბაიაზეთი და ბაიაზეთის საფაშო, არზრუმის და არზრუმის საფაშო (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 91-92).

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის საზავო

ხელშეკრულების მეოთხე მუხლი

Ст. IV. Грузия, Имеретия, Мингрелия, Турция и многие другие области Закавказские с давних уже лет присоединены на вечные времена к Российской империи: сей державе уступлены также трактатом, заключенным с Персией в туркменчае 10 февраля 1828 года, ханства Эриванское и Нахичеванское. А потому обе Высокие Договаривающиеся Стороны признали необходимым учредить между обоюдными владениями, по всей помянутой черте, границу определительную и способную отвратить всякое недоразумение на будущее время. Равным образом приняли оне в соображение средства, могущие положить неодолимую преграду набегам и грабежам сопредельных племен, доселе столь часто нарушавших связи дружбы и доброго соседства между обеими империями. Вследствие сего положено признавать отныне границей между владениями в Азии Императорского Российского двора и Блистательной Порты Оттоманской черту, которая, следуя по нынешнему рубежу Гурии от Черного моря, восходит до границы Имеретии, и оттуда в прямейшем направлении до точки, где граница Ахалцыхского и Карского пашалыков соединяется с грузинской, таким образом, чтобы город Ахалцых и

крепость Ахалкалаки остались на севере от помянутой черты, и в расстоянии не ближе двух часов пути от оной.

Все земли, лежащие на юге и на западе от вышесказанной граничной черты к стороне Карского и Трапезундского пашалыков с большей частью Ахалцыхского пашалыка, останутся в вечном владении Блистательной Порты; земли же, лежащие на севере и на востоке от оной черты к стороне Грузии, Имеретии и Гурии, а равно и весь берег Черного моря от устья Кубани до пристани Св. Николая включительно, пребудет в вечном владении Российской империи.

Вследствие того, Императорский Российский двор отдает и возвращает Блистательной Порте остальную часть пашалыка Ахалцыхского, город Карс с его пашалыком, город Баязид с его пашалыком, город Арзурем с его напашыком, а также и все места, занятые российскими войсками и находящиеся вне вышешоказанной черты (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 90-91).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1973.
5. შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბილისი, 1975.
6. ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
7. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007
8. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв. Под редакцией Н.С. Княпина. Москва, 1978.
9. Н. С. Княпина, М. М. Блиев, В.В. Дегоев. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. Москва, 1984.
10. История России. XIX – начала XX вв. Под редакцией В. А. Федорова. Москва, 2000.

კითხვები:

1. რომელ ფრონტებზე მიმდინარეობდა 1828 წელს დაწყებული ოსმალეთის ომი?
2. რა ტერიტორია (ქალაქები) დაიკავა რუსეთის ჯარმა სამხრეთ კავკასიაში?
3. როდის დაიდო რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება (ადრიანოპოლისის ტრაქტატი)?

4. რომელი სახელწმიფოს ნაწილად აღიარებდა ქართლ-კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს და გურიას ადრიანოპოლის ტრაქტატი?
5. რომელი სახელმწიფოს ნაწილად აღიარებდა ჭარ-ბელაქანს (საინგილოს) ადრიანოპოლის ტრაქტატი?
6. ადრიანოპოლის ტრაქტატით როგორ დადგინდა სასაზღვრო ხაზი აზიაში, რუსეთსა და ოსმალეთს შორის?
7. ადრიანოპოლის ტრაქტატით შავი ზღვის სანაპიროს რა ნაწილი გადაეცა რუსეთს?

19. რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის 1856 წლის 18 (30) მარტის საზავო ხელშეკრულება (პარიზის ტრაქტატი)

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის იმპერიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის) ბრძოლამ დასუსტებული ოსმალეთის ევროპული და აზიური სამფლობელოების გადანაწილებისა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დამყარებისათვის უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. გამწვავდა საკუთრივ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. 1853 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ეს ომი ისტორიაში **ყირიმის ომის** (1853-1856 წწ.) სახელწოდებითაა ცნობილი. 1854 წელს უკვე პრაქტიკულად დამარცხებული ოსმალეთის მხარეზე ომში **საფრანგეთი, ინგლისი და სარდინიის სამეფო** ჩაებნენ. ომი სამ ფრონტზე – **ბალკანეთში, ყირიმის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ კავკასიაში** მიმდინარეობდა. რუსეთის არმია დამარცხდა ბალკანეთზე და ყირიმში (1855 წელს მოკავშირეებმა სევასტოპოლი აიღეს). **წარმატება მოპოვებულ იქნა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში.** 1853 წელს რუსეთის არმიამ ოსმალები დაამარცხა **ახალციხესთან.** 1854 წელს – მდინარე **ჩოლოქზე.** 1855 წელს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს **აფხაზეთი და სამეგრელო.** 1855 წლის ნოემბერში რუსეთის არმიამ **ყარსის** ციხე-სიმაგრე აიღო. წარმატებებმა კავკასიაში რუსეთს ვერ უშველა. დამარცხებული რუსეთის იმპერია სამარცხვინო ზავზე დათანხმდა.

საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს, ოსმალეთსა და სარდინიის სამეფოს შორის დაიდო **პარიზში** 186 წლის 18(30) მარტს.

პარიზის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლის ძალით **რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა ყარსი და ასევე ომის დროს დაკავებული ოსმალეთის სხვა**

ტერიტორიები. მოკავშირეები დამარცხებულ რუსეთს უბრუნებდნენ ომის დროს დაკავებულ ქალაქებსა და ნავსადგურებს: **სევასტოპოლს, ბალაკლავას, კამიშს, ევპატორიას, ქერქს, ენიკალეს, კინზურნს** და სხვ. (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 125; Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. Москва, 1952, стр. 25).

დანართი

რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის 1856 წლის 18 (30) მარტის პარიზის საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლი

СТАТЬЯ III

Е. в. император всероссийский обязуется возвратить е. в. султану город Карс с цитаделью одного, а равно и прочие части оттоманских владений, занимаемые российскими войсками (Т. Юзефович. Договоры России с Востоком. Москва, 2005, стр. 125. Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. Москва, 1952, стр. 24).

ლიტერატურა:

1. **ვახტანგ გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. **ერმილე ზურჭულაძე.** ყირიმის ომი და საქართველო. თბილისი, 1960.
6. **მიხეილ სვანიძე.** თურქეთის ისტორია (1299-2000) თბილისი, 2007.
7. **ოთარ გიგინეიშვილი.** ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
8. **Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв.** Под редакцией

Н. С. Киняпина. Москва, 1978.

9. Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. Москва, 1984.

10. История России. XIX – начала XX вв. Под редакцией В. А. Федорова. Москва, 2000.

კითხვები:

1. როდის მიმდინარეობდა ყირიმის ომი?
2. როდის დაამარცხეს რუსებმა ოსმალები ახალციხესთან?
3. როდის გაიმართა ბრძოლა მდინარე ჩოლოქზე?
4. როდის დაიკავეს რუსებმა ყარსი?
5. პარიზის ტრაქტატის რომელი მუხლი ეხებოდა რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებს აზიაში?
6. ომის დროს დაკავებული რომელი სიმაგრე დაუბრუნეს რუსებმა ოსმალეთს?

20. რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება (სან-სტეფანოს ზავი)

1856 წლის 18(30) მარტის პარიზის ტრაქტატის პირობებს რუსეთის იმპერია ვერ ეგუებოდა. 1877 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ რევანშისათვის ხელსაყრელი დრო დადგა და ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედებები დაიწყო ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში. ორივე ფრონტზე რუსეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია. 1877 წლის ნოემბერში რუსებმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ პლევნა აიღეს, ბალკანეთის მთები გადალახეს და 1878 წლის 8 იანვარს ადრიანოპოლი დაიკავეს. კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიამ ასევე ვერ გაუძლო რუსების შეტევას. 1878 წლის 18 ნოემბერს რუსებმა ყარსი აიღეს. აჭარაში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაწყებული შეტევა წარმატებით ვერ განვითარდა, რადგან რუსებმა ციხისძირი ვერ დაიკავეს. ომი ისე დასრულდა, რომ ბათუმში ისევ ოსმალთა გარნიზონი იდგა.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) სტამბოლთან ახლოს დაბა სან-სტეფანოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 159-175.). სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებამ შვება მოუტანა ბალკანეთის ხალხებს. ოსმალეთის წინააღმდეგ მეგრძოლმა ჩერნოგორიის სამთავრომ დამოუკიდებლობა მიიღო. დამოუკიდებლობა მოიპოვა სერბიის სამთავრომაც. დამოუკიდებელი გახდა რუმინეთი. ბულგარეთმა მიიღო თვითმართველობა. მართალია, ბულგარეთს ოსმალეთისათვის

ხარკი უნდა ეხადა, მაგრამ ბულგარეთის მთავრობა ქრისტიანული იქნებოდა (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 160-164).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მეცხრამეტე მუხლი ეხებოდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას. მეცხრამეტე მუხლის ძალით ოსმალეთს რუსეთისათვის ომის დროს დაკავებული ტერიტორიების უკან დაბრუნების სანაცვლოდ ფული უნდა გადაეხადა. ამ მიზნით განისაზღვრა თანხის რაოდენობაც. სულ ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და ტერიტორიების უკან დაბრუნების საფასურად ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეღებინა **ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი** (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 169).

იმ ტერიტორიათა შორის, რომელიც რუსეთს დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა იყო: **არდაგანი (არტანის), ყარსი, ბათუმი, ზაიზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე**. საზავო ხელშეკრულების იგივე მეცხრამეტე მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი ზემოთ ხსენებული ტერიტორიის საზღვრები (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 170). თუ ოსმალეთი რუსეთს დადგენილ თანხას არ გადაუხდებდა, საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ასე განისაზღვრებოდა: **არდაგანი (არტანის), ყარსი, ბათუმი და ზაიზეთი რჩებოდა რუსეთის შემადგენლობაში**. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და გასდევდა მდინარეების **ხოფასა და ჭოროხის** წყალგამყოფს, შემდეგ მიუყვებოდა მთებს, ისე რომ სასაზღვრო ხაზი **ართვინის** სამხრეთით გადიოდა და ასე გრძელდებოდა მდინარე **ჭოროხამდე** (სოფლების **ალატის** და **ბეშაგეტის** მახლობლად). აქედან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდინარეების **თორთომისა და ჭოროხის** წყალგამყოფი მთების თხემს, გადიოდა **სივრი-დაღის** გადასასვლელზე, საიდანაც უხვევდა სამხრეთით და მიდიოდა **ზივინამდე**. ზივინის გზიდან სასაზღვრო ხაზი უხვევდა დასავლეთით, გადიოდა სოფელ **არდოსტსა და ხორასანზე**. საიდანაც დაემუშავებოდა სამხრეთით **სოღანლუღის მთებამდე**. შემდეგ გასდევდა **ალი-დაღის** მთებს და სამხრეთიდან შემოუვლიდა **ზაიაზეთს**. მეცხრამეტე მუხლი ცალკე არ ადგენდა **არტანის, ყარსის, ბათუმის, ზაიაზეთის და სოღანლუღამდე ტერიტორიის** ფასს. ბალკანეთში და კავკასიაში ოსმალეთისათვის დასაბრუნებელი ტერიტორიების საერთო ფასი განისაზღვრა **ათას ასი მილიონი მანეთით** (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. Москва, 1952, стр. 170).

დანართი

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის

(3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მეცხრამეტე მუხლი

СТАТЬЯ XIX

Вознаграждение за войну, а равно убытки, причиненные России, которые е. в. император всероссийский требует и которые Блистательная Порта обязалась ему уплатить, заключается в:

- а) девятистах миллионах рублей военных издержек (содержание армии, возмещение припасов, военные заказы);
- б) четырехстах миллионах рублей убытков, причиненных южному побережью государства, отпускной торговле, промышленности и железным дорогам;
- в) ста миллионах рублей убытков, причиненных Кавказу вторжением;
- г) десяти миллионах рублей проторей и убытков русским подданным и учреждениям в Турции.

Итого тысяча четыреста десять миллионов рублей.

Принимая во внимание финансовые затруднения Турции и сообразуясь с желанием е. в. султана, император всероссийский соглашается заменить уплату большей части исчисленных в предыдущем параграфе сумм следующими территориальными уступками:

а) Тульчинский санджак, то есть уезды (казы): Килии, Сулины, Махмудие, Исачки, Тульчи, Мачина, Бабадага, Гирсова, Кюстендже и Меджидие, а равно острова Дельты и Зменный остров. Не желя присоединять себе означенной территории и островов Дельты, Россия представляет себе променять их на отчужденную от нее трактатом 1856 года часть Бессарабии, граничащую с юга руслом Килийского рукава и устьем Старого-Стамбула. Вопрос о разделе вод и рыбных ловель имеет быть решен Русско-румынской комиссией в годовой срок со времени ратификации мирного трактата;

б) Ардаган, Карс, Батум, Баязид и территория до Саганлуга. - В общих чертах граница от берега Черного моря направится по хребту гор, служащих водоразделом притоков рек Хопы и Чароха, и по горной цепи к югу от города Артвина до реки Чароха, блик селений Алата и Бешагета; затем граница направится по вершинам гор Дервеник-Геки, Хорчезора и Беджигин-дага, по хребту, разделяющему притоки рек Тортум-чая и Чароха и по высотам близ Яйлы-Вихина до селения Вихин-Килисса на реке Тортум-чае. Отсюда пограничная черта направится по цепи Сиври-дага до перевала того же имени, проходя на юг от селения Нориман; далее граница повернет к юговостоку, последует к Зивину, откуда, — пройдя на запад от дороги из Зивина и в селения Ардост и Хорассан, направится на юк к Саганлугской цепи, до селения Гиличман, затем по хребту Шариан-дага достигнет, в десяти верстах к югу от хамура, Мурадчайского ущелья; потом граница пройдет вдоль по хребту Алла-дага, по вершинам Хори и Тандурека и, пройдя на юг от Баязидской долины, примкнет к прежней турецко-персидской границе к югу от Казли-Геля.

Окончательные границы присоединенной к России территории, обозначенные на прилагаемой при сем карте, будут установлены комиссией из русских и оттоманских делегатов, комиссия эта примет

во внимание при своих работах как топографию местности, так и необходимые условия для хорошей администрации и для обеспечения спокойствия страны.

с) Территории, означенные в параграфах а и б, уступаются России взамен суммы тысячи ста миллионов рублей. Что касается остальной части вознаграждения, за исключением десяти миллионов рублей, то способ их уплаты и предназначаемые к тому обеспечения будут определены последующим соглашением между российским императорским правительством и правительством е-в. султана.

д) Десять миллионов рублей, выговоренных в виде вознаграждения подданным и учреждениями русским в Турции, имеют быть уплачиваемы по мере того, как требования заинтересованных лиц и учреждений будут рассмотрены российским посольством в Константинополе и переданы Блистательной Порте (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. Под редакцией Е. А. Адамова. Москва, 1952, стр. 169-171).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი V. თბ., 1970.
6. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბ., 2003.
7. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბ., 2007
8. Ш. В. Мегрелидзе. Вопросы Закавказья в истории Русско-Турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969.
9. История России. XIX – начала XX вв. Под редакцией В.А. Федорова. Москва, 2000.

კითხვები:

1. როდის დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი?
2. როდის განვითარდა საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში?
3. აჭარის ტერიტორიაზე რომელი სიმაგრის დაკავება გაუჭირდათ რუსებს?
4. როდის დაიღო სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება?
5. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების რომელი მუხლი ეხებოდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას?

6. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების ძალით თუ ოსმალეთი რუსეთს დადგენილ თანხას გადაუხდიდა, რუსეთის ჯარის მიერ ომის დროს დაკავებული რომელი ქართული ტერიტორიები დაუბრუნდებოდა ოსმალეთს?
7. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მიხედვით როგორ დადგინდა რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში (სამხრეთ კავკასიაში)?
8. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მიხედვით რომელი ქართული ტერიტორიები დაუთმო ოსმალეთმა რუსეთს?

21. რუსეთ-ინგლისის 1878 წლის 18 (30) მაისის შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე (ლონდონის შეთანხმება)

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება დიდი დარტყმა იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის და პირველ რიგში ინგლისისათვის. ხელშეკრულების ძალით განმტკიცდა რუსეთის პოზიციები ბალკანეთში. წარმატებები მოიპოვა რუსეთმა კავკასიაშიც.

ინგლისის ინიციატივით ევროპის ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ რუსეთი დაითანხმეს **საერთოევროპული კონგრესის** მოწვევაზე, რომელსაც უნდა გადაესინჯა რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები. სანამ კონგრესი შეიკრიბებოდა, ინგლისის ინიციატივით შედგა რუსეთ-ინგლისის საიდუმლო შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე.

რუსეთ-ინგლისის შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე ხელმოწერილ იქნა **ლონდონში** 1878 წლის 18 (30) მაისს. (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 176-179). შეთანხმება საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული.

ლონდონის შეთანხმების **მეთერთმეტე მუხლში** აღნიშნული იყო: **ინგლისი თანახმა იყო რუსეთს მიეღო ბათუმი და შეენარჩუნებინა სომხეთის დაპყრობილი ტერიტორია, მაგრამ შემდგომში ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე აზიაში რუსეთის ტერიტორია არ უნდა გაზრდილიყო** (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. Москва, 1952, стр. 179).

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე რუსეთ-ინგლისის

1878 წლის 18 (30) მაისის

ლონდონის შეთანხმების მეთერთმეტე მუხლი

11. Правительство ее британского величества считало бы своим долгом выразить свое глубокое сожаление в случае, если бы Россия решительно настаивала на возвращение Бессарабии. Поскольку, однако, достаточно выяснено, что прочие державы, подписавшие Парижский трактат, не намерены защищать при помощи оружия границы Румынии, установленные этим трактатом, Англия не считает себя столь непосредственно заинтересованной в этом вопросе, чтобы иметь право взять на себя одну ответственность воспротивится предположенному изменению, и поэтому она обязуется не оспаривать окончательного решения России относительно возвращения Бессарабии.

Соглашаясь не возражать против желания русского императора приобрести порт Батум и сохранить свои завоевания в Армении, правительство ее величества не скрывает от себя, что, вероятно, в результате этого расширения границ России, в будущем может возникнуть серьезная опасность, угрожающая спокойствию турецкого населения в Азии. Но правительство ее величества придерживается того мнения, что обязанность предохранять Оттоманскую империю от этой опасности, которая отныне ляжет специально на Англию, может впредь осуществляться без того, чтобы Европа испытала бедствия новой войны. Вместе с тем правительство королевы примет к сведению заверение его императорского величества о том, что в будущем граница России не будет расширена со стороны Азиатской Турции. В связи с этим правительство ее величества, полагая, что изменений Сан-Стефанского договора, согласованных в этом меморандуме, достаточно для того, чтобы ослабить возражения, которые оно имеет против договора в его настоящем виде, обязуется не возражать против статей прелиминарного Сан-Стефанского договора, не измененных десятью* вышеизложенными пунктами, если, после того как эти статьи будут должным образом обсуждены на конгрессе, Россия будет на них настаивать.

Возможно, что в ходе дискуссии на конгрессе, оба правительства предпочтут, по взаимному соглашению, внести новые изменения, которые невозможно предвидеть; но если между русскими и английскими уполномоченными не будет установлено соглашение по поводу новых изменений, то настоящий меморандум предназначен служить взаимным обязательством для уполномоченных России и Великобритании на конгрессе (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. Под редакцией Е. А. Адамова. Москва, 1952, стр. 178-179).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.

3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
6. Ш. В. Мегрелидзе. Вопросы Закавказья в истории Русско-Турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969.

კითხვები:

1. ვისი ინიციატივით იქნა მოწვეული ბერლინის კონგრესი?
2. რა მიზნით მოიწვიეს ბერლინის კონგრესი?
3. როდის დაიღო ინგლის-რუსეთის საიდუმლო შეთანხმება?
4. რას ითვალისწინებდა ინგლის-რუსეთის საიდუმლო შეთანხმება?

**22. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ოსმალეთის
1878 წლის 1 (13) ივლისის ხელშეკრულება
(ბერლინის ტრაქტატი)**

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება მიღწეული შეთანხმების შესაბამისად გადაისინჯა 1878 წლის ივნის-ივლისში გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამართულ კონგრესზე. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა შვიდი ქვეყანა: რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, იტალია და ოსმალეთი. ბერლინის კონგრესის დასკვნით, აქტს – ტრაქტატს (ხელშეკრულებას) ხელი მოეწერა 1878 წლის 13 ივლისს (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 181-206.)

ბერლინის ტრაქტატმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბალკანეთის ხალხების მონაპოვარი – გადასინჯა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები.

ბერლინის ტრაქტატი შეეხო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას. ტრაქტატის ორმოცდამეთვრამეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთი რუსეთს უთმობდა არდაგანს (არტაანს), ყარსს და ბათუმს (პორტიურთ), ასევე მთელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ძველ საზღვარსა და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით დადგენილ ახალ საზღვარს შორის.

ორმოცდამეთვრამეტე მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვარი. იგი ძირითადად ემთხვეოდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს. (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 204.)

ორმოცდამეცხრამეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი ბათუმის პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ნავსადგურად) გამოცხადებას დასთანხმდა უმეტესად კომერციული მოსაზრებებით. (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 204.)

მესამოცე მუხლის ძალით სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის გადაცემული ალაშკერტის ველი და ზაიაზეთი უბრუნდებოდა ოსმალეთს (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 205).

დანართი

რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ოსმალეთის 1878 წლის 1(13) ივლისის ბერლინის ხელშეკრულების (ბერლინის ტრაქტატის) ორმოცდამეთვრამეტე, ორმოცდამეცხრამეტე და მესამოცე მუხლები.

СТАТЬЯ LVIII

Блистательная Порга уступает Российской империи в Азии территории Ардагана, Карса и Батума, с портом последнего, равно как и все территории, заключающиеся между прежней русско-турецкой границей и следующей пограничной чертой.

Новая граница, направляясь от Черного моря, согласно пограничной линии, определенной Сан-Стефанским договором, до пункта к северо-западу от Хорды и к югу от Артвина, продолжается по прямой линии до реки Чоруха, пересекает эту реку и проходит к востоку от Ашмишена, следуя по прямой линии к югу, на соединение с русской границей, обозначенной в Сан-Стефанском договоре, в пункте на юг от Наримана, оставляя город Ольти за Россией. От пункта, обозначенного близ Наримана, граница поворачивает к востоку, проходит чрез Тебренек, остающийся за Россией, и доходит до Пенек-Чая.

Она идет по этой реке до Бардуза, потом направляется к югу, оставляя Бардуз и Ионикию за Россией. От пункта, находящегося на запад от деревни Карауган, граница направляется на

Меджингерг, продолжается по прямому направлению до вершины горы Кассадаг и следует по водоразделу притоков Аракса на севере и Мурад-Су на юге до прежней русской границы.

СТАТЬЯ LIX

Е. в. Император всероссийский объявляет, что его намерение - сделать Батум порто-франко по преимуществу коммерческим.

СТАТЬЯ LX

Долина Алашкерта и город Баязет, уступленные России статьей XIX Сан-Стефанского договора, возвращаются Турции.

Блистательная Порта уступает Персии город и территорию Котур соответственно тому, как она была определена смешанной англо-русской комиссией по турецко-персидскому разграничению (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917, Под редакцией **Е. А. Адамова**. Москва, 1952. стр. 204-205).

ლიტერატურა:

1. **ვახტანგ გურული**. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. **ვახტანგ გურული**. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. **ვახტანგ გურული**. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. **მიხეილ სვანიძე**. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007
6. **ოთარ გიგინეიშვილი**. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
7. **Ш. В. Мегрелидзе**. Вопросы Закавказья в истории Русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969.
8. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII – начало XX вв. Под редакцией **Н. С. Киняпина**. Москва, 1978.
9. **Н.С. Киняпина, М.М. Блиев, В. В. Дегоев**. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII – 80-е годы XIX в. Москва, 1984.
10. История России. XIX – начала XX вв. Под редакцией **В.А. Федорова**. Москва., 2000.

კითხვები:

1. ბერლინის ტრაქტატის ძალით რა ცვლილებები იქნა შეტანილი რუსეთ-ოსმალეთის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში?
2. ბერლინის ტრაქტატის რომელი მუხლით განისაზღვრა ბათუმის სტატუსი?
3. რა სტატუსი მიიღო ბათუმმა ბერლინის ტრაქტატით?

23. რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 იანვრის (8 თებერვლის)

საზავო ხელშეკრულება (სტამბოლის ხელშეკრულება)

1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) რუსეთ-ოსმალეთის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებამ და 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატმა საბოლოოდ მაინც ვერ მოაგვარა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა.

1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) **სტამბოლში** ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 207-210.)

სტამბოლის საზავო ხელშეკრულების **მეორე მუხლში** აღნიშნული იყო, რომ ბერლინის ტრაქტატმა, რომელსაც შვიდმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, გააუქმა ან შეცვალა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მუხლები. **მესამე მუხლი** კი გვაუწყებდა, რომ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების იმ მუხლების შინაარსი, რომელიც არც გაუუქმებია და არც შეუცვლია ბერლინის ტრაქტატს, საბოლოოდ განისაზღვრებოდა რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის საზავო ხელშეკრულებით. **მეხუთე მუხლის ძალით იმ თანხის რაოდენობა, რომელიც ოსმალეთს უნდა გადაეხადა რუსეთისათვის არ უნდა ყოფილიყო ოცდაექვსი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათას ფრანკზე მეტი** (Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917. М., 1952, стр. 208-209.)

რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 იანვრის (8 თებერვლის) სტამბოლის საზავო ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ბერლინის ტრაქტატით განსაზღვრული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში.

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.

5. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007.

6. Ш.В. Мегрелидзе. Вопросы Закавказья в истории Русско-Турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969.

კითხვები:

1. რამ განაპირობა რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 ივნისის (8 თებერვლის) სტამბოლის ხელშეკრულების დადება?
2. სტამბოლის ხელშეკრულებით როგორ შეიცვალა რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო ხაზი აზიაში?

25. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულება (ბრესტ-ლიტოვსკის ზავი)

1917 წლის დასასრულისა და 1918 წლის დამდეგისათვის შექმნილმა უმძიმესმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიძულა პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მოკავშირეების (ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების) ნების საწინააღმდეგოდ **სეპარატიული ზავი** დაედო გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთთან, ბულგარეთთან, ოსმალეთთან). ომის გაგრძელება საბჭოთა რუსეთს აღარ შეეძლო. 1918 წლის თებერვლის დამლევისათვის საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები (წითელი არმია) იმდენად სუსტი და არაორგანიზებული იყო, რომ **პეტროგრადისა (პეტერბურგისა) და მოსკოვის** დაცვაც კი არ შეეძლო. გერმანიის მიერ რუსეთის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონების ოკუპაციის საფრთხე რეალური იყო. რუსეთის ომიდან გამოსვლა დიდი შეღავათი იქნებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის. გერმანიას საშუალება ეძლეოდა აღმოსავლეთის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ დაჯგუფებული ცოცხალი ძალა და ტექნიკა დასავლეთ ფრონტზე. ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, გადაესროლა.

გერმანიამ ისარგებლა რუსეთის მძიმე მდგომარეობით და ზავი მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში დადო. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა შეჰგუებოდა დიდი ტერიტორიის დაკარგვას.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე **ოსმალეთი** 1914 წლიდან წარუმატებლად ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში თავისი ჰეგემონისტური გეგმების რეალიზებას, პირველ რიგში **ბათუმისა** და **ბაქოს** მიტაცებას. რუსეთის კავკასიის არმიამ სასტიკი მარცხი აწვინა ოსმალეთის არმიას, მოიგერია მისი შეტევა და საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიაზეც კი შეიჭრა. ამჯერად ოსმალეთს ეძლეოდა შანსი საზავო ხელშეკრულებით მიეღო ის, რაც ვერ მიიღო ომით. გერმანია ეცდებოდა დაეცვა მოკავშირის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.

საზავო ხელშეკრულება **რუსეთს, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს** შორის დაიდო 1918 წლის 3 მარტს ქალაქ **ბრესტ-ლიტოვსკში** (ბელორუსია).

ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიას სამხრეთ კავკასიაში და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას ეხებოდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლის მეორე და მესამე აბზაცი**. უშუალოდ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას კი ეხებოდა **მეოთხე მუხლის მესამე აბზაცი**.

მეოთხე მუხლის მეორე აბზაცის ძალით **რუსეთს ყველა ღონე უნდა ეხმარა ომის მსვლელობის დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში განლაგებული ჯარების უკანვე გამოყვანისა და აღმოსავლეთ ანატოლის ოსმალეთისათვის დაბრუნების მიზნით** (Документы внешней политики СССР. Том 1. М., 1957, стр. 121).

მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის ძალით **არდაგანის (არტაანის), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები ასევე დაუყოვნებლივ უნდა დაეცალათ რუსეთის ჯარებს**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წელს გატარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რეფორმის შემდეგ **ბათუმის ოლქი** შედგებოდა **ბათუმის და ართვინის ოკრუგებისაგან**. რაც შეეხება **არტაანის (არდაგანის) ოკრუგს**, იგი შედიოდა **ყარსის ოლქში**. ყარსის ოლქში შედიოდა ასევე **ოლთისის ოკრუგი და ყარსის ოკრუგი**. ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლში იგულისხმებოდა შემდეგი ტერიტორია: **ბათუმის ოლქი (ბათუმისა და ართვინის ოკრუგებით) და ყარსის ოლქი (არტაანის, ოლთისისა და ყარსის ოკრუგებით)**.

რუსეთს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო ხსენებული ოკრუგების ახალ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ მოწყობაში. **რუსეთს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოკრუგების მოსახლეობისათვის საშუალება უნდა მიეცა თვითონ განესაზღვრა ახალი წყობილება მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი, ოსმალეთთან თანხმობით** (Документы внешней политики СССР. Том 1. М., 1957, стр. 121).

ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორია – ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგები – რუსეთს კი ჩამოერთვა, მაგრამ

ოსმალეთს არ გადასცემია. პრაქტიკულად ამ სამი ოკრუგის მოსახლეობას რეფერენდუმის გზით უნდა გაერკვია, თუ რომელი მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება.

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო ყრილობამ მოახდინა 1918 წლის 15 მარტს, გერმანიის რაიხსტაგმა – 25 მარტს, გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II-მ – 26 მარტს.

დანართი

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლიდან

Статья IV

Россия сделает все от нее зависящее, чтобы обеспечить скорейшее очищение провинций Восточной Анатолии и их упорядоченное возвращение Турции.

Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно-правовых и международно-правовых отношений этих округов, а предоставит населению этих округов установить новый строй в согласии с соседними государствами, в особенности с Турцией (Документы внешней политики СССР. Том 1. Москва, 1957, стр. 121).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი, 2003.
5. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი, 2003.
6. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ისტორია. XX საუკუნე. თბილისი, 2005.
7. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
8. Новейшая история Отечества. XX век. В двух томах. Под редакцией А. Ф. Киселева и Э. М. Щагина. Том 2. Москва, 2002.
9. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007.

კითხვები:

1. რა განაპირობა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადება?
2. რომელმა სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას?
3. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რომელი მუხლები ეხებოდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას?
4. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რომელი მუხლები ეხებოდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას?
5. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის ძალით რომელი ქართული ტერიტორიები უნდა დაეტოვებინა რუსეთის ჯარებს?
6. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ძალით როგორ უნდა გათვალისწინებულიყო ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგების ბედი?

26. საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულება (ბათუმის ხელშეკრულება)

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, 1918 წლის მარტშივე, ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატისა და ოსმალეთის დელეგაციათა მოლაპარაკება. მოლაპარაკებების მიზანი იყო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოკრუგების სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხის გარკვევა. მხარები ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკებაც შეწყდა.

ტრაპიზონის კონფერენციის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ ოსმალეთის არმიამ შეტევა დაიწყო და 1918 წლის მარტ-აპრილში მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაიპყრო, დაიკავა ბათუმი და ქობულეთი. ოსმალთა შეტევის შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე გახდა შესაძლებელი.

1918 წლის 26 მაისისათვის, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დროისათვის, აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ასევე სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი (ბორჯომამდე) ოსმალების მიერ იყო ოკუპირებული.

1918 წლის 4 ივლისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ყოველმხრივ მძიმე, შეურაცხმყოფელი

იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. იმხანად შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველო იძულებული გახდა დაედო დამამცირებელი ზავი. ომის გზით ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება საქართველოს არ შეეძლო. ოსმალეთის მიერ წამოყენებული პირობების მიღებას ურჩევდა საქართველოს გერმანია. ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრების მიზნით პირველი ნაბიჯების გადადგმა გაუჭირდებოდა.

ხელშეკრულების მეორე მუხლი ეხებოდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. 1918 წლის 4 ივნისის საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულებით აღდგა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი, ანუ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებითა (1879 წლის 19 თებერვალი (3 მარტი) და ბერლინის ტრაქტატით (1878 წლის 1 (13) ივლისი) დადგენილმა სასაზღვრო ხაზმა ჩრდილოეთით გადმოიწია. ოსმალეთს დარჩა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი.

1918 წლის 4 ივნისის საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულების მეორე მუხლის მიხედვით საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც მდინარე ჩოლოქი ჩაედინება შავ ზღვაში და მიუყვებოდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე არსებულ სასაზღვრო ხაზს. მეფისწყაროს მთასთან სასაზღვრო ხაზი უხვევდა სამხრეთით და გადიოდა აბასთუმნიდან სამხრეთით ორი კილომეტრის მოშორებით. ამის შემდეგ სასაზღვრო ხაზი უხვევდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით და გადაკვეთდა მდინარე მტკვარს აწყურიდან ორი კილომეტრით სამხრეთით. აწყურიდან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა კაიაბაშის, ორთათავისა და კარაკაის მთებს, სამხრეთიდან შემოუვლიდა მოლითის მონასტერს, მიდიოდა თავკოთელის მთამდე, საიდანაც მიუყვებოდა შავნაზადას მთაგრეხილს (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 344).

ამრიგად, საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმის ოლქი (ბათუმისა და ართვინის ოკრუგები) და ყარსის ოლქი (არტაანის, ოლთისისა და ყარსის ოკრუგები), ასევე სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი: ახალციხე, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი და სხვ.

საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა 1918 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და იძულებული გახდა მუდროსის ზავზე (პრაქტიკულად კაპიტულაციაზე) მოეწერა ხელი.

დანართი

მეორე და მესამე მუხლები

Статья 2

Следующая пограничная линия разделяет Оттоманскую Империю от Республик Грузии, Армении, Азербейджана. Граница начинается там, где река Чолок впадает в Черное море, и совпадает со старой границей до войны 1877 г. между Оттоманской Империей и Россией до Горы Шавнобудь и, проходя по вершинам гор, достигает гор Хальхама и Мепискаро (по границе 1856 г.): там она поворачивает к югу, проходит по вершине горы Пирсагадь и в 2-х километрах к югу от Абастумана, поворачивая на северо-восток, доходит до горы Кархульдаг: отсюда, направляясь сначала на пять километров к северо-востоку и потом к юго-востоку, достигает местности Горкель, пересекает реку Куру в 2-х километрах к югу от Ацкур и, проходя по линии горных вершин Кайабаши, Ортатави, Каракайа, достигает озера Таписхорска сейчас же к югу от монастыря Молита; она пересекает это озеро таким образом, что та часть озера, которая находится к югу от прямой линии, идущей к югу от монастыря Молита, непосредственно к точке противоположного берега, отстоящей на полтора километра от северной точки озера, остается на Оттоманской территории, и доходит до горы Тавкотели; там она спускается к югу и проходит по горным вершинам Шавнабад, Каракузу, Самсар и, поворачиваясь к востоку, проходит по вершинам цепи гор Довскиран; затем направляется к югу, проходит по вершинам гор Ачрикар, Башрирап, Нуррахман; за горой Нуррахман она продолжается в направлении к югу и, идя все время по линии гор, встречается с железнодорожной линией Александрополь – Тифлис в пяти километрах от местности Акбулак; отсюда по линии гор она идет к местности Ханвали, где она почти прямой линией достигает, самой высокой вершины Алагеза и, следуя все по прямой линии, пересекает шоссе Эчмиадзинь – Сердерабадь, в 7 километрах к западу от Эчмиадзина; затем она обходит этот город на расстоянии 7 километров и следует параллельно железнодорожной линии Александрополь – Джульфа на расстоянии 10 километров от этой дороги и, в 16 километрах на юго-запад от местности Башкиаран, она пересекает дорогу, которая идет от этой местности к железной дороге; там она поворачивает к юго-востоку, проходит на расстоянии одного километра от деревни Ашаги Карабаглар по местностям Шагаблу, Каракач, Ашаги Ченакижи и достигает Елпинчая, по которому она следует до местности Арпа; начиная с этой последней местности, она совпадает с руслом реки Арпачай, доходит до местности Кайалу и следуя за рекой Кай, достигает вершины горы Актабань; она проходит затем по горным вершинам Каракурна, Араджий, Араклин, достигает водораздела Белианчай, по руслу которого она идет, чтобы прийти к югу от местности Аза к местности Алиджин, расположенной по линии бывшей Русско-Персидской границы.

Окончательное определение пограничной линии будет совершаться на местах же комиссией, состоящей из членов обеих сторон.

Статья 3

Договоры, заключенные между Правительством Грузинской Республики и Правительствами республик Азербейджана и Армении об установлении их соответствующих границ, будут сообщены

Императорскому Оттоманскому Правительству, и их протоколы будут включены в этот договорь (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 344-345).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2003.
5. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007

კითხვები:

1. რა მიზნით შეიკრიბა ტრაპიზონში ოსმალეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის საზო კონფერენცია?
2. რატომ შეწყვიტა მუშაობა ტრაპიზონის კონფერენციამ?
3. როდის დაიპყრო ოსმალეთმა საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი?
4. როდის დაიღო საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ხელშეკრულება?
5. ბათუმის ხელშეკრულების რომელი მუხლი ადგენდა საქართველო-ოსმალეთის საზღვარს?
6. ბათუმის ხელშეკრულებით როგორი დადგინდა საქართველო-ოსმალეთის სასაზღვრო ხაზი?
7. ბათუმის ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რა ნაწილი გადაეცა ოსმალეთს?
8. როდის დაკარგა ძალა საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებამ?

26. საქართველო-რუსეთის

ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი)

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდა და დაიდო ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებს უკიდურესად დაზარადა რამდენიმე გარემოება: პირველი. წინააღმდეგობანი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ანტანტის ქვეყნებსა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია) და ომში დამარცხებულ ქვეყნებს (გერმანია, თურქეთი) შორის; მეორე. წინააღმდეგობანი თვით ომში გამარჯვებულ ქვეყნებს შორის; მესამე. წინააღმდეგობანი დასავლურ სამყაროსა და საბჭოთა რუსეთს შორის; მეოთხე. ყოფილი რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სივრცეზე 1918-1920

წლებში მიმდინარე უსასტიკესი სამოქალაქო ომი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ანტანტის ქვეყნები; **მეხუთე**. ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლა ევროპაში ჰეგემონიისათვის, რაც ევროპის დიდი ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის) სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ უმძიმეს ვითარებაში უნდა მოეპოვებინა საერთაშორისო აღიარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის პოზიციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. უმძიმეს სამოქალაქო ომში ჩაბმულ რუსეთს იმხანად არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ან დიპლომატიური სანქციები გამოეყენებინა. ამას, გარკვეულწილად, უნდა გაეადვილებინა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის მცდელობას, გაერღვია მოჯადოებული წრე, წარმატება არ მოჰყოლია. ეს გაპირობებული იყო ერთი გარემოებით: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის იმპერიის დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერით მოხდა, და ბუნებრივია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც გერმანოფილურ ორიენტაციას დაადგა. გერმანოფილური საქართველო ანტანტას და, პირველ რიგში, ინგლისს სამომავლოდ სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიდა სამხრეთ კავკასიაში. სწორედ ამან განაპირობა ინგლისის საგარეო პოლიტიკაში ანტიქართული მიმდინარეობის ჩამოყალიბება. ინგლისის დიპლომატიის ანტიქართული განწყობა განსაკუთრებით საშიში გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირის გარეშე დარჩა. ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ომში გამარჯვებულ ანტანტაზე იყო დამოკიდებული. ანტანტაში წამყვან როლს ინგლისი ასრულებდა, ინგლისის მხრიდან კეთილგანწყობის იმედი კი საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა **პარიზის კონფერენციამ**, რომელიც 1919 წლის იანვარში გაიხსნა და იმავე წლის 28 ივნისს **ვერსალის საზავო ხელშეკრულებით** დასრულდა. პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მცდელობას, მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის, შედეგი არ მოჰყოლია. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირე სახელმწიფოები (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგებს უკავშირებდნენ. კერძოდ, 1919 წლის გაზაფხულისათვის სამხრეთ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გენერალ **ანტონ დენიკინის** სარდლობით თავი მოიყარა **მოხალისეთა არმიამ**. ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი სერიოზულ დახმარებას უწყევდნენ მოხალისეთა არმიას. 1919 წლის მაის-ივნისში ა. დენიკინმა დაიკავა მთელი სამხრეთ უკრაინა და სამხრეთ რუსეთი, ხოლო 30 ივნისს ქ. ცარიცინიც აიღო. მოხალისეთა არმიამ მოსკოვზე ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. ასეთ ვითარებაში ანტანტის ქვეყნები არ ჩქარობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობას. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ა. დენიკინი რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, მაშინ რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას არ აღიარებდა. ამიტომაც თუ ანტანტა საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ა. დენიკინის გამარჯვების შემთხვევაში, ამას შეიძლებოდა სერიოზული გართულებები მოჰყოლოდა. ა. დენიკინთან ურთიერთობის დაძაბვას კი ანტანტა ვერ დაუშვებდა. 1919 წლის მიწურულიდან ვითარება ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საზიანოდ შეიცვალა. 1920

წლის დასაწყისისათვის მოხალისეთა არმია დამარცხდა უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. არმიის ნარჩენებმა ყირიმს შეაფარა თავი.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამ და საქართველოს საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოებამ კარდინალურად შეცვალა ანტანტის პოლიტიკა. ანტანტის ქვეყნები ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საბოლოო დამარცხებას აღარც კი დაელოდნენ და 1920 წლის 12 იანვარს **დე-ფაქტო** ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ინგლისი სასწრაფოდ შეუდგა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაცვის შესაძლო ვარიანტების დამუშავებას იმ შემთხვევისათვის, თუ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთი შეიჭრებოდა. ანტანტის პოლიტიკის შეცვლა წინასწარვე იგრძნო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ. რუსეთმაც დიპლომატიურ მანევრს მიმართა. ჯერ კიდევ ანტანტის მიერ საქართველოს დე-ფაქტო ცნობამდე, 1920 წლის 6 იანვარს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ა. დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ნეიტრალიტეტის მომიჯნავეებით, სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების მიზნით მოლაპარაკების დაწყება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ინგლისის მზადებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასაცავად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოთა რუსეთმა კი არ დააყოვნა და თურქეთთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ეს ანტანტის პოლიტიკის სერიოზულ მარცხს მოასწავებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ანტანტის დაპირების იმედად დარჩენა სახიფათო იყო. აუცილებელი გახდა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება, რასაც, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: **პირველი**. თუ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ რუსეთთან ჩვენს ქვეყანას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირისპირების (ომის) თავიდან აცილებასაც შეძლებდა; **მეორე**. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარებისათვის.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოს დაპყრობას. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა ჩათვალა, რომ შექმნილ ვითარებაში ომი საქართველოსთან სახიფათო იქნებოდა. არც საგარეო და არც საშინაო ვითარება ომისათვის ხელსაყრელი არ იყო. ომს საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა ანტანტასთან და, კერძოდ, ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა. გამორიცხული არც ომის დაწყება იყო. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების მიუხედავად, სამოქალაქო ომი რუსეთში კვლავ გრძელდებოდა. 1920 წლის მარტში სამხრეთ რუსეთში დარჩენილ მოხალისეთა არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი **პეტრე ვრანგელი**. წითელმა არმიამ პ. ვრანგელის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეკავება ვერ შეძლო. პ. ვრანგელის პირველმა წარმატებებმა სამხრეთ რუსეთში კვლავ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა წყობილებას. დამაბული ვითარებით ისარგებლა პოლონეთმა. 1920 წლის 17 აპრილს პოლონეთის არმიამ კიევზე შეტევა წამოიწყო. პოლონელებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება უკრაინის დირექტორიის არმია

სიმონ პეტლურას სარდლობით. უკრაინაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები მდ. დნეპრისაკენ იხევდნენ. 6 მაისს პოლონელებმა **კიევი** დაიკავეს და ბრძოლები დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებას დასთანხმებოდა და დროებით უარი ეთქვა სამხრეთ კავკასიაში დაპყრობითი ომის გაგრძელებაზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მოსკოვში დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა დამფუძნებელი კრების წევრი **გრიგოლ ურატაძე**, ხოლო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიჩერინის, მოადგილე **ლევ კარახანი (კარახანიანი)**. გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებაც დაიწყო. 6 მაისს მოლაპარაკება დამთავრდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყო იმ დროს, როცა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) დიდი ქვეყნების (ინგლისის, თურქეთის, რუსეთის) ინტერესები გამიჯნული არ იყო. ანტანტასა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ თურქეთს შორის დადებული **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია) ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები 1918 წლის დეკემბრიდან განლაგდნენ და იმთავითვე აქტიურად დაიწყეს ჩარევა როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ რუსეთმა არად ჩააგდო მუდროსის ზავის პირობები და 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანი დაიპყრო. რუსეთის შეჭრას აზერბაიჯანში წინ არ აღუდგა მუდროსის ზავით უკმაყოფილო თურქეთი. აზერბაიჯანის დათმობის სანაცვლოდ თურქეთმა რუსეთისაგან ანტანტის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თანადგომის გარანტია მიიღო. გამორიცხული არ იყო, რომ ანტანტის წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ თურქეთს რუსეთისათვის საქართველოც დაეთმო. გასარკვევი იყო მხოლოდ ინგლისის პოზიცია. ინგლისის პოზიცია კი მანამდე არ გაირკვეოდა, სანამ არ დამთავრდებოდა ომი გენერალ პეტრე ვრანგელის არმიასა და წითელ არმიას შორის, სანამ არ გამოიკვეთებოდა გამარჯვებული რუსეთ-პოლონეთის ომში.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – "Особое секретное дополнение к договору между Россией и Грузией", რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, ხელმოწერილი იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – "Дополнительное соглашение к мирному договору между Россией и Грузией от 7 мая 1920 года", რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ორივე დამატებასთან ერთად შედგება ოცდაერთი მუხლისაგან. სამივე დოკუმენტს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი ცალ-ცალკე მოაწერეს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: "Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность

Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле". რა შეფარული მიზნებიც უნდა ჰქონოდა ხელშეკრულების დადების მომენტში რუსეთს, ყოველივე ამის აღიარება მაინც ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად აღიქმება ასევე ხელშეკრულების **მეორე მუხლიც**: "Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии".

მოლაპარაკების პროცესში რუსეთს საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრეტენზიები არ წამოუყენებია. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების **მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით** ასე განისაზღვრა: "Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахачча, через гору Ахачча и гору Аганета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Армений".

თუ ზოგადად შევავსებთ, ხელშეკრულების მესამე მუხლი, კერძოდ, მისი მეორე, მესამე და მეოთხე პარაგრაფები საქართველოსათვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. კერძოდ, მესამე მუხლის მეორე პუნქტით საქართველოს ეკრძალებოდა კავკასიონის გადასასვლელების გამაგრება: "Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тысяча девятьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обеих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы". კავკასიონის გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის – დარიალისა და მამისონის – გადასასვლელების შესახებ ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნული იყო: "На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Балты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Они, а на всех прочих перевалах на пятиверстие в обе стороны от пункта прохождения границы расстояния". როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მესამე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების წყალობით რუსეთთან ომის შემთხვევაში საქართველო ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა – რუსეთის არმია კავკასიონის გადასასვლელებს, მათ შორის სტრატეგიულად არსებითი დანიშნულების მქონეთ, ადვილად გადმოლახავდა.

ხელშეკრულების მესამე მუხლის მეოთხე პუნქტი გარკვეულწილად აქარწყლებდა იმავე მუხლის პირველ პუნქტს რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის თაობაზე. მეოთხე პუნქტი რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის გავლების მიზნით შერეული კომისიის შექმნას ითვალისწინებდა: "Точное проведение государственной границы между обоими договаривающимися сторонами будет произведено особой смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от обеих сторон. Результаты работы этой комиссии будут закреплены в особом договоре между обоими договаривающимися сторонами". ცხადია, რუსეთი ეცდებოდა სახელმწიფო საზღვრის დადგენის პერიოდში გარკვეული პრეტენზიები წამოეყენებინა საქართველოსათვის და უკან წაეღო ის, რაც დათმო ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პუნქტით.

საქართველოსათვის ძალზე ხელსაყრელი იყო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი**, რომლის პირველი პუნქტის ძალითაც "Россия обязуется признать безусловно входящими в состав Грузинского государства, кроме отходящих к Грузии в силу пункта I статьи III настоящего договора частей Черноморской губернии, нижеследующие губернии и области бывшей Российской Империи – Тифлисскую, Кутаисскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенный

губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский". ძირბველი ქართული ტერიტორია, ქარ-ბელაქანი (საინგილო), იგივე ზაქათალის ოკრუგი, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად ცხადდებოდა, რასაც საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **მეოთხე მუხლის** მეორე პარაგრაფიც, რომელიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიის გაზრდის შესაძლებლობას იძლეოდა. კერძოდ, მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული იყო: "Впоследствии, по мере выяснения взаимоотношений между Грузией и другими кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам, чем та, которая описана в предшествующей статье III настоящего договора, Россия выражает готовность признать входящими в состав Грузии те или иные части бывшего Кавказского Наместника, которые отойдут к ней на основании заключенных с этими образованиями договоров".

ძალზე არახელსაყრელი, საშინლად მძიმე იყო საქართველოსათვის ხელშეკრულების **მეხუთე მუხლი**, რომელით ათი პუნქტისაგან შედგებოდა. მეხუთე მუხლი საქართველოს ავალდებულებდა: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი და რუსეთში არსებული ხელისუფლების დამხობის მოსურნე სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, ასევე იმ პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა წარმომადგენლები, რომლებიც თავს აცხადებდნენ რუსეთის მთავრობად, ან რუსეთის რომელიმე ნაწილის მთავრობად; 2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა განეიარაღებინა საქართველოს ნავსადგურებში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა კუთვნილი გემები, ხოლო ეკიპაჟის წევრები საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა; 3) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა გადაეცა რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განიარაღებული საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა მთელი ქონება, მათ შორის სამხედრო ქონებაც (სამხედრო გემები, არტილერია, ავიაცია და სხვ.); 4) რუსეთი პირობას დებდა, რომ სიკვდილით არ დასჯიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ რუსეთისათვის გადაცემულ პირებს; 5) საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა გაემევიებინა ყველა სახის სამხედრო შენაერთი, რომელიც არ შედიოდა ქართული ჯარის შემადგენლობაში; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მომავალშიც არ უნდა დაეშვა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი სამხედრო შენაერთების არსებობა, რომლებიც არ შედიოდნენ ქართულ ჯარში; 7) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ქართულ ჯარში არ უნდა მიეღო, მათ შორის მოხალისედაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო შენაერთებში მომსახურე პირები, რადგან ისინი ეროვნებით ქართველები არ იყვნენ; 8) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ისეთი ძალები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საბჭოთა რუსეთში არსებული წყობილების დამხობას. ამასთან ერთად, ამ ძალებისათვის არ უნდა მიეცა უფლება, საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინათ იმ ტვირთის გადასატანად, რომელიც რუსეთთან ომში იქნებოდა გამოყენებული; 9) ის ჯგუფები და პირები, რომლებიც არ შეასრულებდნენ მერვე პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეპატიმრებინა; 10) მეხუთე

მუხლის მეხუთე პუნქტის შესრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეწყო დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება მალე დაესრულებინა.

ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, გარდა იმისა, რომ უხეშად თელავდა ფეხქვეშ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მთავრობას აიძულებდა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ღონისძიებანი გაეტარებინა.

იმ უზარმაზარი ვალდებულებების სანაცვლოდ, რაც ხელშეკრულების მეხუთე მუხლმა საქართველოს დააკისრა, რუსეთი **მეექვსე მუხლით** ძალზე ზოგად ვალდებულებას კისრულობდა: "Россия обязуется не допускать на своей территории пребывания и деятельность всякого рода групп и организаций, претендующих на роль правительства Грузии или части ее, а также всякого рода групп и организаций, имеющих своей целью низвержение правительства Грузии. Россия обязуется оказать все свое влияние из союзные ей государства с целью недопущения на их территории указанных в настоящей статье групп и организаций".

ხელშეკრულების **მეცხრე მუხლი** ეხებოდა მოქალაქეობის საკითხს. მეცხრე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული იყო: "Лица грузинского происхождения, проживающие на территории России и достигшие восемнадцати лет от роду, вправе оптировать Грузинское гражданство. Равным образом лица негрузинского происхождения, проживающие на территории Грузии и достигшие указанного возраста, вправе оптировать российское гражданство".

ხელშეკრულების **მეათე მუხლი** უკვე ამკარად ხელყოფდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და საქართველოს აყენებდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. კერძოდ, მეათე მუხლი ასე გამოიყურებოდა:

"Грузия обязуется освободить от наказания и от дальнейшего преследования, судебного или административного, всех лиц, подвергшихся на территории Грузии таковому преследованию за деяния, совершенные в пользу Российской Социалистической Федеративной Советской Республики или в пользу Коммунистической партии.

Прим.: "Грузия обязуется немедленно освободить лиц, находящихся в тюремном заключении за деяния указанного выше рода". ხელშეკრულების მეათე მუხლი პრაქტიკულად ძალადაკარგულად აცხადებდა ხელშეკრულების მეორე მუხლს, რომლის ძალითაც რუსეთი პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში.

ხელშეკრულების მეთორმეტე მუხლი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხებოდა და თავისთავად ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის:

"1. Обе договаривающиеся стороны в основу торговых взаимоотношений кладут принцип наибольшего благоприятствования.

2. Товары, идущие из или по назначению одной из договаривающихся сторон не должны облагаться другой стороной никакими транзитными пошлинами или сборами".

ხელშეკრულების **მეთოთხმეტე მუხლის** ძალით საქართველოსა და რუსეთს შორის უმოკლეს ვადაში უნდა დამყარებულიყო დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა.

ხელშეკრულების **მეთხუთმეტე მუხლი** ითვლისწინებდა ორმხრივი კომისიის შექმნას, რომლის კომპეტენციაში შედიოდა:

"1. Составление торгового договора и иных соглашений экономического характера.

2. Разрешение вопросов относительно выдела из бывших центральных учреждений архивов и делопроизводства судебных и административных депозитов и актов гражданского состояния.

3. Определение вопроса о порядке пользования, владения и распоряжения нефтепроводом Батум-Баку, в той части его, которая в силу статьи IV настоящего договора будет находиться на территории Грузии. Вопрос этот будет закреплен затем путем особого соглашения между обеими договаривающимися сторонами".

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც **მეთექვსმეტე მუხლში** იყო აღნიშნული, ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და რატიფიკაციას არ საჭიროებდა. ცხადია, ამ მუხლით რუსეთი თავს იზღვევდა, რადგან ხელშეკრულების რატიფიკაციას საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიძლებოდა დიდი ვნებათაღელვა მოჰყოლოდა.

1920 წლის 7 მაისსვე გ. ურატამემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების **საიდუმლო დამატებას**, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. საიდუმლო დამატების პირველი მუხლი კიდევ ერთხელ თელავდა ფეხქვეშ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს. პირველი მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Грузия обязуется признать за находящимися на территории Грузии коммунистическими организациями право свободного существования и деятельности, в частности, право свободного устройства собраний и право свободного издательства (в том числе органов печати).

Вовсяком случае не могут быть принимаемы никакие репрессии ни против частных лиц, как судебные, так и административные, вытекающие лишь из публичной пропаганды и агитации за коммунистическую программу или деятельности лиц и организаций, основанных на коммунистической программе". საიდუმლო დამატების მეორე მუხლი ამ დამატებას ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად აცხადებდა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საიდუმლო დამატება ხელყოფდა საქართველოს სუვერენიტეტს, ქვეყანაში აკანონებდა რუსეთის მეხუთე კოლონას და მას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ლეგალური ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევდა. ეს უფლება რუსეთის მეხუთე კოლონამ კარგად გამოიყენა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთს საქართველო ადვილად დაეპყრო.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაც ძალაში რატიფიკაციის გარეშე შედიოდა ხელმოწერის მომენტიდან. იგი საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იყო.

1920 წლის 12 მაისს გ. ურატამისა და ლ. კარახანის მიერ ხელმოწერილი **დამატებითი შეთანხმება** მიზნად ისახავდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. დამატებითი შეთანხმების პირველ მუხლში აღნიშნული იყო: "Вопрос о спорных местностях на границе между Грузией и Азербайджаном и в Закатальском округе передается на разрешение смешанной Комиссии, образуемой из представителей Правительств Азербайджана и Грузии в равном количестве, под председательством представителя Р.С.Ф.С.Р. Все решения этой Комиссии будут признаваться для себя обязательными Правительствами Азербайджана и Грузии". ცხადია, შერეული კომისიის მუშაობის პერიოდში საბჭოთა რუსეთი საბჭოთა აზერბაიჯანს დაუჭერდა მხარს და სასაზღვრო ხაზიც აზერბაიჯანის სასარგებლოდ დადგინდებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ ასეთი სურვილი არ ჰქონოდა, მაშინ 1920 წლის 12 მაისს დამატებით შეთანხმებას ხელი არც მოეწერებოდა, რადგან ძირითადი ხელშეკრულების მეოთხე მუხლით ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიად ცნო და ამ საკითხის ხელახალი განხილვა საჭირო აღარ იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის, რომ 12 მაისის დამატებითი შეთანხმება აზერბაიჯანის პროტესტის

შემდეგ გაფორმდა. სულ მალე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე (1921 წელს), ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) მოსკოვის მოთხოვნით აზერბაიჯანს გადაეცა.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის საიდუმლო დამატებითი და 12 მაისის დამატებითი შეთანხმებით არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. ხელშეკრულების მნიშვნელობას განსაზღვრავდა ორი მომენტი:

პირველი. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო და დე-იურე ცნობა იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა და ხელს უწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას;

მეორე. ხელშეკრულება რუსეთს საშუალებას აძლევდა: 1) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში დიდი წინააღმდეგობის გარეშე გადაეღახა კავკასიონის უღელტეხილები და მოეპოვებინა სტრატეგიული უპირატესობა. იგივე უპირატესობით ვერ ისარგებლებდა საქართველო, რადგან იგი რუსეთის დასაპყრობად არ ემზადებოდა და, რაც მთავარია, არც ამისი შესაძლებლობა გააჩნდა; 2) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში აქტიურად გამოეყენებინა მეხუთე კოლონა, რომლის ხელშეუხებლობის გარანტიას ხელშეკრულება იძლეოდა.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებას საქართველოსათვის ჰქონდა კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუ რუსეთი საქართველოს დაიპყრობდა, მის მიერვე დე-ფაქტო და დე-იურე ცნობილი ქვეყნის დაპყრობით სამომავლოდ საერთაშორისო ასპარეზზე ბევრ უხერხულობას შეიქმნიდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ეს დოკუმენტი ძლიერი სამართლებრივი არგუმენტი იქნებოდა.

დანართი

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების
მესამე და მეოთხე მუხლები

Статья III

1. – Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного Моря по реке Псоу до горы Ахача, через гору Ахача и гору Агапета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Арменией.

2. – Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тысяча девятьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обоих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы.

3. – На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Бальты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Они, а на всех прочих перевалах на пятиверстное в обе стороны от пункта прохождения границы раастояния.

4. – Точное проведение государственной границы между обоими договаривающимися сторонами будет произведено особой смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от обеих сторон. Результаты работы этой комиссии будут закреплены в особом договоре между обоими договаривающимися сторонами.

Статья IV

1. – Россия обязуется признать безусловно входящими в состав Грузинского Государства, кроме отходящих к Грузии в силу пункта 1 статьи III настоящего договора частей Черноморской губернии, нижеследующие губернии и области бывшей Российской империи: Тифлисскую, Кутаисскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенные губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский.

2. – Впоследствии, по мере выяснения взаимоотношения между Грузией и другими кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам, чем та, которая описана в предшествующей статье III настоящего договора, Россия выражает готовность признать входящими в состав Грузии те или иные части бывшего Кавказского Наместничества, которые отойдут к ней на основании заключенных с этими образованиями договоров (გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001, გვ. 112-113).

დანართი II

რუსეთ-საქართველო 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების

დამატებითი შეთანხმების (1920 წლის 12 მაისი)

პირველი მუხლი

Статья I

Вопрос о спорных местностях на границе между Грузией и Азербайджаном и в Закатальском округе передается на разрешение смешанной Комиссии, образуемой из представителей Правительств Азербайджана и Грузии в равном количестве, под председательством представителя Р.С.Ф.С.Р. Все решения этой Комиссии будут признаваться для себя обязательными Правительствами Азербайджана и Грузии.

Статья II

Грузия и Азербайджан впредь до принятия Комиссией Решений по вопросам, затронутым в ст. I сего соглашения, не введут в Закавказский округ новых войск, кроме имеющихся там к моменту подписания настоящего дополнительного соглашения (**გურამ შარაძე, გიორგი შარაძე** ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. 1918-1921. თბილისი, 2001, გვ. 119).

ლიტერატურა

1. **ვახტანგ გურული**. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. **ვახტანგ გურული**. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. **ვახტანგ გურული**. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.

კითხვები:

1. რა მიზეზებმა განაპირობა საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულების დადება?
2. საქართველოსა და რუსეთის მხრიდან ვინ მოაწერა ხელშეკრულებას ხელი?
3. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსათვის მოსკოვის ხელშეკრულებაში?
4. მოსკოვის ხელშეკრულებით როგორი დადგინდა საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ხაზი?
5. მოსკოვის ხელშეკრულების რომელი მუხლები ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს?
6. რატომ იყო მიუღებელი საქართველოსათვის მოსკოვის ხელშეკრულების 1920 წლის 12 მაისი შეთანხმების პირველი მუხლი.

27. რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის

ხელშეკრულება (მოსკოვის ხელშეკრულება)

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) დადგენილმა საზღვარმა 1918 წლის მარტამდე იარსება. 1918 მაისში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ამდენად საბჭოთა რუსეთის ოსმალეთთან სამხრეთ კავკასიაში საზღვარი აღარ ჰქონდა. 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთმა **აზერბაიჯანი** დაიპყრო, 1920 წლის ნოემბერში **სომხეთი**, 1921 წლის თებერვალ-მარტში – **საქართველო**. საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის თანხმობით მოხდა. დღის წესრიგში დადგა **სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის**

სახელმწიფო საზღვრის დადგენა. ამ საზღვრის ნაწილს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე უნდა გაევიწყო.

1921 წლის 16 მარტს **მოსკოვში** ხელმოწერილ იქნა საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ხელშეკრულების პირველი მუხლის მეხამე აბზაცში აღნიშნული იყო, რომ **ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელ სარფთან. შემდეგ მიუყვებოდა ქედისმთას, შავშეთისა და კანნი-დაღის მთების წყალგამყოფს, არდაგანისა (არტაანისა) და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ საზღვარს, მდინარეების არპაჩაისა და არაქსის ტალღებს).** (Документы внешней политики СССР. Том 3. М., 1959, стр. 598). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის სანაცვლოდ ოსმალეთს უკანვე დაუბრუნა ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) მიღებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია: ართვინის ოკრუგი (ართვინი, არტანუჯი), არტაანის ოკრუგი (არტაანი, დიღვირი, ფოცხოვი, ჩილდირი, კოლა, ტაოსკარი), ყარსის ოკრუგი (ყარსი).

ხელშეკრულების დანართი, უფრო ზუსტად „დანართი I (ა)“ ხელშეკრულების პირველი მუხლიდან გამომდინარე ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავდა საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზს სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. (Документы внешней политики СССР. Том 3. Москва, 1959, стр. 602-603).

საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინა 1921 წლის 20 ივლისს, ხოლო ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ – 31 ივლისს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა **ქ. ყარსში** 22 სექტემბერს.

დანართი

**საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების
პირველი მუხლიდან**

Статья I

Северо-восточная граница турции определяется: линией, которая, начинаясь у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедистма, линией водораздела горы Шавшет – горы Канны-даг, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карского санджаков – по тальвегу рек Арпа-чай и Аракс до устья Нижнего Кара-су (подробное описание границы и вопросы к ней относящиеся определены в приложении I (A) и I (B) и на прилагаемой карте,

подписанной обеими Договаривающимися сторонами) (Документы внешней политики СССР. Том 3. Москва, 1959, стр. 598).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
5. Новейшая история Отечества. XX век. В двух томах. Под редакцией А.Ф. Киселева и Э. М. Щагана. Том 1. Москва, 2002.
6. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007.

კითხვები:

1. რა ვითარება იყო ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების დადების დროისათვის?
2. რატომ დადგა დღის წესრიგში რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო ხაზის დადგენა?
3. როგორ დადგინდა მოსკოვის ხელშეკრულებით ოსმალეთის საზღვარი სამხრეთ კავკასიაში ანუ ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი სახელმწიფო საზღვარი?
4. მოსკოვის ხელშეკრულებით ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) მიღებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რა ნაწილი დაუბრუნა რუსეთმა ოსმალეთს?

28. ყარსის ხელშეკრულება

(1921 წლის 13 ოქტომბერი)

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის დამკვიდრებამ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) და რუსეთთან ომებში თურქეთისა და ირანის მარცხმა XIX საუკუნის პირველ მესამედში ცხადი გახადა, რომ რეგიონში სტატუს ქვო დაირღვა. ამ მოვლენამ დაუყოვნებლივ გამოიწვია დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის) მკვეთრად უარყოფითი

რეაქცია. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას, რაც მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის პლაცდარმის მომზადებასაც ნიშნავდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ხელი ვერ შეუშალეს. 1877-1878 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის გაჩაღებულ ომში კვლავ რუსეთმა გაიმარჯვა. **სან-სტეფანოს ხელშეკრულებითა** (1878 წლის მარტში) და **ბერლინის კონგრესის** გადაწყვეტილებით (1878 წლის ივლისში) დამარცხებულმა თურქეთმა აჭარა რუსეთს დაუთმო. 1903 წელს აჭარის ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობა **ბათუმის ოლქის** შექმნით დამთავრდა. ბათუმის ოლქი, რომელიც **ბათუმისა** და **ართვინის** ოკრუგებისაგან შედგებოდა, ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს (რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ცალკე ერთეულებს წარმოადგენდა **არტაანისა** და **ყარსის** ოკრუგები).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914 წ.) სამხრეთ-დასავლეთი საქართველო კვლავ მოექცა დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის რუსეთი **ანტანტის** სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი იყო, ხოლო თურქეთი – **სამთა კავშირისა**. ამრიგად, სამხრეთი კავკასია და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ფრონტისპირა რეგიონად იქცა. თურქეთის არმიის ცდები – დაეკავებინა თბილისი და ბათუმი – რუსეთის კავკასიის არმიამ 1914-1915 წლებში წარმატებით აღკვეთა, ხოლო შემდეგ საკუთრივ თურქეთის ტერიტორიის ნაწილი (აღმოსავლეთ ანატოლია) დაიკავა.

სამხრეთ კავკასიაში ვითარება კარდინალურად შეიცვალა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ თავისი არსებობის პერიოდში (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) შეძლო სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) თავისი იურისდიქციის შენარჩუნება. ბოლშევიკების მიერ დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ (1917 წლის ოქტომბერში) ხელისუფლების სათავეში მოსულმა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კი სამხრეთ კავკასიაში იურისდიქცია ვეღარ შეინარჩუნა – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს და 1917 წლის ნოემბერში შექმნეს სამხარეო ხელისუფლების ორგანო – **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). მიუხედავად საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებისა, ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შექმნილა, რის გამოც საერთაშორისო ასპარეზზე ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) ისევ რუსეთის ტერიტორიად აღიქმებოდა. თუმცა იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: რუსეთის კავკასიის არმია საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, მის განკარგულებებს არ ასრულებდა და რეგიონს თურქეთის აგრესიისაგან იცავდა.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ საბჭოთა რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. ვ. ლენინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა გადაწყვიტა, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთსა, თურქეთსა და ბულგარეთთან) სეპარატიული ზავი დაედო. ზავს 1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** მოეწერა ხელი. ზავის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა დიდი ტერიტორია დათმო. ეს შეეხო სამხრეთ კავკასიასაც. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო: "Россия сделает все от нее зависящее, чтобы обеспечить скорейшее очищение провинций Восточной Анатолии и их упорядоченное возвращение Турции". ეს რაც შეეხებოდა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, რომელიც ზავის დადების მომენტისათვის რუსეთის ჯარებს ეკავათ. იმავე, მეოთხე მუხლის ბოლო აბზაცი უკვე რუსეთის ტერიტორიას ეხებოდა. კერძოდ, მასში ნათქვამია: "Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно-правовых и международно-правовых отношений этих округов, а предоставит населению этих округов установить новый строй в согласии с соседними государствами, в особенности Турцией".

როგორც ვხედავთ, ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა **ბათუმის, არტაანისა (არტაანისა) და ყარსის** ოკრუგების ტერიტორიაზე მოსახლეობის ნების გამოსავლენად **რეფერენდუმის** ჩატარებას. ისიც ცხადი იყო, რომ რეგიონში რუსეთთან შედარებით თურქეთმა უპირატესობა მიიღო. 1918 წლის მარტშივე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა სრულიად რუსეთის საბჭოების IV ყრილობამ.

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ ცნო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მუხლი, რომელიც ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგებს ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1918 წლის მარტში **ქ. ტრაპიზონში** გაიმართა თურქეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის უპირობო შესრულებას ითხოვდა და ამიერკავკასიის დელეგაციის (მეთაური აკაკი ჩხენკელი) მოთხოვნებს ორ ძლიერ არგუმენტს უპირისპირებდა: 1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე; 2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. ტრაპიზონის კონფერენცია შეწყდა და თურქეთმა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების დაკავების მიზნით საომარი მოქმედებები დაიწყო. 1918 წლის მარტ-აპრილში თურქეთმა მთელი აჭარა დაიპყრო. მართალია, 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. 1918 წლის მაისში თურქებისაგან ოკუპირებულ **ბათუმში** ერთმანეთს შეხვდნენ ამიერკავკასიისა და თურქეთის დელეგაციები. ბათუმის კონფერენციაზე თურქებმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს (ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს მათ კიდევ ერთი დაუმატეს: ომის შემთხვევაში თურქეთს უნდა მისცემოდა ამიერკავკასიის რკინიგზით ჯარების გადაყვანის უფლება).

ასეთ ვითარებაში 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დღისათვის აჭარა თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, აჭარა თურქეთისათვის დაეთმო. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საზღვარი თურქეთსა და საქართველოს შორის მდინარე **ჩოლოქზე** გადიოდა. თურქეთი მოპოვებული უპირატესობის განმტკიცებას შეუდგა. 1918 წლის ივლისში მის მიერვე ოკუპირებული ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების ტერიტორიაზე თურქეთმა რეფერენდუმი ჩაატარა და გამოაცხადა, რომ ამ ოკრუგების მოსახლეობამ თურქეთის შემადგენლობაში გადასვლა ისურვა. ეს იყო დიდი სიცრუე, რადგან რეფერენდუმი უხეში ძალმომრეობისა და შანტაჟის პირობებში ჩატარდა. ამის შემდგომ მოვლენები თურქეთისათვის არახელსაყრელად წარიმართა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა თურქეთმა **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) ბათუმი და მთელი აჭარა დატოვა. აჭარა ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. ინგლისის სამხედრო კრეისერები ბათუმში 1918 წლის დეკემბერსა და 1919 წლის იანვარში შემოვიდნენ. ინგლისელები აჭარაში 1920 წლის ივლისამდე დარჩნენ.

აჭარაში თურქთა ბატონობის (1918 წლის აპრილი-დეკემბერი), ისევე როგორც ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის არსებობის პერიოდში (1918 წლის დეკემბერი – 1920 წლის ივლისი) მიმდინარეობდა ქართული ორიენტაციის ძალების დევნა. უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში **მემედ-ბეგ აბაშიძემ** შეძლო პროქართული განწყობის მქონეთა გაერთიანება და 1919 წლის აგვისტოში ბათუმში ქართველ მაჰმადიანთა ყრილობაც მოიწვია. 31 აგვისტოს ყრილობამ

ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. ქართველი მუსლიმები „ღვთისა და ქვეყნის წინაშე“ აცხადებდნენ: „ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლოს საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა“. ყრილობის დადგენილებაში აღნიშნულია: „ამიერიდან და სამარადისოთ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამულისმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე...“ 1919 წლის 11 სექტემბრის საგანგებო მიმართვაში ზემო აჭარის დელეგაციისადმი **ნოე ჟორდანიამ** დაადასტურა, რომ აჭარას საქართველოს შემადგენლობაში მიეცემოდა ავტონომია. თუმცა აჭარიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ (1920 წლის ივლისი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დანაპირები აღარ გახსენებია და ბათუმისა და ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობა **საგანგებო კომისარიატს** (კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი) ჩააბარა. ქართველ მუსლიმთა ყრილობის დადგენილების უგულებელყოფას აჭარაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მალე მდგომარეობა გამოსწორდა. დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი ასეა დასათაურებული: „ავტონომიური მმართველობა“. კონსტიტუციის 107-ე მუხლით საქართველოს განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქს) და საინგილოს (ზაქათალის ოლქს) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა მიენიჭათ. კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, ავტონომიური მმართველობის დებულებანი ცალკე კანონით უნდა განსაზღვრულიყო.

1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო საბჭოთა რუსეთის აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა ბათუმში გადავიდა. საქართველო-რუსეთის ომის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკება, რაც 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით დასრულდა. საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკებას ორი პრინციპული შეთანხმება დაედო საფუძვლად. **პირველი**. თურქეთი უარს ამბობდა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე; **მეორე**. რუსეთი აღარ ითხოვდა, რომ თურქეთს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ბერლინის კონგრესის (1878 წ.) მიერ დადგენილ სასაზღვრო ხაზამდე გადაეწია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვის მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულების პირველ მუხლში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ აღნიშნული იყო: "Северо-восточная граница Турции определяется: линией, которая начинаясь у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедисмта, линией водораздела горы Шавшет – горы Канны–даг, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карсского санджаков..." ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის გარეშე, რომელიც 1921 წლის 17 მარტის საღამომდე ბათუმში, ე. ი. ქვეყნის ტერიტორიაზე, იმყოფებოდა, რუსეთმა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი თურქეთის ტერიტორიად აღიარა.

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება სხვა მხრივაც შეეხო საქართველოს. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნულია:

"Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье первой нынешнего Договора, и составлявшей часть Батумского округа, при условии, что

1) население местностей, указанных в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить земельный закон, соответствующий его пожеланиям.

2) Турции будут обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без звимания за то специальных сборов".

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება შეეხო აზერბაიჯანსაც. ხელშეკრულების მესამე მუხლში აღნიშნულია: "Нахичеванская область... образет автономную территорию под протекторатом Азербайджана, при условии, что Азербайджан не уступит сего протектората третьему государству".

1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 20 ივლისს მოახდინა, ხოლო თურქეთმა – 1921 წლის 31 ივლისს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა ქ. ყარსში 1921 წლის 22 სექტემბერს.

1921 წლის მარტისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჯერ-ჯერობით არც ამიერკავკასიის ფედერაცია და არც საბჭოთა კავშირი შექმნილი არ იყო, მაგრამ არსებობდა გეგმა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისა. იმხანად გაურკვეველი იყო, ახალ საბჭოთა იმპერიაში რა ფორმით შევიდოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა თავისი პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და თავის მთავარ კონკურენტთან, თურქეთთან, ყველა საკითხის მოგვარება. 1921 წლის 23 სექტემბერს ქალაქ **ყარსში** დაიწყო თურქეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ყარსის კონფერენციაში სრულფუნქციონირებელი მხარის სახით მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი. ოფიციალურ რუსულ გამოცემებში 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულება ასეა დასათარგმნებული: "Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией – с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе". ხელშეკრულების **პრეამბულაში** აღნიშნულია, რომ სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა "решили приступить к переговорам при участии Российской Социалистической Федеративной Советской Республики". საქართველოს მხრიდან ყარსის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა **შალვა ელიაშვილმა**, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარმა **ალექსანდრე სვანიძემ**, ხოლო საბჭოთა რუსეთის მხრიდან – **იაკობ განეციმ (ფიურსტენბერგმა)**, რომელიც იმხანად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო. თურქეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს **კიაზიმ კარაბეკირ-ფაშამ**, **ველი-ბეიმ**, **მუხტარ-ბეიმ**, **მემდუხ შევკეტ-ბეიმ**; სომხეთის მხრიდან – **ასკანაზ მრავიანმა**, **პოლოს მაკინზიანმა**; აზერბაიჯანის მხრიდან – **ბეხზუდ შახტახტინსკიმ**.

ყარსში დაწყებულ მოლაპარაკებას იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, რაც რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მოლაპარაკებას – უცვლელი დარჩა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ყარსის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** ძალადაკარგულად აცხადებდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა. ეს არ ეხებოდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას. **მეორე მუხლში** კი აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ უნდა ეცნოთ არცერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა თურქეთს, მაგრამ არ სცნეს თურქეთის მთავრობამ და თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ. თავის მხრივ, თურქეთი ვალდებულებას იღებდა, არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას არ ცნობდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ყარსის ხელშეკრულების **მეოთხე მუხლით** დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ეს საზღვარი "начинается у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис-мта, линию водораздела горы Шавшет – гору Канны-даг; она следует затем по старым северным административным границам Ардаганского и Карсского санджаков..."

ყარსის ხელშეკრულების **მეექვსე მუხლი** ეხებოდა აჭარას. კერძოდ, ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над городом и портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их каким бы то ни было сборам, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов.

Для праведения в жизнь этой статьи будет немедленно после подписания настоящего Договора образована Комиссия из представителей заинтересованных сторон".

ხელშეკრულების **მეშვიდე მუხლში** აღნიშნული იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ "облегчить жителям пограничной зоны переход границы, при условии соблюдения таможенных, полицейских и санитарных правил, которые будут установлены по этому поводу Смешанной Комиссией".

როგორც ვხედავთ, ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმეორა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლები. უცვლელად განმეორდა მოსკოვის ხელშეკრულების მესამე მუხლიც ნახჭევანის ავტონომიური ტერიტორიის შესახებ. ყარსის ხელშეკრულების მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ნახჭევანის ოლქი წარმოადგენს "автономную территорию под покровительством Азербайджана".

ყარსის ხელშეკრულების ოცი მუხლიდან ექვი მუხლი ძალაში შევიდა ხელმოწერის დროიდან (1921 წლის 13 ოქტომბრიდან), მათ შორის იყო მეექვსე მუხლი, რომელიც აჭარას ეხებოდა. რაც შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ მუხლებს, ისინი ძალაში შევიდოდნენ რატიფიკაციის შემდეგ. ხელშეკრულების **მეოცე მუხლი** ხელისმომწერ მხარეებს ავალდებულებდა, რაც შეიძლება მოკლე დროში გაეცვალათ სარატიფიკაციო სიგელები.

ყარსის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა **ერევანში** 1922 წლის 11 სექტემბერს.

ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები. ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული. პირველ დამატებაში დაწვრილებით არის აღწერილი **თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი**, მეორე დამატებაში აღწერილი იყო **თურქეთის საზღვარი არპა-ჩაის ზონასა და მდინარე არაქსის ზონაში**. მესამე დამატება ადგენდა **ნახჭევნის ავტონომიის** საზღვრებს. ყარსის ხელშეკრულების სამივე დამატებას ხუთივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ცალ- ცალკე მოაწერეს ხელი.

ყარსის ხელშეკრულება ხუთ ეგზემპლარად – ქართულ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გაფორმდა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.

1992 წლის 30 ივლისს თბილისში გაფორმდა საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებას. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ, თურქეთის მხრიდან – პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა. ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მხარეები დაიცავენ მათ შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას და შეთანხმებას დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებიდან.

საქართველო-თურქეთის 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება ათი წლის ვადით დაიდო. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ თუ მხარეებმა ათწლიანი ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე არ განაცხადეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება კიდევ მომდევნო ხუთი წლით. ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ (2002 წ.) არც საქართველოს და არც თურქეთს 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ, ე. ი. ხელშეკრულება კიდევ ხუთი წლით – 2007 წლამდე გაგრძელდა.

დანართი

1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულების

მეოთხე მუხლიდან

Северо-восточная граница Турции (согласно карте русского Генерального штаба масштабом 1/210000 - 5 верст в дюйме) определяется линией, которая начинается у деревн Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис-Мта, линию водораздела горы Шавшет – гору Канныдаг; она следует затем по старым северным административным границам Ардаганского и Карсского санджаков по тальвег урек Арпа-чай и Аракса до устья Нижнего Кара-су (подробное описание границ и вопросы, к ней относящиеся, определены в приложениях I и II и на прилагаемой карте, подписанной обеими Договаривающимися сторонами. В случае расхождения между текстом Договора и картой, решающее значение придается тексту).

Подробное определение и проведение государственной границы в натуре, равно как и установка пограничных знаков производится Смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от Договаривающихся сторон и с участием представителя РСФСР (Документы внешней политики СССР. Том 4. Москва, 1960, стр. 422).

ლიტერატურა:

1. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011.
2. ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. 1700-1921. თბილისი, 2011.
3. ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008.
4. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007.
5. მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007
6. Новейшая история Отечества. XX век. В двух томах. Под редакцией А. Ф. Киселева и Э. М. Щагана. Том 1. Москва, 2002.

კითხვები:

1. რით იყო გაპირობებული ყარსის ხელშეკრულების დადება?
2. როგორი იყო ყარსის ხელშეკრულების ოფიციალური სახელწოდება?
3. რა ჰქონდა საერთო საქართველოსთან მიმართებაში ბრესტ-ლიტოვსკის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებას?
4. რა პირობით დათანხმდა ოსმალეთი საქართველოს შემადგენლობაში ბათუმისა და აჭარის დარჩენას?
5. ყარსის ხელშეკრულებით როგორ დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ანუ საქართველო-ოსმალეთის საზღვარი?
6. ყარსის ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რა ნაწილი დარჩა ოსმალეთის შემადგენლობაში?

29. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმები (1991 წლის 23 მარტი)

იოსებ სტალინს ერთხელ უთქვამს: საბჭოთა კავშირს საფრთხეს ვერ შეუქმნის მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფვა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისათვის, საბჭოთა კავშირს დაშლის

რუსეთის ფედერაციის ბრძოლა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება ახდა. 1989-1990 წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების ანალიზი ცხადყოფდა, რომ ზესახელმწიფო დიდხანს ვეღარ იარსებებდა. მიხეილ გორბაჩოვი დაბეჯითებით ცდილობდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელების დათანხმებას. ეს განუხორციელებელი ჩანაფიქრი ისტორიაში **ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების** პროექტის სახით შევიდა. მიხეილ გორბაჩოვის იდეას მკვეთრად დაუპირისპირდნენ: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო... ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის, კერძოდ, ბორის ელცინისათვის. ბორის ელცინმა სწორად განჭვრიტა: **პირველი**. საბჭოთა კავშირის ადგილას ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის იდეა განწირული იყო; მეორე. ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტის რეალიზებისათვის ბრძოლა მოკავშირე რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციასთან დაპირისპირებას გამოიწვევდა.

საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, მიხეილ გორბაჩოვისა და ბორის ელცინის დაპირისპირება შესანიშნავად გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ზვიად გამსახურდიამ**. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნულ ძალთა გამარჯვებას, ცხადია, უარყოფითად შეხვდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პირადად **მიხეილ გორბაჩოვი**. შემდგომ ხანებში მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობა სულ უფრო იძაბებოდა. დაძაბულობის გაძლიერებას ხელი შეუწყო შემდეგმა კონკრეტულმა მოვლენებმა: **პირველი**. ზვიად გამსახურდიამ ნოვო ოგარიოვის ხელშეკრულების პროექტი უარყო, რამაც მიხეილ გორბაჩოვი ძალზე გააღიზიანა. **მეორე**. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბა ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 1991 წლის 17 მარტისათვის დანიშნულმა საკავშირო რეფერენდუმის გაუქმებამ. ამ რეფერენდუმს უნდა გაერკვია საბჭოთა კავშირის არსებობა-არარსებობის საკითხი. საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისათვის საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უკვე გადაწყვეტილი საკითხი იყო. **მესამე**. 1991 წელს ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე (შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი) ქართველთა რბევა-დაწიოკების საპასუხოდ საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რითაც წაახალისა ოსი სეპარატისტები. ამ უკანასკნელთ მხარს უჭერდა ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ნაწილები.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში 1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაბა **ყაზბეგში**, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია** და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ბორის ელცინი**. ხელმოწერილ იქნა „**შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი**“.

ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი რვა მუხლისაგან შედგება. იმხანად საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ მომენტს: **პირველი**. „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“ ორჯერ (მესამე და მეოთხე მუხლებში) იხსენიება არა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, არამედ „**ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური**

ოლქი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბორის ელცინი კანონიერად მიიჩნევდა საქართველოს უზანაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და ამავე დროს არ ცნობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. **მეორე**. „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმის“ მეოთხე მუხლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე აყენებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს. თუკი ქართველთა მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, ოსი სეპარატისტები მოკავშირისა და მფარველის გარეშე დარჩებოდნენ.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მხარეები შეთანხმდნენ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომლის პროექტი 1991 წლის აპრილის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო (მუხლი პირველი).

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ხელმოწერილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების, ქართული დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა.

ქვემოთ გთავაზობთ 1991 წლის 23 მარტის დაბა ყაზბეგში ხელმოწერილ „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმის“ სრულ ტექსტს.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი

1) 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

* * *

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიდდნენ:

2) რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3) რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4) სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5) რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ

საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

6) საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოჰყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად.

7) შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8) შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

დაბა ყაზბეგი, 1991 წ. 23 მარტი.

(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №58, 26 მარტი; ოთხმოცდათერთმეტი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**. თბილისი, 1995).

ლიტერატურა:

1. **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული**. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007;
2. საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2003.

30. აფხაზეთის თაობაზე მოსკოვის შეხვედრის

შემაჯამებელი დოკუმენტი (1992 წლის 3 სექტემბერი)

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოში რუსეთის დახმარებით განხორციელებული სამხედრო პუტჩისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ სულ უფრო იძაბებოდა ვითარება აფხაზეთში. აფხაზმა სეპარატისტებმა კარგად ისარგებლეს სამხედრო პუტჩის შემდეგ საქართველოში დაწყებული სამოქალაქო ომით, საქართველოს ახალი ხელისუფლების (სამხედრო საბჭოს, სახელმწიფო საბჭოს) სისუსტითა და უუნარობით და თავიანთი გეგმების რეალიზებას შეუდგნენ. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და სამხედრო ელიტამ აშკარად დაუჭირეს მხარი აფხაზ სეპარატისტებსა და მათ ლიდერს ვლადისლავ არძინბას. საქართველოს ხელისუფლებამ, პირადად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძემ, ალლო ვერ აულო შექმნილ ვითარებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის აღკვეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის შეყვანით ცადა. რეგულარული, ბრძოლისუნარიანი და სათანადოდ შეიარაღებული არმიის არარსებობის პირობებში 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველო ჩათრეული იქნა დამლუპველ ომში – საქართველოს არმია და გვარდია აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ვითარების დასარეგულირებლად არმიის გამოყენება დიდი შეცდომა იყო. ამ შეცდომით

იმხანადაც და შემდეგშიც კარგად ისარგებლეს აფხაზემა სეპარატისტებმა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. მართალია, ქართულმა ჯარმა სოხუმი დაიკავა (ვ. არძინბმა გუდაუთაში გადაბარდა), მაგრამ ეს ომი, რუსეთის ფაქტორის გამო, უპერსპექტივო იყო. რუსეთმა „შუამავლის“ მისია იკისრა და პროცესის მართვა დაიწყო. სწორედ ამის შედეგი იყო 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი“. ეს დოკუმენტი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებლად დაწყებული ომის ლოგიკური შედეგი იყო. მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი შემდეგში მრავალჯერ იქნა გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ.

დანართი

ИТОГОВЫЙ ДОКУМЕНТ МОСКОВСКОЙ ВСТРЕЧИ

Президент Российской Федерации и Председатель Государственного Совета Республики Грузия, обсудив при участии руководителей Абхазии, северокавказских республик, краев и областей Российской Федерации положение, сложившееся в Абхазии, стремясь к скорейшему прекращению огня, преодолению чрезвычайной кризисной ситуации и созданию условий для полномасштабного политического урегулирования в Абхазии, которая стала зоной вооруженного конфликта, подтверждая приверженность духу и букве Устава ООН, принципам Заключительного Акта СБСЕ, Парижской Хартии для Новой Европы, Хельсинской Декларации 1992 года, считая недопустимыми любые посягательства на общепризнанные принципы территориальной целостности государств и неприкосновенности их границ, уважая права и свободы человека, а также права национальных меньшинств, договорились о следующем:

СТАТЬЯ 1

Обеспечивается территориальная целостность Республики Грузия.

Все участвующие в конфликте вооруженные формирования с 12.00 5 сентября 1992 года прекращают огонь и любое применение силы друг против друга. При этом участники конфликта обязуются до вступления в силу прекращения огня воздерживаться от каких-либо наступательных действий.

Одновременно создается Комиссия по контролю и инспекции из представителей, назначаемых органами власти Грузии, в том числе абхазии и России. Комиссия обеспечивает соблюдение прекращения огня, выполнение других положений данного соглашения в соответствии с разработанными его процедурами.

Для выполнения возложенных на нее задачи участники Комиссии придают ей соответствующие подразделения, осуществляющие разоружение, расформирование и удаление из Абхазии, а также недопущение в Абхазию незаконных вооруженных формирований и групп, с тем чтобы обеспечить строгий контроль по всему периметру зоны конфликта.

Комиссия осуществляет наблюдение за тем, чтобы после прекращения огня и передислокации войск вооруженные силы Республики Грузия в зоне конфликта не превышали согласованного уровня, необходимого для достижения целей настоящего соглашения (охраны железной дороги и других определенных объектов).

Рекомендации Комиссии незамедлительно рассматриваются властями всех уровней.

СТАТЬЯ 2

До 10 декабря 1992 года производится обмен задержанных лиц, заложников, плененных и других, по принципу "всех на всех".

СТАТЬЯ 3

Стороны запрещают и не допускают любые террористические акты и захват заложников и принимают эффективные меры по привлечению к ответственности виновных.

СТАТЬЯ 4

Принимаются незамедлительные меры к устранению помех на путях движения товаров, услуг и лиц, занимающихся законной деятельностью. Будет обеспечиваться бесперебойное и безопасное функционирование соответствующих наземных, воздушных и морских путей сообщения, охрана границы.

Особое внимание будет уделяться обеспечению безопасности соответствующих участков Закавказской железной дороги, в том числе путем создания совместного механизма.

Комиссия по контролю и инспекции представит необходимые рекомендации по этому вопросу.

СТАТЬЯ 5

Обеспечиваются условия для возвращения беженцев в места их постоянного жительства. Им оказываются необходимое содействие и помощь.

Принимаются меры по розыску, пропавших без вести, и по эвакуации желающих выехать из Абхазии.

СТАТЬЯ 6

В зоне конфликта принимаются эффективные меры по прекращению и недопущению насилия и грабежей, привлечению к ответственности виновных.

СТАТЬЯ 7

Стороны примут меры по восстановлению пострадавших районов и оказанию гуманитарной помощи, в том числе на международной основе, населению, пострадавшему в ходе конфликта. Определение порядка доставки и распределения такой помощи возьмут на себя организации Красного Креста в координации с Комиссией по контролю инспекции.

СТАТЬЯ 8

Стороны подтверждают необходимость соблюдения международных норм в области прав человека и национальных меньшинств, недопущения дискриминации прав граждан по признаку национальности, языка и религии, обеспечения проведения свободных демократических выборов.

СТАТЬЯ 9

Вооруженные Силы Российской Федерации, временно находящиеся на территории Республики Грузия, в том числе и в Абхазии, соблюдают строгий нейтралитет и не участвуют внутренних конфликтах.

Все органы государственной власти и управления в Республике Грузия, в том числе в Абхазии, обязуются уважать нейтралитет дислоцированных там Российских Вооруженных Сил и пресекать противоправные действия в отношении военнослужащих, членов их семей и военного имущества.

СТАТЬЯ 10

Стороны будут содействовать возобновлению к 15 сентября 1992 года нормальной деятельности законных органов власти в Абхазии.

СТАТЬЯ 11

Органы власти и управления республик, краев и областей Северного Кавказа в составе Российской Федерации примут эффективные меры по их пресечению и недопущению любых действий с их территории, расходящихся с положениями настоящего соглашения. Они будут содействовать его выполнению и установлению мира в регионе. Они предпримут усилия по разъяснению положений настоящего соглашения среди населения.

СТАТЬЯ 12

Стороны обращаются к ООН и СБСЕ с просьбой поддержать изложенные выше принципы урегулирование конфликта и оказать содействие реализации, включая направление миссий по установлению фактов и наблюдателей.

ЗА РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ **Б. ЕЛЬЦИН**
ЗА РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ **Э. ШЕВАРДНАДZE**

Согласились:

Г. С. ХИЖА	В. Г. АРДЗИНБА	Т. И. СИГУА	А. В. КОЗЫРЕВ
К. К. ОЗГАН	Т. К. КИТОВАНИ		
П. С. ГРАЧЕВ	Т. В. НАДАРЕЙШВИЛИ	А. Д. ЧИКВАИДZE	А. М. МИРЗАБЕКОВ
М. М. МОГЕМОДОВ	В. М. КОКОВ		
Х. М. КАРМОКОВ	В. Н. САВЕЛЬЕВ		
В. И. ХУБИЕВА	С. В. ХЕТАГУРОВ		
А. Х. ГАЛАЗОВ	А. А. ДЖАМИРОВ		
Х. ТЛЕУЖ	В. Н. ДЬЯКОНОВ		
Е. С. КУЗНЕЦОВ	В. Н. ЧУБ		

(აგზაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1989-1999 წწ. ნაწილი I. 1989-1995 წწ. თბილისი, 2000).

31. შეთანხმება აგზაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ

(1993 წლის 28 ივლისი)

1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული ომი და 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი „შემაჯამებელი დოკუმენტი“ მალე ძვირად დაუჯდა საქართველოს. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და რუსეთის სამხედრო ელიტის მხარდაჭერით დაიმედებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა 1992 წლის 2 ოქტომბერს ომი განაახლეს და დაიკავეს **გაგრა**. შემდეგ აფხაზები შევიდნენ **ლესელიძესა და განთიადში**. აფხაზების ჯარი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე გავიდა. ქართულმა ჯარმა თავდადებით იბრძოლა. ომი ცვალებადი წარტებებით მიმდინარეობდა. რუსეთის ანტიქართულმა პოზიციამ ომის ბედი წინასწარ გადაწყვიტა. ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა შეგუებოდა იმას, რომ მოვლენების განვითარებას ტონს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და რუსული სამხედრო ელიტა აძლევდა. საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილების რუსული სცენარის მიხედვით 1993 წლის 28 ივლისს სოჭში ხელმოწერილი იქნა „შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“. ეს იყო მეორე დოკუმენტი, რომელმაც ცხადად დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების უუნარობა და დააკანონა აფხაზეთის გასვლა საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციიდან.

დანართი

**შეთანხმება
აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი
კონტროლის მექანიზმის შესახებ**

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები რუსეთის შუამავლობით შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები 1993 წლის 28 ივლისის 12.00 საათიდან უბრუნდებიან ამა წლის 20 მაისს დადგენილ კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებლობის მკაცრად დაცვის რეჟიმს.

იკრძალება ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება.

კონფლიქტის ზონაში (აფხაზეთის ტერიტორიაზე) არ შევლენ დამატებითი ჯარები და სხვა შეიარაღებული ფორმირებანი, არ განხორციელდება მობილიზაცია ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელი გადაადგილებანი, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანა, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგება.

2. 1993 წლის 29 ივლისიდან ფუნქციონირებას იწყებს ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები (3-9 კაცის ოდენობით), რომელთა პერსონალურ შემადგენლობას შეთანხმებენ მხარეები.

დროებითი საკონტროლო ჯგუფები მეთვალყურეობას გაუწევენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას. ისინი განლაგდებიან სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ახალ ათონში,

ტყვარჩელში, გაგრამში, გალში. თუ საჭირო იქნება, ასეთი ჯგუფები, მხარეთა შეთანხმებით, განლაგდებიან სხვა პუნქტებშიც. საკონტროლო ჯგუფებს უფლება აქვთ შევიდნენ მათთვის საინტერესო კონფლიქტის ნებისმიერ წერტილში მას შემდეგ, რაც შესაბამისად ამას აცნობებენ მხარეებს. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ საკონტროლო ჯგუფების უსაფრთხოებას, უქმნიან ცხოვრების სათანადო პირობებს, აძლევენ მიმოსვლის საშუალებებს.

საკონტროლო ჯგუფებს შეუძლიათ განიხილონ მოსახლეობის მიმართევი სხვადასხვა საკითხებზე.

საერთაშორისო მეთვალყურეთა ჩამოსვლის შემდეგ დროებითი საკონტროლო პუნქტები მათთან მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ.

3. კონტროლის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია კისრულობს განახორციელოს საკონტროლო ჯგუფების მიერ დაფიქსირებული მისი ფორმირების მიერ დაშვებული ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ნებისმიერი დარღვევის დაუყოვნებელი, ეფექტიანი ღონისძიებანი, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს საკონტროლო ჯგუფების რეკომენდაციებსა და წინადადებებზე.

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევები უნდა ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს.

4. 1993 წლის 5 აგვისტომდე იქმნება აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისია. მის დებულებას ამტკიცებენ მხარეები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები და მეთვალყურენი მათი შეთანხმებით.

5. მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ კონფლიქტის ზონაში მიიწვიონ და გამოიყენონ საერთაშორისო მეთვალყურენი და სამშვიდობო ძალები. ამასთან მხედველობაშია, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების რიცხვი და შემადგენლობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ, თუ მხარეთა თანხმობა იქნება.

6. იწყება კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია.

კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთვალყურენი და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან გავლენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები.

ამავე ვადებში უნდა დაიშალოს და აფხაზეთიდან გამოვიდნენ კონფლიქტის ზონაში მყოფი შეიარაღებული ფორმირებები, ჯგუფები და პირები.

მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იქმნება საქართველოს მხარის შინაგანი ჯარების ნაწილი, რომელიც ყაზარმაში დაბინავდება. შემდეგ ეს ქვედანაყოფი შინაგანი ჯარების აღნიშნულ პოლკთან ერთად შევა აფხაზეთის მრავალეროვანი შინაგანი ჯარის შემადგენლობაში.

აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ფორმირებები შევლენ შინაგანი ჯარების პოლკში, რომელიც გადადის ყაზარმულ მდგომარეობაზე და შეასრულებს ვითარების სრული მასშტაბით მოწესრიგებამდე შინაგანი ჯარებისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს (მაგისტრალური გზების მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა).

ყველა აღნიშნული მოქმედება ხორციელდება გაერთიანებული კომისიის მეთვალყურეობით.

მდინარეებზე გუმისთაზე, ფსოუსა და ენგურზე დგებიან საერთაშორისო მეთვალყურენი.

ცეცხლის შეწყვეტისთანავე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად კონფლიქტის ზონაში იქმნება მრავალეროვანი მილიცია, რომლის შემადგენლობამ და რიცხვს განსაზღვრავენ მხარეები.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მართლწესრიგის დასაცავად გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კონსულტაციით, კონფლიქტის ზონაში დროებით განლაგებული რუსეთის საჯარისო კონტიგენტი.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებათა დაცვას.

განხორციელდება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, მათთვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი. ლტოლვილეთა პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტისათვის გაერთიანებული კომისია ქმნის სპეციალურ ჯგუფს.

7. აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის ჯარები იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს.

რუსეთის ფედერაციის საჯარისო ფორმირებებისა და სასაზღვრო ჯარების დროებითი ყოფნის სტატუსს, ფუნქციონირების პირობებს, გაყვანის ვადებსა და წესს განსაზღვრავენ ცალკეული სახელმწიფოებო დოკუმენტები.

მხარეები უზრუნველყოფენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა უსაფრთხოებას.

8. მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, მხარეები შექმნიან აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ნორმალური საქმიანობის განახლების პირობებს.

9. კონფლიქტის მონაწილე მხარეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით დაუყოვნებლივ განაგრძობენ მოლაპარაკებას აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მოსამზადებლად.

შეთანხმებაში აისახება მშვიდობის დაცვის, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების, ეკონომიკური ცხოვრების მოგვარების, მართლწესრიგის დაცვის, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფოებრივი წყობის უზრუნველყოფის გარანტიათა პრინციპული საკითხები.

10. ამ შეთანხმების მონაწილენი ვალდებულიებას კისრულობენ, არ გამოიყენონ მისი დებულებები, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, მოქმედებისათვის, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს თითოეული მათგანის ინტერესებს.

საქართველოს სახელით **ვ. გოგუაძე**

აფხაზეთის სახელით **ს. ჯინჯოლია**

რუსეთის ფედერაციის სახელით

ა. კოზირევი

(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1989-1999 წწ. ნაწილი I. 1989-1995 წწ. თბილისი, 2000).

32. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ (1994 წლის 3 თებერვალი)

საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოსა და რუსეთის დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების (1990-1991 წწ.) შემდეგ აუცილებელი იყო საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების დადება. ამგვარი დოკუმენტის გაფორმება გარკვეული მიზეზების გამო ფერხდებოდა.

1994 წლის 3 თებერვალს, თბილისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის ვიზიტის დროს, ხელმოწერილი იქნა „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ედუარდ შევარდნაძემ, რუსეთის მხრიდან – ბორის ელცინმა.

საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და ოცდათხუთმეტი მუხლისაგან.

პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „მეგობრული, კეთილმეზობლური, ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს“.

პირველ მუხლში დადასტურებულია, რომ საქართველო და რუსეთი არიან „მეგობრული სახელმწიფოები“ და ერთმანეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპებით:

1. სახელმწიფო სუვერენიტეტი,
2. ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვეობა,
3. ხალხთა თანასწორუფლებიანობა,
4. საკუთარი ბედის განგების უფლება,
5. საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობა,
6. ძალის, მუქარის, ეკონომიკური და ზემოქმედების სხვა ხერხების გამოყენებლობა,
7. დავის მშვიდობიანი მოგვარება,
8. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა,
9. თანამშრომლობა,
10. საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება,
11. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

მეორე მუხლი ხელმოწერ მხარეებს ვალდებულებას აკისრებდა, ერთობლივი მოქმედებით განემტკიცებინათ მშვიდობა გლობალური და რეგიონალური მასშტაბით.

მესამე მუხლი მხარეთა „ხელშეუვალ უფლებად“ აღიარებდა საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას საკუთარი საზღვრების დაცვის მიზნით.

მეოთხე მუხლის ძალით საქართველოსა და რუსეთს მონაწილეობა არ უნდა მიეღოს რაიმე კავშირებსა და ბლოკებში, თუ ეს კავშირები და ბლოკები მიმართული იქნება რომელიმე მხარის წინააღმდეგ.

მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო: თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე ჩათვლიდა, რომ საფრთხე ექმნებოდა მშვიდობას ან მისი უშიშროების ინტერესებს, ან რომელიმე მხარის წინააღმდეგ განხორციელდებოდა აგრესიული აქტი, მაშინ ხელშემკვრელი მხარეები ამოქმედებენ ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმს იმ მიზნით, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები და განახორციელონ ღონისძიებანი შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად.

მეშვიდე მუხლის ძალით ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებდნენ, თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების გარანტია მიეცათ თავიანთი მოქალაქეებისათვის მათი ეროვნების, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად. იგივე მუხლი ხელისშემკვრელ მხარეებს ავალდებულებდა მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირისათვის მიეცა სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და ძირითადი თავისუფლებების გარანტიები.

მეცხრე მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებდა დაეცვათ იმ პირთა უფლებები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნოდნენ.

მეათე მუხლის ძალით ხელშემკვრელების დამდებ მხარეებს თავიანთი ქვეყნების ტერიტორიებზე არ უნდა დაეშვათ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური შეუწყნარებლობა, შუღლი და ძალადობის წაქეზება.

მეთერთმეტე მუხლით მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, შეემუშავებინათ კომპლექსური ღონისძიებანი მიგრაციული პროცესების დარეგულირების მიზნით, ხოლო სავიზო რეჟიმის შესახებ ცალკე შეთანხმება უნდა დადებულიყო.

მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე მუხლები ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს ეხებოდა.

მეთექვსმეტე მუხლი ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქონების (სახელმწიფოს, იურიდიული პირის, კერძო პირის) დაცვასა და შენახვას ეხება.

მეთვრამეტე მუხლი განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობის პრინციპებს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სფეროში. მხარეები პასუხისმგებლობას იღებენ ნავთობისა და გაზის სადენების „უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის“.

ოცდამესამე და ოცდამეოთხე მუხლები ეხება ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

ოცდამეხუთე მუხლი განსაზღვრავს მხარეების კულტურული თანამშრომლობის პრინციპებს.

ოცდამეცხრე მუხლი ითვალისწინებდა ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობას ორგანიზებული დამნაშავეობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოცდამეცამეტე მუხლის ძალით საქართველო-რუსეთის ხელშემკვრელება ექვემდებარებოდა რატიფიკაციას და ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ.

საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშემკვრელება დაიდო ათი წლის ვადით. თუ მხარეები თანახმა იქნებოდნენ, იგი ავტომატურად გაგრძელდებოდა მომდევნო ხუთი წლით.

საქართველოს პარლამენტმა მოახდინა საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშემკვრელების რატიფიკაცია, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ

ხელშეკრულების რატიფიკაცია პოლიტიკური ვაჭრობის საგნად აქცია და ქართულ მხარეს რატიფიკაციის სანაცვლოდ პირობები წაუყენა. საბოლოოდ, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა და, ამდენად, იგი ძალაში არ შესულა.

დანართი

**ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და
რუსეთის ფედერაციას შორის
მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია
ეყრდნობიან ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირებს, თავიანთი ხალხების ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს,
მიაჩნიათ, რომ მეგობრული, კეთილმეზობლური, ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს,
ცნობენ საერთაშორისო სარბიელზე, ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის, უშიშროებისა და სტაბილურობის ინტერესებისათვის შეთანხმებული მოქმედების მიზანშეწონილობას,
აღსავსენი მტკიცე განაწყვეტილებით, ააშენონ კუთვნილ ტერიტორიებზე დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოები,
ისწრაფვიან ყოველმხრივ განავითარონ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და მიაწიონ მას ახალი თვისებრიობა,
ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებითა და წესდების პრინციპებით,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობას აგებენ, როგორც მეგობრული სახელმწიფოები. ისინი ვალდებულებას კისრულობენ თანმიმდევრულად იხელმძღვანელონ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განგების უფლების პატივისცემის, საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურველობის, ძალისა თუ ძალით დამუქრების, ურთიერთშორის ეკონომიკური თუ ზემოქმედების სხვა ხერხების გამოუყენებლობის, დავის მშვიდობიანი მოგვარების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის, თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამოქმედებენ იმ მიზნით, რომ განამტკიცონ მშვიდობა, სტაბილურობა და უშიშროება, როგორც გლობალური, ისე რეგიონალური მასშტაბით.

ისინი ხელს უწყობენ განიარაღების პროცესის გაგრძელებას, კოლექტიური უშიშროების სისტემებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საშვიდობო როლის გაძლიერებას, უშიშროებისა და თანამშრომლობის რეგიონალური მექანიზმების ეფექტურობის გაზრდას. მხარეები ხელს უწყობენ რეგიონალური კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების მოგვარებას, ერთმანეთს უთანხმებენ პოზიციებს იმ მიზნით, რომ საჭირო შემთხვევებში კოორდინებული თუ ერთობლივი მოქმედებანი განახორციელონ.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, რომელთაც ეს მუხლი ეხება.

მუხლი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცნობენ ერთმანეთის ხელშეუვალ უფლებას განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი თავიანთი სახელმწიფო საზღვრების დასაცავად, ხელმძღვანელობენ რა ამ დროს კეთილმეზობლობისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების პრინციპებით. ურთიერთდინტერესების შემთხვევაში მხარეები ცალკე შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრების შეთანხმებული მონაკვეთების დაცვის წესსა და პირობებს.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დამოუკიდებლად წყვეტენ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და თავდაცვითი მშენებლობის საკითხებს, ამ მიზნით ახორციელებენ მჭიდრო თანამშრომლობასა და პრაქტიკულ თანამოქმედებას. ამ სფეროში თანამოქმედების ფორმები და წესები ცალკე შეთანხმებებით რეგულირდება. მხარეები მიიღებენ ზომებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებითი ყოფნის შესახებ შეთანხმების ეფექტური განხორციელებისათვის, აგრეთვე დადებენ შეთანხმებებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნაში, აღჭურვაში, იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის შეძენაში ხელშეწყობის შესახებ, რუსეთის ფედერაციასთან შეუთანხმებლად მათი მესამე ქვეყნებზე გადაცემის უფლებების გარეშე.

მხარეები ცალკე შეთანხმებით განსაზღვრავენ საჰაერო და კოსმოსური სივრცის კონტროლის საშუალებების, აგრეთვე კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესს.

მუხლი 4

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მონაწილეობას არ მიიღებენ რაიმე კავშირებსა თუ ბლოკებში, რომლებიც მიმართული იქნება რომელიმე მათგანის წინააღმდეგ.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავს შეიკავებს მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ქმედებასა თუ ღონისძიებაში მონაწილეობისა და მხარდაჭერისაგან, არ დაუშვებს, რომ მისი ტერიტორია მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ აგრესიის ან სხვა ძალადობრივი მოქმედების მოსამზადებლად თუ განსახორციელებლად გამოიყენონ. მხარეები ყოველ ღონეს ხმარობენ იმ მიზნით, რათა აღკვეთონ თავიანთი ტერიტორიის გამოყენების მცდელობანი ყოველგვარი სადივერსიო ჯგუფებისა და დაქირავებულ ფორმირებათა შესაქმნელად და ახორციელებენ ღონისძიებებს მეორე მხარის ტერიტორიაზე ისეთი ჯგუფებისა და ფორმირებათა შეგზავნის წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ისახავენ მისი

კონსტიტუციური წყობილების დამხობასა თუ შეცვლას, ან მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები არ ეხმარებიან მესამე სახელმწიფოებს, თუ შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა ამ სახელმწიფოებსა და მეორე მხარეს შორის.

მუხლი 5

თუ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის აზრით, საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ლახავს მისი უშიშროების ინტერესებს, აგრეთვე რომელიმე მხარის წინააღმდეგ აგრესიის აქტის შემთხვევაში, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ამოქმედებენ ერთობლივი კონსულტაციების მექანიზმს იმ მიზნით, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები და განახორციელონ ღონისძიებანი შექმნილი საფრთხის აღსაკვეთად.

მუხლი 6

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცალკე შეთანხმებათა დადების მეშვეობით შექმნიან ერთობლივ კომისიებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2-5 მუხლების დებულებათა განსახორციელებლად.

მუხლი 7

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას აძლევენ თავიანთ მოქალაქეებს მათი ეროვნების, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში და საკუთარი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს აძლევს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გარანტიებს.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ თითოეული მათგანის უფლებას სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპების ურთიერთპატივისცემის საფუძველზე და ამ ხელშეკრულების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად დაიცვას მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებები. ამ მიზნით მხარეები დადებენ შეთანხმებებს, რომლებიც საჭიროა საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, მათი თავისუფალი ნების შესაბამისად, აძლევენ საცხოვრებელი სახელმწიფოს მოქალაქეობის ან მეორე მხარის მოქალაქეობის არჩევის უფლების გარანტიას. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობის მიღების პროცედურას ამ მხარის კანონმდებლობა არეგულირებს.

მუხლი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების, როგორც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა ნაწილის პატივისცემა, ისევე როგორც მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შესრულება მოცემული მხარის სხვა დანარჩენ მოქალაქეებთან თანასწორად, საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციაში მშვიდობის, სამართლიანობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის არსებითი ფაქტორია.

მხარეები საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც ნაკისრი აქვთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს აძლევენ იმ უფლების გარანტიას, რომ სრულად და ეფექტიანად განახორციელონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და ამით ისარგებლონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში, თავისუფლად გამოხატონ, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი თუ რელიგიური თვითმყოფადობა. ისინი ქმნიან პირობებს ამ თვითმყოფადობის ხელშეწყობისათვის.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთათვის უზრუნველყოფენ უფლებას ეფექტიანად და მათი მოთხოვნების ადეკვატურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

მუხლი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ თავის ტერიტორიაზე განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღების ჩათვლით, რათა თავიდან აიცილონ და აღკვეთონ ყოველგვარი ქმედება, რომელიც ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური შეუწყნარებლობის, შუღლისა თუ სიძულვილის ნიადაგზე ძალადობის წაქეზებას, პირებისა თუ ჯგუფების წინააღმდეგ მუქარისა და ძალადობის აქტებს წარმოადგენს, აგრეთვე გაატარონ ღონისძიებები მათი საკუთრების დაცვის მიზნით.

მუხლი 11

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შეიმუშავებენ მიგრაციული პროცესების რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსს. სავიზო რეჟიმის საკითხებზე ისინი ცალკე შეთანხმებას დადებენ.

მუხლი 12

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ეკონომიკაში, ხელს უწყობენ რა შავი ზღვისა და საერთო ევროპული ბაზრების, საერთო ეკონომიკური სივრცის ფორმირებას.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან განახორციელონ სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ურთიერთობანი ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე და თავს იკავებენ ურთიერთსაზიანო ქმედებისაგან. ამ მიზნით ისინი დადებენ შესაბამის შეთანხმებებს.

მხარეები თანამშრომლობენ და სისტემატურად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას ეკონომიკური რეფორმების დარგში, სტრუქტურული, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, ფასების, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ჩათვლით.

მხარეები თანამოქმედებენ სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურ, საფინანსო და სხვა ორგანიზაციებში, ხელს უწყობენ ერთმანეთს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლასა და შეთანხმებებსა და კონვენციებთან მიერთების საკითხებში, რომლის მონაწილეც არ არის ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე.

მუხლი 13

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების განვითარებას სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოების, ტერიტორიული (მუნიციპალური) თვითმმართველობის ორგანოების, ბანკებისა და საფინანსო სისტემის, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების დონეზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას და ცალკე შეთანხმებებს დებენ სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და თანამშროლობის სხვა ფორმების, აგრეთვე ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებზე.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დროულად აცნობენ ერთმანეთს ეკონომიკური გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მეორე მხარის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ეხებოდეს.

მუხლი 14

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელსაყრელ ეკონომიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ პირობებს ქმნიან მეორე მხარის საწარმოების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების სამეწარმეო და სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის, მათი ინვესტიციების სტიმულირებისა და ურთიერთდაცვის უზრუნველყოფის ჩათვლით. მხარეები წახლისებენ ორივე სახელმწიფოს მოქალაქეებს, საწარმოების, ფირმებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტების კოოპერაციისა და უშუალო კავშირურთიერთობის სხვადასხვა ფორმებს.

ისინი ეცდებიან ცალკე შეთანხმება დადონ ორმაგო დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 15

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე თანამოქმედებენ მრეწველობის საბაზო დარგებისა და აგრო-სამრეწველო კომპლექსის დარგების ოპტიმალური განვითარებისათვის ძალისხმევის გაერთიანების საქმეში.

მხარეები თანახმანი არიან, თითოეული მათგანის კანონმდებლობის გათვალისწინებით და ურთიერთხელსაყრელი პირობებით, ხელი შეუწყონ ჩამოყალიბებული კოოპერირებული დარგობრივი და დარგთაშორისი კავშირების ფარგლებში საწარმოთა სპეციალიზაციისა და აგრეთვე, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის მიწოდების საქმეში საწარმოთა შორის საწარმოო-ტექნოლოგიური კოოპერაციის შენარჩუნებას.

მხარეები ამ საკითხზე კონკრეტულ ვალდებულებებს იკისრებენ ცალკე შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 16

ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ქონების, იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმი, რმოელიც მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის

ტერიტორიაზე განლაგებული, რეგულირდება ქონების ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის იმ საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო ქონების იმუნიტეტის საკითხებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე აცხადებს, რომ მას ეკუთვნის მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განლაგებული ქონება, რომელზეც პრეტენზია აქვთ მესამე პირებს ან სახელმწიფოებს, მაშინ მეორე მხარე მოვალეა ყველაფერი იღონოს ამ ქონების დასაცავად და შესანახად, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება მისი კუთვნილების საკითხი, და უფლება არა აქვს ვინმეს გადასცეს იგი პირველი მხარის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე.

ყველა სხვა საკუთრებითი ურთიერთობების საკითხი, რომელიც მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ინტერესებს ეხება, ცალკე შეთანხმებებით რეგულირდება.

მუხლი 17

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, რომლებიც შავი ზღვისპირა სახელმწიფოებს წარმოადგენენ, განზრახული აქვთ მჭიდროდ ითანამშრომლონ სტამბოლის 1992 წლის 25 ივნისის დეკლარაციის ფარგლებში. ისინი მზად არიან კვლავაც განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა შავი ზღვის ბუნებრივი გარემოს გადარჩენისა და შენარჩუნების, საზღვაო და კლიმატოლოგიური გამოკვლევების ჩატარების, შავი ზღვის რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ნაოსნობის განვითარებისა და საზღვაო კომუნიკაციების, ნავსადგურებისა და ნაგებობების ექსპლუატაციის საქმეში.

მუხლი 18

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანასწორუფლებიან საფუძველზე თანამშრომლობენ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და გამოყენების სისტემების განვითარების საქმეში, პასუხს აგებენ მათი შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის თითოეული თავის ტერიტორიაზე, ისწრაფვიან შეათანხმონ ნავთობისა და გაზის მრეწველობის ობიექტების აგებისა და ექსპლუატაციის ნორმები და წესები.

მუხლი 19

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამშრომლობის განვითარებას კოსმოსური სივრცის ათვისების სფეროში, სათანამგზავრო კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ინფორმატიკისა და კავშირგაბმულობის სისტემების მართვის ჩათვლით, ხელს უწყობენ რა ამ დარგებში ჩამოყალიბებული კომპლექსებისა და ერთიანი სისტემების შენარჩუნებას, რაციონალურ გამოყენებასა და განვითარებას. მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ აღნიშნულ დარგებში თანამშრომლობისა და ურთიერთობათა პირობების პრინციპების შესახებ.

მუხლი 20

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლის დებულებათა შესაბამისად, უზრუნველყოფენ მგზავრებისა და ტვირთის დაუბრკოლებელ ტრანზიტს თავისი

ქვეყნების საზღვაო, სამდინარო და საჰაერო პორტების, სარკინიგზო და საავტომობილო ქსელის მეშვეობით, აგრეთვე ტრანზიტს მათ ტერიტორიაზე განლაგებული მილსადენების გავლით.

მუხლი 21

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას სეისმოლოგიის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში. მხარეები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად მოქმედებენ, რომელთა წევრებიც ისინი არიან, ერთმანეთს ეხმარებიან სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციაში, გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებასა და რაციონალური და რესურსდამზოგი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფაში, ხელს უწყობენ სპეციალური ბუნებადაცვითი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, განსაკუთრებით ეკოლოგიურად დამაბულ რაიონებში, ცდილობენ შექმნან ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და თანამოქმედების ყოვლისმომცველი საერთაშორისო სისტემა.

მუხლი 22

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დაინტერესებული არიან, აქტიურად ითანამშრომლონ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დარგში, აგრეთვე ერთობლივ საერთაშორისო აქციებში, რომლებიც დაკავშირებულია ჰუმანიტარული დახმარების საკითხებთან. ისინი ცალკე შეთანხმებებს დადებენ ამ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 23

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხელს უწყობენ სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების უშუალო კავშირურთიერთობას, ერთობლივი პროგრამებისა და დამუშავებების განხორციელებას, განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულებებისა და მოწინავე ტექნოლოგიების დარგში.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამოქმედებენ და ხელსაყრელ პირობებს ქმნიან კადრების მომზადების, მეცნიერთა, სპეციალისტთა, ასპირანტთა და სტუდენტთა გაცვლის საქმეში, ურთიერთცნობენ განათლების დიპლომებს, სამეცნიერო წოდებებსა და ხარისხებს. მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ მეცნიერებისა და განათლების საკითხებზე.

მუხლი 24

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რათა უზრუნველყონ ფართო და ეფექტიანი თანამშრომლობა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევის საქმეში, თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწევათა გამოყენების დარგში. მხარეები ხელს უწყობენ თავიანთი აკადემიებისა და სამეცნიერო ცენტრების გრძელვადიანი მჭიდრო კონტაქტების გაღრმავებას, ხელს უწყობენ საერთო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას, გაცვლიან მეცნიერებს, მკვლევარებს, სტაჟიორებსა და პრაქტიკანტებს. ისინი ხელს უწყობენ ერთობლივი სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო კოლექტივების შექმნასა და საქმიანობას.

მუხლი 25

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ თანამშრომლობასა და კონტაქტებს კულტურის, ხელოვნების, ტურიზმისა და სპორტის დარგში, ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, უტყუარი ინფორმაციის მისაწვდომობას. ისინი ცალკე შეთანხმებებს დადებენ ამ საკითხებზე.

მხარეები ხელს უწყობენ საქართველოს რესპუბლიკაში რუსული ენის და რუსეთის ფედერაციაში ქართული ენის შესწავლას, მათ შორის მხარეთა სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში, ხელს უწყობენ ლიტერატურული ნაწარმოებების გავრცელებას შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის ენებზე.

ერთობლივი პროექტების რეალიზაციისა და კულტურული, სამეცნიერო და სხვა ფონდებისა და ასოციაციების მოღვაწეობის ხელშეწყობის მიზნით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ახორციელებენ ამ დარგებში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია-დაწესებულებების, კერძო ორგანიზაციებისა და პირების თანამშრომლობას. მხარეები დადებენ შეთანხმებას ერთმანეთის ტერიტორიებზე ორი ქვეყნის კულტურული ცენტრების გახსნის შესახებ.

მუხლი 26

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას სოციალურ სფეროში, შრომითი ურთიერთობის სფეროში და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ამასთან საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე მხარის მოქალაქეთა დისკრიმინაციას. ისინი თანახმანი არიან უმოკლეს ვადაში მოაგვარონ ერთი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები მეორე მხარის მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის საკითხები.

მხარეები ამ და სხვა სოციალურ საკითხებზე ცალკე შეთანხმებებს დადებენ.

მუხლი 27

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას თითოეულ ამ ქვეყანაში სამართლებრივი აქტების შემუშავების, მიღებისა და გამოყენების შესახებ და საერთო ძალისხმევით მონაწილეობენ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 28

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, საერთაშორისო ნორმებისა და თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, აქტიურად თანამშრომლობენ ორგანიზებული დამნაშავეობისა და ტერიტორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ჩათვლით, აგრეთვე იმ უკანონო აქტებთან ბრძოლის ღონისძიებებში, რომლებიც ხელყოფენ სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო ნაოსნობისა და სხვა სახეობის ტრანსპორტის უსფრთხოებას, მძევლების აყვანის, კონტრაბანდის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გადაზიდვის, კულტურულ ღირებულებათა უკანონო გატანის წინააღმდეგ.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ ორივე მხარისათვის საინტერესო ამ და სხვა ანალოგიურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 29

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ორივე სახელმწიფოს პარლამენტებისა და პარლამენტარების კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებას.

მუხლი 30

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს შორის დადებენ სხვა ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც საჭირო იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა განსახორციელებლად.

მუხლი 31

წინამდებარე ხელშეკრულება არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან.

მუხლი 32

წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიზნით მაღალი ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც ან ერთი მხარის წინადადებით, აწყობენ კონსულტაციებს და საჭიროების შემთხვევაში ქმნიან შესაბამის კომისიებს. კონსულტაციებისას წყდება შესაძლო საკმათო საკითხები წინამდებარე ხელშეკრულების განმარტების თაობაზე.

მუხლი 33

წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

მუხლი 34

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება ამ ორგანიზაციის სამდივნოში.

მუხლი 35

წინამდებარე ხელშეკრულება იდება 10 წლის ვადით.

ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან მორიგი ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე არა უგვიანეს ექვსი თვისა მაღალი ხელშემკვრელი მხარეებიდან რომელიმე არ განაცხადებს წერილობითი ფორმით, რომ სურს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შესრულებულია თბილისში 1994 წლის 3 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე, ამასთან, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით

ე. შვარდნაძე

რუსეთის ფედერაციის სახელით

ბ. ელცინი

(მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007);

ლიტერატურა:

1. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007;
2. საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2003.

33. შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარებისა და სამხედრო ბაზების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ (2006 წლის 31 მარტი)

მიუხედავად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ერთობლივი განცხადებისა (სტამბოლი, 1999 წლის 17 ნოემბერი), რომელიც წარმოადგენს 1999 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების დასკვნითი აქტის განუყოფელ ნაწილს; მიუხედავად საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ საქართველო-რუსეთის 2005 წლის 30 მაისი შეთანხმებისა, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და სამხედრო ელიტა ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინათ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნა და რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა. საქართველოს ხელისუფლების პრინციპულმა პოზიციამ რუსეთი აიძულა შეგუებოდა იმას, რომ, ბოლოსდაბოლოს, რუსეთის ჯარებმა საქართველო უნდა დატოვონ და საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობა შეწყვიტონ რუსეთის სამხედრო ბაზებმა.

2006 წლის 31 მარტს ქალაქ სოჭში ხელმოწერილი იქნა „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“.

საქართველოს სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა კუდავამ, რუსეთის სახელით – რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსეი მასლოვმა.

ხელმოწერის შემდეგ მამუკა კუდავამ განაცხადა: „ეს არის ისტორიული დღე, რომელსაც საქართველო 200 წელი ელოდა. აღდგა ისტორიული სამართლიანობა“.

შეთანხმება შედგება პრეამბულისა და ოცდაორი მუხლისაგან.

პრეამბულაში აღნიშნულია, რომ შეთანხმების დამდები მხარეები მოქმედებენ „კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ერთმანეთის უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის სულისკვეთებით“.

პირველ მუხლში განმარტებულია შეთანხმებაში გამოყენებული ცნებები.

მეორე მუხლი ადგენს შეთანხმების რეალიზებისათვის უფლებამოსილ ორგანოებს.

მესამე მუხლი შეთანხმების ძირითად ნაწილს წარმოადგენს, რის გამოც მას მთლიანად მოვიტანთ:

„მუხლი 3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა დასრულდეს 2008 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, შემდეგი თანამიმდევრობით.

რუსეთის სამხედრო ბაზები ბათუმსა და ახალქალაქში ფუნქციონირებს გაყვანის რეჟიმში.

რუსეთის მხარის მიერ „გონიო“-ს პოლიგონისა და კოჯორში არსებული კავშირგაბმულობის რეტრანსლატორის გადაცემის შემდეგ, ისინი იფუნქციონირებენ №1 და 2 დანართების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილებს. ამასთანავე, საქართველოს მხარე დაუტოვებს რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახების წევრებს აღნიშნული პირების მიერ დაკავებულ საბინაო ფონდს ობიექტის „ზევუდა“ ფარგლებში, დროებით უსასყიდლო სარგებლობაში, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის დასრულებამდე.

რუსეთის მხარე 2006 წლის 1 ივლისამდე გადასცემს საქართველოს მხარეს რუსეთის სამხედრო ობიექტების ძირითად ნაწილს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ობიექტების მხარეთა შორის შეთანხმებული ჩამონათვალის შესაბამისად, რომელთა გადაცემაც დაგეგმილია საქართველოს მხარისთვის.

საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო ფორმირებები ორგანიზებას უწევენ საქართველოს ტერიტორიაზე ამ მომენტისათვის არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ტექნიკის, მატერიალური საშუალებებისა და სხვა ქონების გაყვანას. ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზიდან რუსეთის მძიმე სამხედრო ტექნიკის, 1990 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით შეზღუდული შეიარაღებისა და ტექნიკის ჩათვლით, გაყვანა განხორციელდება 2006 წლის ბოლომდე. ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის დანარჩენი მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანის დასრულება, აგრეთვე საქართველოს მხარისათვის რუსეთის სამხედრო ობიექტების გადაცემა განხორციელდება 2007 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამინდის გათვალისწინებით, არა უგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის, აგრეთვე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მმართველობის საბოლოო გაყვანა განხორციელდება 2008 წლის განმავლობაში.

მხარეებს შორის შეთანხმებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის გეგმა-გრაფიკისა და მატერიალური საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალის შესაბამისად, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის მხარეს, მიაწოდოს გაყვანის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილები და მატერიალური საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საჰაერო ხომალდებს, გამოიყენონ საქართველოს საჰაერო სივრცე და განხორციელონ სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების გადაზიდვები.“

შეთანხმების **ჩვიდმეტი მუხლი** (მეოთხედან მეოცის ჩათვლით) განსაზღვრავს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანისა და რუსეთის სამხედრო ბაზების მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ მხარეთა ვალდებულებებს.

ოცდამეერთე მუხლში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად საქართველო-რუსეთის 2006 წლის 31 მარტის შეთანხმება ექვემდებარება რეგისტრაციას გაეროს სამდივნოში.

ოცდამეორე მუხლი ეხება შეთანხმების ძალაში შესვლისა და შეჩერების წესს. კერძოდ, შეთანხმების ამოქმედების შესახებ ოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: „წინამდებარე შეთანხმება დროებით გამოიყენება ხელმოწერის თარიღიდან და ძალაში შედის მხარეთა მიერ აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ შეტყობინებათა გაცვლის შემდეგ“. განსაზღვრულია შეთანხმების მოქმედების შეჩერების წესიც: „წინამდებარე შეთანხმების მოქმედება შესაძლებელია შეაჩეროს თითოეულმა მხარემ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად“.

დანართი

შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ

რუსეთის ფედერაცია და საქართველო, შემდგომში მხარეებად წოდებულნი, ითვალისწინებენ რა ევროპასა და მთელ მსოფლიოში არსებულ ახალ პოლიტიკურ რეალიებს,

აცხადებენ რა, რომ მეგობრული ურთიერთობებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს,

ხელმძღვანელობენ რა მხარეთა ეროვნული სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით,

მოქმედებენ რა კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ერთმანეთის უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის სულისკვეთებით,

მიიჩნევენ რა, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირებისა და საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის საკითხის მოწესრიგება ხელს შეუწყობს მხარეთა შორის ნდობის განმტკიცებას,

ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დოკუმენტებით, ასევე რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს 1999 წლის 17 ნოემბრის ერთობლივი განცხადებით, რომელიც წარმოადგენს 1999 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის დასკვნითი აქტის განუყოფელ ნაწილს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმებაში გამოყენებული ცნებები აღნიშნავს შემდეგს:

„რუსეთის სამხედრო ბაზა“ – საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთზე (მონაკვეთებზე) დისლოცირებული ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო ფორმირება ინფრასტრუქტურითა და ზუსტად მონიშნული და მხარეთა შორის შეთანხმებული საზღვრებით;

„რუსეთის სამხედრო ობიექტი“ – საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთზე დისლოცირებული ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სამხედრო ფორმირება ინფრასტრუქტურითა და ზუსტად მონიშნული და მხარეთა შორის შეთანხმებული საზღვრით, რომელიც არ შედის რუსეთის სამხედრო ბაზების შემადგენლობაში და ფუნქციონირებს მათი ინტერესებისათვის;

„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ფუნქციონირება გაყვანის რეჟიმში“ – რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ მათ გაყვანასთან, მათ შორის, ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის მომზადებასთან (სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მანქანის ტარება) დაკავშირებული ამოცანების შესრულება;

„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა“ – რუსეთის ფედერაციის მოძრავი ქონება, რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირების, მათი ოჯახების წევრების, ასევე მათი პირადი ქონების საქართველოს ტერიტორიიდან გადაადგილების (გაყვანა-გატანის) პროცესი;

„მოძრავი ქონება“ – რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სამტატო-სატაბელო ქონება, მათ შორის, ყველა სახის (ნიმუშის) შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ცხოველქმედებისა და დროებითი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საქართველოს ტერიტორიიდან მათ გაყვანამდე.

„უძრავი ქონება (უძრავი ქონების ობიექტები)“ – გაყვანის რეჟიმში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირებისა და ცხოველქმედების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები, ასევე მათზე განლაგებული შენობები, სტაციონარული ნაგებობები და კომუნიკაციები;

„რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირები“:

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე;

2. სამოქალაქო პერსონალი – რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე მომუშავე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები;

3. რუსეთის მხარის მიერ რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე მივლინებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები;

„რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირთა ოჯახის წევრები“ – მეუღლეები, შვილები, მშობლები, აგრეთვე რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებთან ერთად მცხოვრები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები;

„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სარდლობა“ – სარდლობა თავისი მმართველობის ორგანოსთან ერთად, რომელსაც ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე დროებით დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზები და რუსეთის სამხედრო ობიექტები;

„დისლოკაციის ადგილი“ – საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთი მონიშნული და მხარეთა შორის შეთანხმებული საზღვრებით, რომელზედაც დროებით განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა ან რუსეთის სამხედრო ობიექტი.

მუხლი 2

ამ შეთანხმების რეალიზებისათვის მხარეთა უფლებამოსილი ორგანოებია: რუსეთის მხრიდან – რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს მხრიდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

მუხლი 3

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა დასრულდეს 2008 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, შემდეგი თანამიმდევრობით.

რუსეთის სამხედრო ბაზები ბათუმსა და ახალქალაქში ფუნქციონირებს გაყვანის რეჟიმში.

რუსეთის მხარის მიერ „გონიო“-ს პოლიგონისა და კოჯორში არსებული კავშირგაბმულობის რეტრანსლატორის გადაცემის შემდეგ, ისინი იფუნქციონირებენ №1 და 2 დანართების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილებს. ამასთანავე, საქართველოს მხარე დაუტოვებს რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახების წევრებს აღნიშნული პირების მიერ დაკავებულ საბინაო ფონდს ობიექტის „ზევზა“ ფარგლებში, დროებით უსასყიდლო სარგებლობაში, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის დასრულებამდე.

რუსეთის მხარე 2006 წლის 1 ივლისამდე გადასცემს საქართველოს მხარეს რუსეთის სამხედრო ობიექტების ძირითად ნაწილს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ობიექტების მხარეთა შორის შეთანხმებული ჩამონათვალის შესაბამისად, რომელთა გადაცემა დაგეგმილია საქართველოს მხარისთვის.

საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო ფორმირებები ორგანიზებას უწევენ საქართველოს ტერიტორიაზე ამ მომენტისათვის არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ტექნიკის, მატერიალური საშუალებებისა და სხვა ქონების გაყვანას. ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზიდან რუსეთის მძიმე სამხედრო ტექნიკის, 1990 წლის 19 ნოემბრის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით შეზღუდული შეიარაღებისა და ტექნიკის ჩათვლით, გაყვანა განხორციელდება 2006 წლის ბოლომდე, ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის დანარჩენი მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანის დასრულება, აგრეთვე საქართველოს მხარისათვის რუსეთის სამხედრო ობიექტების გადაცემა განხორციელდება 2007 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამინდის გათვალისწინებით, არა უგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის, აგრეთვე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მმართველობის საბოლოო გაყვანა განხორციელდება 2008 წლის განმავლობაში.

მხარეებს შორის შეთანხმებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის გეგმა-გრაფიკისა და მატერიალური საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალის შესაბამისად, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის მხარეს, მიაწოდოს გაყვანის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილები და მატერიალური საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარე შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საჰაერო ხომალდებს, გამოიყენონ საქართველოს საჰაერო სივრცე და განახორციელონ სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების გადაზიდვები.

მუხლი 4

საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ეტაპობრივად გაყვანისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ნორმალური ცხოველქმედებისა და გაყვანის რეჟიმში დროებითი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საქართველოს ტერიტორიიდან მათი გაყვანის დასრულებამდე.

მხარეები შეათანხმებენ რუსეთის ფედერაციის იმ სამხედრო მოსამსახურეების, კერძოდ, მძღოლების, მექანიკოსებისა და სხვა ტექნიკური სპეციალისტების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადებსა და რაოდენობას, რომელთა დროებითი მივლინება საქართველოში იგეგმება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის ხელშეწყობის მიზნით, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა არსებულ რაოდენობასთან დამატებით, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2005 წლის 30 მაისის ერთობლივი განცხადების ხელმოწერის თარიღისთვის.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირების ოჯახის წევრები, რომლებიც შემოდინან საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობაში მხედველობაში არ მიიღებიან.

მუხლი 5

საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს ბათუმსა და ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზების ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაყვანის ორგანიზებას ლეგიტიმური საკონტროლო-გამშვები პუნქტების გამოყენებით, ბათუმის ნავსადგურის, ბათუმის აეროპორტისა და სასაზღვრო-სამიგრაციო საკონტროლო განყოფილების „ნინოწმინდა“ ჩათვლით, გაყვანის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გასაყვანი ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირების ორგანიზებას.

მუხლი 6

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირები და მათი ოჯახის წევრები საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას ვალდებულნი არიან, იქონიონ საქართველოს შესაბამისი ვიზები და საქართველოს მხარის შესაბამის უწყებათა აღნიშვნა, რომელიც ადასტურებს ამ შეთანხმების მე-5 მუხლით განსაზღვრული გამშვები პუნქტების გავლით საქართველოში მათი შემოსვლის ადგილსა და თარიღს.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათ ოჯახის წევრებზე ვიზების გაცემა ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამსახურების მიერ შემდეგი წესით:

საქართველოში როტაციის მიზნით მომავალი რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე გაცივმა მრავალჯერადი ვიზები ერთი წლის ვადით, იმ სამხედრო მოსამსახურეთა გარდა, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს გაწვევით და რომლებზედაც გაცივმა საქართველოს შემოსასვლელი ვიზები.

საქართველოში ხანმოკლე მივლინებით მომავალ რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირთათვის საქართველოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების

საფუძველზე (3 თვემდე ვადით) გაიცემა ერთჯერადი ვიზები იმ ვადით, რომლებიც აუცილებელია რუსეთის სამხედრო ბაზების და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად.

რუსეთის მხარის მიერ ვიზების გაცემაზე მოთხოვნა იგზავნება დიპლომატიური არხებით. მოთხოვნა ერთჯერადი ვიზის გაცემაზე მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ვადით იგზავნება საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილ შემოსვლამდე არანაკლებ 15 დღით ადრე. მრავალჯერად და შემოსასვლელ ვიზებზე მოთხოვნა იგზავნება 60 დღით ადრე საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილ შემოსვლამდე.

მოთხოვნაში უნდა მითითებული იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი, პასპორტის ნომერი და სერია, სამხედრო მოსამსახურის წოდება, საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის ადგილი და ვადა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მიზნები, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს გაწვევით, ასევე მარშრუტი და დისლოკაციის ადგილამდე გადაადგილების დრო. სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს კონტრაქტით, ინფორმაციას დისლოკაციის ადგილამდე გადაადგილების მარშრუტისა და დროის შესახებ წარადგენს რუსეთის მხარე შემოსვლის თარიღამდე არა უგვიანეს 15 დღისა. საქართველოს ტერიტორიიდან წინასწარ გასულ სამხედრო მოსამსახურეთა სიები, მხარეებს შორის შეთანხმებული დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს მათ გასვლას, წარედგინება მათ გასვლის დღიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს მხარე გადაწყვეტილებას ერთჯერადი ვიზების გაცემის შესახებ იღებს მიმართვის მომენტიდან 10 დღის განმავლობაში, ხოლო გადაწყვეტილებას მრავალჯერადი და საქართველოში შემოსვლის ვიზების გაცემის შესახებ როტაციის მიზნით საქართველოსკენ მომავალ რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირთათვის და მათი ოჯახების წევრებისათვის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც დაასრულეს საქართველოს ტერიტორიაზე სამსახური, მათი გამგზავრების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე როტაციის მიზნით შესაძლებელია რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი მხოლოდ იმ რაოდენობის პირების შემოსვლა, რა რაოდენობის რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებიც იქნებიან წინასწარ გაყვანილნი საქართველოს ტერიტორიიდან. ამასთანავე, ერთი თვის განმავლობაში სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი არა უმეტეს 30 პირისათვის დასაშვებია ვიზების გაცემა ამავე რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ტერიტორიიდან წინასწარი გაყვანის გარეშე. რუსეთის მხარე ვიზების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში აწვდის დოკუმენტებს, რომლებითაც დასტურდება აღნიშნული რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა.

მხარეთა უფლებამოსილი ორგანოები, დაგეგმილ გადაადგილებამდე არა უგვიანეს 10 დღისა, ათანხმებენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შემოსვლის (გასვლის) დროსა და მარშრუტს.

მუხლი 7

რუსეთის მხარე არ გამოიყენებს რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებს იმ მიზნებისათვის, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს სახელმწიფო

ინტერესების წინააღმდეგ და არ დაუშვებს მათ ჩარევას საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ პროცესში.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დროებითი დისლოკაციის განმავლობაში რუსეთის მხარე არ დაუშვებს სროლის გამართვას არც ერთი სახის იარაღიდან, გარდა მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღიდან საქართველოს მხარის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

რუსეთის მხარის მოძრავი ქონების გადაადგილება ხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი წესით, რუსეთის მხარის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული გრაფიკების შესაბამისად შეთანხმებული მარშრუტებითა და შეთანხმებული დროით.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტს შეუძლია გადაკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი საქართველოს მხარის უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით, სახელმწიფო და საბაჟო საზღვრის დადგენილ გამშვებ პუნქტებზე, საქართველოს მხარის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისათვის გადასაზიდ ტვირთზე დოკუმენტებისა და დეკლარაციების წარდგენით.

რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული საკითხები განეკუთვნება მათი სარდლობის გამგებლობას, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე არ დაუშვებს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილების გამოყენებას კომერციული მიზნებისთვის.

მუხლი 8

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირები და მათი ოჯახის წევრები პატივს სცემენ საქართველოს სუვერენიტეტს და იცავენ საქართველოს კანონმდებლობას, არ ერევიან მის საშინაო საქმეებში, არ მონაწილეობენ შიდა კონფლიქტებში საქართველოს ტერიტორიაზე.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

1) ისინი ჩაიდენენ დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ასევე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების წინააღმდეგ ან რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ქონების მიმართ;

2) ჩაიდენენ დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილებში იმ პირობით, რომ მათი შედეგები არ გავრცელდება დისლოკაციის ამ ადგილების ფარგლებს გარეთ.

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, მასზე ვრცელდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია.

მუხლი 9

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მოძრავი ქონება წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის საკუთრებას.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სხვა სამხედრო ობიექტების მოძრავი ქონება გატანილ იქნება საქართველოს ტერიტორიიდან ან, მხარეების შეთანხმების საფუძველზე, უტილიზებულ იქნება ადგილზევე.

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გასატანი (გასაყვანი) მოძრავი ქონება, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირებისა და მათი ოჯახის წევრების ქონება თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან.

საქართველოს მხარე უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიიდან გასაყვანი რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ქონების გატანის მიზნით რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების შემოსვლის გამარტივებულ პროცედურას თანახმად რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის წყლებსა და ნავსადგურებში სამხედრო ხომალდების ნაოსნობისა და ყოფნის წესის შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის 1993 წლის 9 ოქტომბრის შეთანხმებისა.

მუხლი 10

მხარეები განახორციელებენ ურთიერთქმედებას რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანახარჯების დაფინანსების დამატებითი გარე წყაროების მოძიების მიზნით.

მუხლი 11

რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას:

არ შეცვალოს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოცირების ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე;

არ განახორციელოს რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის ჩანაცვლება და შევსება.

მუხლი 12

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების უძრავი ქონება წარმოადგენს საქართველოს საკუთრებას და რუსეთის მხარეს გადაეცემა დროებით უსასყიდლო სარგებლობაში საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანამდე. ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად.

რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს გადასაცემი უძრავი ქონების ობიექტების დაცულობა (მთლიანობა).

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ გამოთავისუფლებული უძრავი ქონების ობიექტები გადაეცემა საქართველოს მხარეს გადაცემის

მომენტისათვის არსებული ფაქტობრივი მდგომარებით, მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს შორის შეთანხმებული გრაფიკების შესაბამისად.

უძრავი ქონების გადასაცემად მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას.

რუსეთის მხარე საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად დისლოკაციის ადგილებში არ განახორციელებს რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოებს ახალი უძრავი ქონების ობიექტების შექმნის მიზნით.

მუხლი 13

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს რუსეთის სამხედრო ბაზებზე ან რუსეთის სამხედრო ობიექტებზე და დათხოვნილ იქნენ სამხედრო სამსახურიდან საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების ან რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის პერიოდში, აგრეთვე მათთან მუდმივად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს, რომლებმაც გამოთქვეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების სურვილი, საქართველოს მხარე აძლევს გარანტიას, რომ შეუნარჩუნდებათ უფლებები მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართზე. პირებს, რომელთაც უნარჩუნდებათ უფლება მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართზე, ასევე უნარჩუნდებათ საქართველოში ცხოვრების უფლება.

მუხლი 14

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სრულ გაყვანამდე მათი მატერიალური, სამედიცინო, ვეტერინარულ-სანიტარიული, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, საბინაო-საექსპლუატაციო და საფინანსო უზრუნველყოფა ხორციელდება რუსეთის მხარის მიერ.

საქართველოს მხარე ხელს უწყობს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების უზრუნველყოფას ელექტროენერგიით, წყლითა და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებისათვის დადგენილი ნორმებისა და ფასების შესაბამისად.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მატერიალური, სამედიცინო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებთან და რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა სახის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მეთაურები ახორციელებენ ურთიერთქმედებას საქართველოს მხარის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან და უფლება აქვთ, დადონ ხელშეკრულებები საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

მუხლი 15

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები (მომარაგების ნივთები, სარემონტო ფონდი, სამხედრო-ტექნიკური ქონება და სხვა) შეიძლება მოწოდებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ან შეძენილ იქნეს ადგილზე. რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების მარაგის შევსება ხორციელდება ბაჟის, გადასახადებისა და მოსაკრებლების

გადახდის გარეშე საქართველოს მხარის კომპეტენტურ ორგანოებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ რადიოსიხშირეების გამოყენების წესი განისაზღვრება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სარდლობასა და საქართველოს მხარის კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმებით.

მუხლი 17

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციის მიზნით მხარეები ქმნიან ერთობლივ ოპერატიულ-ტექნიკურ ჯგუფს.

წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულების კონტროლისა და ამ შეთანხმების რეალიზების პროცესში წარმოქმნილ სადავო საკითხების გადაწყვეტის მიზნით იქმნება რუსეთ-საქართველოს შერეული კომისია. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში შედის წევრების თანაბარი რაოდენობა თითოეული მხრიდან.

რუსეთ-საქართველოს შერეული კომისიის ადგილსამყოფელია – ქ. თბილისი.

თუ რუსეთ-საქართველოს შერეული კომისია ვერ აღწევს შეთანხმებას რაიმე საკითხის გადაწყვეტისას ან წარმოიქმნება უთანხმოება მხარეებს შორის, რომელიც ეხება ამ შეთანხმების განმარტებას ან გამოყენებას, მაშინ ის წყდება მოლაპარაკებების გზით ან დიპლომატიური არხებით.

მუხლი 18

მხარეები უნაზღაურებენ ერთმანეთს, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ამ შეთანხმების შესრულებისას განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიყენებულ მატერიალურ ზარალს.

ზარალის ანაზღაურების ოდენობასა და მექანიზმს ადგენს რუსეთ-საქართველოს შერეული კომისია ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი დიპლომატიური არხებით მიმართვის თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში. თუ ამ ვადის განმავლობაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული, ზარალი ანაზღაურდება სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

მუხლი 19

რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას არ იქონიოს, არ შეინახოს საქართველოს ტერიტორიაზე და არ გაატაროს მისი ტერიტორიის გავლით მასობრივი განადგურების იარაღი, ასევე არ აწარმოოს გამოკვლევები ასეთი იარაღის შემუშავებისა და გამოყენების სფეროში მის ტერიტორიაზე.

რუსეთის სამხედრო ბაზისა და რუსეთის სამხედრო ობიექტის შემადგენლობაში შემავალი შეიარაღებული პირების ყოფნა და გადაადგილება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილის ფარგლებს გარეთ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირები ახორციელებენ გადასატანი ფულადი, მატერიალური საშუალებების, ტვირთების საფელდიეგერო-საფოსტო კავშირის ხაზით თანხლებას ან სხვა

საგანგებოდ დათქმულ შემთხვევებში საქართველოს მხარის უფლებამოსილ ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით.

რუსეთის სამხედრო ფორმირებები არ ახორციელებენ სამხედრო პატრულირებას საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკაციის ადგილების ფარგლებს გარეთ.

რუსეთის მხარის სამხედრო ავტონისპექცია თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს მხარის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული წესითა და შემთხვევებში.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების სარდლობა პასუხისმგებელია რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოკირების ადგილებსა და საწყობებში არსებული შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და სხვა საშიში მასალების უსაფრთხო დაცვასა და შენახვაზე.

მუხლი 20

მხარეები უმოკლეს ვადაში დაასრულებენ შემუშავებას და ხელმოსაწერად მოამზადებენ შეთანხმებას საქართველო-რუსეთის ანტიტერორისტული ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირების შესახებ, რომლის შესაბამისად ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის შეთანხმებული ნაწილი გამოყენებული იქნება აღნიშნული ცენტრის ინტერესებისათვის.

მუხლი 21

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს შეთანხმება ექვემდებარება რეგისტრაციას გაეროს სამდივნოში.

მუხლი 22

წინამდებარე შეთანხმება დროებით გამოიყენება ხელმოწერის თარიღიდან და ძალაში შედის მხარეთა მიერ აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ შეტყობინებათა გაცვლის შემდეგ.

წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2008 წლის 31 დეკემბრამდე, თუ არც ერთი მხარე დიპლომატიური არხებით არ აცნობებს მეორე მხარეს თავის განზრახვას, შეწყვიტოს მისი მოქმედება მეორე მხარის მიერ წინამდებარე შეთანხმების მნიშვნელოვანი დარღვევის გამო. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმების მოქმედება წყდება შეტყობინების მიღების თარიღიდან 30 დღის შემდეგ.

წინამდებარე შეთანხმების მოქმედება შესაძლებელია შეაჩეროს თითოეულმა მხარემ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხდება მეორე მხარის ინფორმირება დიპლომატიური არხებით წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეჩერების ან მისი აღდგენის შესახებ (მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ. თბილისი, 2007).

